გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 სექტემბერი **სამშაბათი** 2011
№221 (13518) ფასი 80 თეთრი

# ოლიმპიელთა ახალმოსახლეობა მაჩაბლის ქუჩაზე



10

პრინცმა ალბერმა მზია ჯუღელს ოლიმპიური ორდენი გადასცა
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# სანიკიძე ევრობასკეტის ათეულში

## ვიქტორის რეალური შანსი



11



## ბეგუჩაძე 5 წლით ტორპედოში

3



ბესიკ ჯანგავაძე მასტერტონიდან

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

# ბორჯღალოსნებმა გარემო გამოიცვალეს

## გულთბილი დახვედრა მასტერტონში





# მწვრთნელი იმიტომაც არის, მოთამაშეთა თავნებობა აღკვეთოს

ინტერვიუ სოსო ჭედიასთან

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

U17. ევროშესარჩევის წინ

# ხვალიდან ევროპის ჩემპიონატისთვის ვიბრძოლებთ

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები გუშინ გამთენიისას მოლდოვაში გაემგზავრა, სადაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. გამგზავრებამდე კი ვასილ მაისურაძის გუნდი სამების საკათედრო ტაძარში მივიდა, სადაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისგან დალოცვა მიიღო. შეგახსენებთ, მასპინძელი მოლდოვის გარდა, საქართველოს ნაკრების მეტოქეები ბულგარეთისა და შვედეთის ნაკრებები იქნებიან. პირველ შესარჩევ რაუნდში 9 ჯგუფია, ყოველი ჯგუფიდან ელიტრაუნდში ორ-ორი საუკეთესო გუნდი გავა, მათ ორი საუკეთესო მესამეადგილოსანიც დაემატება. ელიტრაუნდში კი შვიდი ოთხგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება, რომლის გამარჯვებულები ფინალურ რაუნდში მასპინძელ სლოვენიასთან ერთად ითამაშებენ. საქართველოს ნაკრები ევროპირველობაზე მოსახვედრად ბრძოლას ხვალ დაიწყებს. თბილისის დროით 13 საათზე ქართველი 17-წლამდელები ტირასპოლის "დინამოზე" ბულგარელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან. 23 სექტემბერს ვადულ ლუი ვოდაში ჩვენების მეტოქე მოლდოვა იქნება, 26 სექტემბერს კი ორჰეიში ქართველები შვედებს შეხვდებიან. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრები მოლდოვაში ოპტიმალური შემადგენლობით ვერ წავიდა – რამდენიმე დღის წინ დაშავდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, რუსთავის „მეტალურგის" თავდამსხმელი ალეკო მზევაშვილი, რაც ჩვენი გუნდის შემტევ პოტენციალს უთუოდ შეასუსტებს. ჩვენმა 17-წლამდელებმა დასკვნითი შეკრება ურეკში გაიარეს და ორი საკონტროლო მატჩიც ჩაატარეს. მაისურაძის გუნდი ორივეჯერ "ბათუმის" დუბლშემადგენლობას შეხვდა და ჯერ 2:0 გაიმარჯვა, შემდეგ კი 2:3 დამარცხდა. ურეკში გუნდი 21-კაციანი შემადგენლობით იყო წასული, რის შემდეგაც სამწვრთნელო შტაბმა მოლდოვაში წასაყვანი 18 ფეხბურთელი შეარჩია. ქართული დელეგაცია მოლდოვაში 25 კაცის შემადგენლობით გაემგზავრა. ფეხბურთელთა გარდა, გუნდს სამედიცინო შტაბი და ადმინისტრატორი ახლავს. ვასილ მაისურაძის თანაშემწე მერაბ კაციტაძეა, მეკარეების მწვრთნელი – თემურ ჩარკვიანი. ჩვენი გუნდის ფეხბურთელებს კი მცირე დახასიათებებთან ერთად წარმოგიდგენთ.**



ვასილ მაისურაძე

### მეკარეები

**ალექსანდრე ადამია** (მეტალურგი, რუსთავი)

ნაკრების ძირითადი მეკარეა. კარის ხაზზე დამაჯერებელია, მაგრამ დასახვეწი აქვს გამოსვლებზე თამაში. მწვრთნელები გამუდმებით ავალებენ, რომ დაცვას უფრო აქტიურად უხელმძღვანელოს და კონცენტრაცია არ დაკარგოს.

**ნიკა შერმადინი** (მეტალურგი, რუსთავი)

სამწვრთნელო შტაბს მის მიმართაც იგივე შენიშვნები აქვს. ხაზზე ისიც მაღალ დონეზე თამაშობს.





### მცველები

**გიორგი გაბაძე** (ლოკომოტივი, თბილისი)

მარჯვენა მცველი. დაცვით ფუნქციებს მაღალ დონეზე ასრულებს, შეტევებში ჩართვა კი უჭირს. მეტი შეუძლია, ზრდის პოტენციალი აშკარად აქვს.

**ნიკა ქანთურია** (ლოკომოტივი, თბილისი)

ცენტრალური მცველი. ასაკის მიუხედავად, აზრიანი და დაკვირვებული თამაშით გამოირჩევა. ამასთანავე, არც ძალისმიერ ორთაბრძოლებში შესვლას ერიდება.

**ალეკო ჩაკვეტაძე** (მეტალურგი, რუსთავი)

ცენტრალური მცველი. ფიზიკური კონდიციებით აშკარად გამოირჩევა, ძლიერია თავით თამაშისას. თუ ფეხით თამაშსაც დახვეწს, მისგან მაღალი დონის მცველი დადგება.

**ლაშა დვალი** (მეტალურგი, რუსთავი)

ცენტრალური მცველი. მასაც კარგი მონაცემები აქვს. ფიზიკურად და "მეორე სართულზე" ძლიერია, გასაუმჯობესებელი აქვს ტექნიკა.

**გიორგი გოროზია** (ლოკომოტივი, თბილისი)

მარცხენა მცველი. მისთვის ახალი ამპლუაა. რაკი ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ამ ასაკში მაღალი დონის მარცხენა მცველი ვერ მოიძია, ამ პოზიციაზე საყრდენი ნახევარმცველი გოროზია გაამწესა. ამ სიახლეს იგი იოლად შეეგუა და დაკისრებულ მოვალეობას თავს ნორმალურად ართმევს.

**ცოტნე ქეზურია** (მეტალურგი, რუსთავი)

მარჯვენა მცველია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში მარცხნივაც ითამაშებს. ტანმორჩილია, მაგრამ ეს პრობლემებს არ უქმნის. კარგად ერთვება შეტევებში.

### ნახევარმცველები

**გიორგი აბურჯანია** (მეტალურგი, რუსთავი)

ცენტრალური ნახევარმცველი. გუნდის ლიდერი და კაპიტანია. თანაგუნდელებთან შედარებით მეტი გამოცდილება აქვს. რამდენიმე მატჩი აქვს ჩატარებული "მეტალურგის" მთავარ გუნდში და ამ ზაფხულს ევროპის ლიგაზეც ითამაშა.

**ქიაზერ ქექელაშვილი** (დინამო, თბილისი)

ცენტრალური ნახევარმცველი. შეუძლია თამაშის რიტმის წარმართვა, "ბურთის დაჭერა" და შორეული დარტყმებიც კარგად გამოსდის.

**მათე ცინცაძე** (ლოკომოტივი, თბილისი)

ცენტრალური ნახევარმცველი. აბურჯანიასა და ქექელაშვილთან ერთად ნახევარდაცვის ცენტრში მძლავრ ტრიოს ქმნის და იგივე ღირსებები აქვს, რაც ზემოთ ნახსენებ ორ ფეხბურთელს.

**გიორგი პაპუნაშვილი** (დინამო, თბილისი)

შემტევი ნახევარმცველი. ტექნიკურია, შეუძლია თამაშის გამწვავება და მოედნის ხედვა და დარტყმაც კარგი აქვს. უკეთეს პოზიციაში მდგომ თანაგუნდელს პასს არ უგვიანებს.

**ნიკა ახვლედიანი** (ბაია, ზუგდიდი)

შემტევი ნახევარმცველი. ხშირად ახერხებს სწორი გადაწყვეტილების მიღებას, აქვს კარგი ტექნიკა და სისწრაფე. კარგად გამოსდის ნებისმიერი დისტანციიდან დარტყმა.

**ოთარ კაკაბაძე** (დინამო, თბილისი)

მარჯვენა ნახევარმცველი. სტაბილური ფეხბურთელია, სწრაფია და ძლიერი ერთი-ერთზე ბრძოლისას. ბევრს მოძრაობს და პასიც ეხერხება.

**თორნიკე მაჭავარიანი** (დინამო, თბილისი)

მარცხენა ნახევარმცველი. გუნდისთვის ისიც სასარგებლო ფეხბურთელია. სწრაფად მოძრაობს და ასეთივე ტემპით აზროვნებს.

### თავდამსხმელები

**ილია კერძევაძე** (მეტალურგი, რუსთავი)

**რომან ქანთურია** (ლოკომოტივი, თბილისი)

**დავით დარციმელია** (ლოკომოტივი, თბილისი)

ვასილ მაისურაძემ თავდასხმაზე საერთო შეფასება გააკეთა: სამივე ფორვარდი საკმაოდ პერსპექტიულია და აშკარად აქვთ ისეთი თვისებები, ძლიერ ფეხბურთელებად რომ ჩამოყალიბდნენ, მაგრამ დღეს საქართველოს ნაკრებს წინა ხაზზე საქმე მაინც არ აქვს იდეალურად. თავდამსხმელების პრობლემა ხომ ბოლო წლებში საქართველოს ეროვნულ ნაკრებსაც აწუხებს და რა გასაკვირია, ეს საკითხი ჭაბუკებშიც რომ მოსაგვარებელია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ხსოვნის ტურნირი

# მარათონი, კოტე მახარაძე და მადლიერება

მარათონის ცნობილი ომის მონაწილე ბერძენმა მეომარმა **ფილიპიდმა** (მეორე ვერსიით, **ფიდიპიდმა**) ათენამდე 42 კილომეტრი და 195 მეტრი ირბინა, ხალხისთვის გამარჯვება რომ ემცნო. ბერძნებმა მისი სახელი მარათონული გარბენით უკვდავყვეს.

XX საუკუნეში ტექნოლოგიური მიღწევებით კაცობრიობა ახალ ეტაპზე გადავიდა და ტელევიზიით სწრაფად და ოპერატიულად ვიგებთ მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ამბებს, თავად ვხედავთ და ვაფასებთ მოვლენებს.

მაგრამ ამ დროსაც ჰყავდა თავისი ფილიპიდი - ვფიქრობ, ჩვენი ხალხისთვის არანაკლებ ძვირფასია **კოტე მახარაძე**, რადგან დიდი კომენტატორისა და მსახიობის ხმა დიუსელდორფის 1981 წლის გამარჯვებასთან და თბილისის "დინამოს" სხვა მნიშვნელოვან წარმატებებთან გაიგივდა - მახარაძისგან ხომ ჩვენი ერის ზეობის ამბებს ვისმენდით.

წელს დაბადებიდან 85 წელი შესრულდებოდა კოტე მახარაძეს, კაცს, რომელიც ყველას უყვარდა და, ცხადია, ახსოვთ, მაგრამ...

*"იცით, უყვართ და იხსენებენ, მაგრამ გული მაინც მწყდება, რადგან დრო გადის და ყველაფერი დავიწყებას ეძლევა, მათ შორის კოტეს სახელიც. თქვენი წამოწყება ამიტომაც მახარებს და ძალიან ბედნიერი ვარ. მოხარული ვიქნები, თუ ეს ტურნირი ყოველწლიურად გაიმართება,"* – ბრძანა **მაკა მახარაძემ** გუშინ ეროვნულ სტადიონზე გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც დიდი კომენტატორის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინიფეხბურთის ტურნირის კენჭისყრა გაიმართა.

ტურნირის ორგანიზატორი ასოციაცია "გეორგიას" თავმჯდომარე, მარჯანიშვილის თეატრის ყოფილი მსახიობი **კახა მიგინეიშვილია**, რომელიც მედიას თბილისის "დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძეს** და კოტე მახარაძის შვილებთან, **მაკა** და **ივიკო მახარაძეებთან** ერთად შეხვდა. ტურნირი 2006 წელსაც ჩატარდა და "დინამოს" ვეტერანთა გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ მერე მისი გამართვა ველარ მოხერხდა.

ტურნირი 22-დან 30 სექტემბრამდე "იაროს" სტადიონზე გაიმართება და თბილისის "დინამოს" ვეტერანები, მარჯანიშვილის თეატრი, ტელეკომპანიები (1 არხი, "რუსთავი 2", "იმედი", GMG, RTV) და მედიასახლი "პალიტრა-ლელო" ითამაშებენ. მერე კი ამ სტადიონის ადგილზე შენობა წამოიმართება.

მიგინეიშვილის თქმით, ასოციაცია "გეორგიასთან" ერთად, ტურნირის ორგანიზატორი თბილისის "დინამოა": *"გუნდის მეპატრონემ **რომან ფიფიამ** და გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** ჩვენი ინიციატივა გულთან ახლოს მიიტანეს და გვერდში დაგვიდგნენ, რისთვისაც მათ დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ. ვფიქრობ, კოტემ მახარაძემ დაიმსახურა, ყოველწლიურად მის ხსოვნას პატივი რომ მივაგოთ. ბატონმა კოტემ გამოსცა წიგნი "ორი ბატონის მსახური". ჩვენც ტურნირს კოტე მახარაძის სახელობის "დინამოს" თასი ვუწოდეთ".*

**გიგა გვენცაძე**, თბილისის "დინამოს" პრესატაშე: *"წინადადებას, რომ იტყვიან, ჩვენი კლუბი პირველივე დაძახებაზე დათანხმდა, რადგან ბატონი კოტეს დამსახურებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მჯერა, ტურნირი ისე ჩატარდება, როგორც ეს დიდი პიროვნება იმსახურებს".*

ივიკო მახარაძე : *"მადლობა პირადად კახას, გიგას და თბილისის "დინამოს" ამ წამოწყებისთვის. კოტეს სახელი ხომ ქართულ ფეხბურთთან და "დინამოსთან" განუყოფელია. ეს ტურნირი კი მის უკვდასაყოფად გადადგმული ნაბიჯია".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშვნა



## გეგუჩაძე ტორპედომაც დაადასტურა

ქუთაისის "ტორპედოს" მთავარ მწვრთნელად გია გეგუჩაძის დანიშვნის თაობაზე ინფორმაცია გუშინ კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმაც დაადასტურა. გეგუჩაძე "ტორპედოს" 1-ელი ოქტომბრიდან ჩაიბარებს და მთავარ გუნდთან ერთად, კურირებას დუბლშემადგენლობასა და ჭაბუკთა გუნდებსაც გაუწევს.

გეგუჩაძეს ქუთაისში **გურამ ასპინძელაშვილი** და მეკარეთა მწვრთნელი **დავით ჯანელიძე** დაეხმარებიან. სამივენი ერთად "ზესტაფონშიც" მუშაობდნენ. სამივე მათგანი "ტორპედოსთან" ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ოქტომბრამდე კი "ტორპედოს" **გიორგი სუხიაშვილი და კახაბერ ჩხეტიანი** უხელმძღვანელებენ.

1 ოქტომბრამდე "ტორპედოს" სამი ოფიციალური მატჩი აქვს – ჩემპიონატში ხვალ "დინამოს" გამოტოვებულ შეხვედრაში უმასპინძლებს, 25 სექტემბერს შინ "ბაიას" ეთამაშება, 28 სექტემბერს კი საქართველოს თასის პირველი მერვედფინალური შეხვედრა ელის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

## მარცვალაძის მესამე სიმბოლური

გასულ უქმეებზე **ოთარ მარცვალაძემ** "კრასნოდარში" გადასვლის შემდეგ საუკეთესო მატჩი ჩაატარა. "კრასნოდარმა" "ტომი" 4:0 გაანადგურა, ქართველ თავდამსხმელს კი, მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ ორი საგოლე გადაცემის ავტორი გახდა და თავის გუნდს თერთმეტმეტრიანიც მოუპოვა.

ტურის სიმბოლურ ნაკრებში იშვიათად ხვდება ის თავდამსხმელი, ვისაც გოლი არ გაუტანია, მაგრამ "სპორტ-ექსპრესმა" მარცვალაძე საუკეთესო თერთმეტეულში შეყვანის ღირსად მიიჩნია. მარცვალაძე ტურის სიმბოლურში ამ სეზონში მესამედ მოხვდა, თუმცა წინა ორ წარმატებას ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" ასპარეზობისას მიაღწია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



U 21. ინტერვიუ

# სოსო ჭედია
# ნაკრები გაახალგაზრდავდება

**13 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, თემურ ქეცბაიას კონტრაქტი გაუხანგრძლივა, პარალელურად კი შემცვლელი ახალგაზრდული ნაკრებიდან წასულ ოთარ გაბელიასაც გამოუნახეს - შესარჩევი ციკლის ბოლომდე გუნდს სოსო ჭედია უხელმძღვანელებს, ეროვნულში ქეცბაიას ასისტენტი. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას თქმით, საქართველოს 17, 19-წლამდელების და ახალგაზრდული ნაკრებების კოორდინირება ქეცბაიას დაევალა და სწორედ ამან განაპირობა ჭედიას ახალგაზრდულში გამწესება. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ინტერვიუ...**

**- აქამდე ასისტენტად მუშაობდით, ახლა გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა დაგეკისრათ. ამ ჯვრის ტარება რთულიც იქნებოდა და სანერვიულოც.**

- საქართველოში მწვრთნელობა მართლაც უძნელესი პროფესიაა, მით უფრო რანგით მეორე ნაკრებში. თანაც გაბელია ისეთ დროს წავიდა, ამას წინასწარ ვერავინ განსაზღვრავდა. ესპანეთთან წაგების შემდეგ ძნელი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ქეცბაიამ გადაწყვიტა, რომ ყველა ნაკრები ერთ სისტემაში მოგვექცია. ადრეც ასე იყო, მაგრამ ახლა სისტემის სახეს მიიღებს. მე კი ვიცი, თემურს რა უნდა, რას ითხოვს, როგორი სტრატეგია და ტაქტიკა აქვს, რადგან ხუთ წელზე მეტია, ერთად ვმუშაობთ. ამიტომ გავბედე და ეს ნაბიჯი გადავდგი, რადგან ახალგაზრდული ნაკრებიდან წასული მოთამაშე ეროვნულის წევრის შემცვლელი უნდა იყოს. ჩვენ კი ვფიქრობთ, 4-5 მოთამაშე მაინც დავაწინაუროთ - ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ ეროვნულის მოთხოვნების, ტაქტიკისა და დავალებებისთვის მომზადებული უნდა გამოცხადდეს.

ყველა მწვრთნელს განსხვავებული სტრატეგია აქვს და ცდილობს, თავისებურად ათამაშოს გუნდი. კარგი იქნება, თუ ერთი გუნდი წაიყვანს საქმეს და ახალგაზრდები თავიდანვე მოთხოვნებს გაეცნობიან.

**- 1991 წელს თბილისის "დინამოდან" რომ წახვედით, თქვენზე ბევრი არაფერი იყო ცნობილი - თუნდაც ის, თუ როგორ დაიწყეთ მწვრთნელობა.**

- პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ოქროს მედალი ავიღე და შვედეთის "სუნდსვალში" წავედი, რომელიც უეფას თასზე გამოდიოდა. იქიდან ჯერ კვიპროსულ "ოლიმპიაკოსში" , შემდეგ კი, 1996 წელს ნაბერეჟნიე ჩელნის "კამაზში" გადავედი, ექვსი თვე ვითამაშე და ზუგდიდის "ოდიშში" მურთაზ ხურცილავამ ჩამომიყვანა. სამწუხაროდ, გუნდს არანაირი დაფინანსება არ ჰქონდა, 1997 წელს კარიერა დავასრულე და მაშინვე "შევარდენში" მწვრთნელობა დავიწყე, სადაც ძალიან ძლიერი და შეკრული კოლექტივი დამხვდა – შოთა ჭეიშვილი, ზაურ სვანაძე, ნოდარ აკობია. მათთან სამი წელი ვიმუშავე და ეს პერიოდი არასოდეს დამავიწყდება. 1983 წელს დაბადებული ბავშვებით ჭაბუკთა ლიგის ჩემპიონები გავხდით, 1985 წელს დაბადებულებმა კი მესამე ადგილი დაიკავეს.

მერე ვარკეთილში საკუთარი საფეხბურთო სკოლა ჩამოვაყალიბე, "ა" კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზია მივიღე და თემურმა "ანორთოსისში" მიმიწვია. ამ კლუბთან ბევრი სიხარული და წარმატება მაკავშირებს, კვიპროსის ჩემპიონები გავხდით, სუპერთასი ავიღეთ და თასის ფინალში გავედით, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა კი უდიდესი წარმატება იყო. მაგრამ გუნდში პრობლემები შეიქმნა და "ოლიმპიაკოსში" წავედით - საბერძნეთში სამი თვე ვიყავით, ექვსი შეხვედრიდან ხუთი მოვიგეთ, ერთი ფრედ დავასრულეთ და გოლი არ გაგვიშვია, მაგრამ წამოსვლა მოგვიხდა.

**- ითქვა, ქეცბაიამ „ოლიმპიაკოსის" ფეხბურთელებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და კონფლიქტიც ამის გამო მოხდაო.**

- არ დაიჯეროთ, თავად ფეხბურთელებმა გააკეთეს კომენტარი და თქვეს, რომ ქეცბაიასთან პრობლემა არ ჰქონიათ, ყველაფერი "ოლიმპიაკოსის" ხელმძღვანელობისგან დაიწყო, არ მოეწონათ, თემურმა მათი მოწონებული ბიჭები რომ არ ათამაშა......

**- მეგონა, ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში ხდებოდა.**

- საქართველო გამონაკლისი არ არის. ამ თემის გავრცობა აღარ მსურს, მაგრამ ფეხბურთელებთან კონფლიქტი არ ჰქონია.

**- ეროვნულმა ნაკრებმა ქეცბაიას ხელმძღვანელობით კარგად დაიწყო, ხალხი ფეხბურთისკენ შემოტრიალდა და იმედი გაუჩნდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩააგდო ნაკრებმა წელი. გუნდში ტრიალებთ და თქვენი აზრი საინტერესო იქნება - რა პრობლემებია გუნდში?**

- ნაკრების გადასახედიდან ვრწმუნდები, რომ ბავშვთა ფეხბურთს უნდა მივხედოთ. არ შეიძლება, დაწყებითი სწავლება მიშვებული იყოს, რადგან სწორედ ამის დამღუპველ შედეგებს ვიმკით. სკოლა რომ არ გაუვლიათ, თეორიული, ტაქტიკური განთლება არა აქვთ, რაც ასაკში იჩენს თავს.

ამიტომ მიხარია, საკუთარ აკადემიებს რომ აკეთებენ "დინამო", "ტორპედო", "ზესტაფონი", "ბაია", ახლა "ოლიმპიც", მათ სხვა გუნდები მიჰბაძავენ და იმედია, ნიჭიერ ბავშვებს განათლებული მწვრთნელები გაზრდიან.


სოსო ჭედია

ახლა უშუალოდ კითხვაზე გიპასუხებთ: ერთი წელი მაქსიმალური მონდომებისა და თავდადების ხარჯზე ვითამაშეთ, მერე გასვლის შანსი გაგვიჩნდა და მოგება დაგვჭირდა, გუნდს სწორედ ამ დროს გაუჭირდა. როგორც გახსოვთ, მანამდე მეორე ნომრად ვთამაშობდით, მოგებისა და პლეი ოფში გასასვლელად კი უფრო მაღალი დონის შემსრულებლები დაგვჭირდა.

**- ლატვიას ჩვენზე უკეთესი შემსრულებლები როგორ ჰყავს, როცა მათი ძირითადის ოთხი მოთამაშე რუსეთის პირველი ლიგის "ალანიაში" დაიწუნეს, საქართველოს ნაკრებს კი იმის ფუფუნება აქვს, რუსეთის პრემიერლიგის ზოგიერთ მოთამაშე არც მიიწვიოს?!**

- გეთანხმებით, ლატვიაზე უკეთესი მოთამაშეები გვყავს, მაგრამ ჩვენთან ოთხი ქულა სიზმარში აიღეს. აშკარად მათზე უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ ეს იყო საშინლად უიღბლო დღე. როდესაც მოთამაშეების კვალიფიკაციაზეა ლაპარაკი, ისეთებს ვგულისხმობ, პლეი ოფში თავისუფლად რომ გაგვიყვანენ.

ახალი კონტრაქტის შემდეგ აქცენტი ახალგაზრდებზე გაკეთდება, მათ თამაშისა და თავის გამოჩენის შანსი მიეცემათ, ახალი ციკლი ევრო- 2016-ის შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ; ევრო-2016-ზე მოხვედრისთვის კი აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ.

**- თქვენ ეროვნულ ნაკრებშიც იმუშავებთ?**

- ახალგაზრდულს მხოლოდ ამ ციკლის დასრულებამდე გავწვრთნი, შემდეგ კი სხვას ჩააბარებენ, მე კი ისევ ეროვნულს დავუბრუნდები.

**- ლოგიკით, ესპანეთთან წაგების შემდეგ ახალგაზრდულის მოთამაშეები სტრესში იქნებიან.**

- ეს ძალიან დიდი პრობლემაა. თანაც 7 ოქტომბერს გვესტუმრება ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი შვეიცარია, რომელსაც ესპანეთმა მოუგო. იმ გუნდიდან ესპანეთს 7 მოთამაშე დარჩა, საიდანაც 3 ქუთაისში არც ჩამოსულა, შვეიცარიას კი 10 ფეხბურთელი დარჩა.

მაგრამ ესპანეთთან მატჩი უნდა გავაანალიზოთ და ეს სტრესი დროულად დავივიწყოთ. საქართველოდან ქულები უბრალოდ არავინ უნდა წაიღოს.

**- თქვენ ერთიანი სანაკრებო სისტემა ახსენეთ, მაგრამ ეროვნულში უფრო ძლიერი დაცვის ხაზის მოთამაშეები არიან, ახალგაზრდულში შემტევები და სხვა სტილის ფეხბურთსაც აჩვენებენ. ამ გუნდებს ერთ სტილზე როგორ გადაიყვანთ?**

- თუ გახსოვთ, საფრანგეთის ნაკრები რომ გვესტუმრა, სამი თავდამსხმელით ვეთამაშეთ, პლუს ნახევარდაცვაში დათო მუჯირი თამაშობდა და 0:3 წავაგეთ. ახლა ევროპის ჩემპიონატის ფინალისტთან უკანმოუხედავად თავდასხმაში გავიქცეთ? ჩვენი მიზანია, რეალურად გავაანალიზოთ, ვინ ვართ ჩვენ და რა დონის მეტოქეს ვხვდებით. შენ რომ გინდა ესპანეთთან შემტევი ფეხბურთის ჩვენება, შეგიძლია? თორემ, ესტონეთი რომ ჩამოვა, რა თქმა უნდა, შევუტევთ, ამის პოტენციალი გვაქვს - ჭანტურიას, ძალამიძეს, შეყილაძეს, მჭედლიძეს, ყაზაიშვილს უყვართ და შეუძლიათ შეტევა. მაგრამ მესი დასდევს მეტოქეს და დაცვაში თამაში ჩვენმა ბიჭებმაც უნდა ისწავლონ. მარტო წინ გაქცევით მეორე ესპანეთს მივიღებთ.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში სელექციისას რა პრინციპით იხელმძღვანელებთ?**

- ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ გუნდი, რომლის ყველა წევრიც მის ინტერესებს დაიცავს. მე იქ მინდა თამაში, ასე ვერ გავიქცევი, ისე მირჩევნია და მხოლოდ შევუტევ – ეს არ არის ნაკრების მოთამაშის სალაპარაკო.

**- ასეთი პრეტენზიები ნაკრების მოთამაშეებისგან ხშირად ისმის?**

- ასეა მთელ მსოფლიოში და მწვრთნელი იმიტომაც არსებობს, რომ მოთამაშეთა თავნებობა ალკვეთოს და ისინი გუნდურ ინტერესებს დაუქვემდებაროს.

**- დაახლოებით მსგავსი რამ თქვა ქეცბაიამ გოგიტა გოგუასთან დაკავშირებით, მაგრამ მერე გაფართოებულ სიაში მოხვდა.**

- გოგუა ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ ნაკრების ინციდენტის შემდეგ მისი კარიერაც აირია, ახლაც პრობლემები აქვს და გულშემატკივარმაც უნდა გაიგოს, ასეთი მოთამაშის ნაკრებში გამოძახება ძნელია.

საერთოდ, ბოლო დროს "ვოლგაში" დატრიალებული მოვლენები ჩვენ ძალიან გვადარდებს, რადგან დუბლებში გადაიყვანეს ჯერ გოგუა, ხოჯავა და სალუქვაძე, ახლა კი გრიგალავასაც არ ათამაშებენ. რა არის ამის მიზეზი, ჩვენთვის უცნობია. მაგრამ რუსებზე რა უნდა ვთქვათ, როდესაც ჩვენთვის გაუგებარი რამ ხდება ბუბა დაუშვილთან დაკავშირებითაც. ნაკრების წევრია, იმედისმომცემი ფეხბურთელია და მესმის, კლუბთან პრობლემა აქვს. ჩემი გასარჩევი არც არის, მაგრამ გუნდის ინტერესში არ იყო "ბრიუგესთან" მისი თამაში? დუბლებში გადაიყვანეს და როგორც გვითხრეს, იქაც არ ათამაშებენ. არადა, ლატვია-მალტასთან ძალიან გვჭირდებოდა. რომ იცოდეთ, ამ მატჩებში დაუშვილის არყოფნამაც შეგვიქმნა გარკვეული პრობლემა, რადგან მოუმზადებელი იყო.

**- ერთიანი სანაკრებო სისტემა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდული და ეროვნულის შეკრებაც ერთად გაიმართება?**

- ასე არ ვაპირებთ. ისევე როგორც ადრე, შეკრებებს ცალ-ცალკე გამართავენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელოელები თანაგრძნობას ვუცხადებთ თანამშრომელს, ჟურნალისტ ილია ბაბუნაშვილს დედის გარდაცვალების გამო

# ძველ-ახალი ლიდერი

## ეპიცენტრშია ზუგდიდი!



დიმიტრი ტატანაშვილმა ზედიზედ მეორე დუბლი შეასრულა

გასული ტურის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ლიდერის შეცვლა იყო: მანამდე ცხრილის სათავეში მყოფმა „ბაიამ“ საშინაო მატჩი წააგო „ვიტ ჯორჯიასთან“, სამაგიეროდ „დინამომ“ უპრობლემოდ შეძლო სამი ქულის მოპოვება და **ალექს გარსიას** გუნდმაც პირველ ადგილზე გადაინაცვლა! შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის დასაწყისიდან ორი ლიდერი გვყავდა („გაგრა“, „ბაია“), ახლა კი ცხრილიც ნელ-ნელა „ლაგდება“ და, რაც მთავარია, გათამაშების ფავორიტებიც ასევე ნელ-ნელა მკვიდრდებიან მათთვის „განკუთვნილ“ პოზიციებზე. აბა, „დინამოს“ ლიდერობა რატომ უნდა გაგვიკვირდეს? ან, ის ფაქტი, როცა მოქმედი ჩემპიონი „ზესტაფონი“ თუ არანაკლებ ამბიციური „მეტალურგი“ ტურიდან ტურამდე რომ აუმჯობესებენ თამაშის ხარისხს და ყოველივე ეს ცხრილშიც ისახება. მოკლედ, ჩვენი ჩემპიონატი, ფაქტობრივად, კანონზომიერებას ექვემდებარება: სეზონის დაწყებამდე ფავორიტებად რომელი გუნდებიც მიიჩნეოდა, სწორედ მათ შორის („დინამო“, „ზესტაფონი“, „მეტალურგი“) უნდა ველოდოთ მედლებისათვის ბრძოლას. აი, რაც შეეხება კიდევ ერთ ფავორიტს და მიუხედავად ამ გუნდის დღევანდელი არასახარბიელო ასპარეზობისა, ვფიქრობთ „ტორპედოს“ ჩამოწერა ნაადრევია; მით უფრო, რომ ქუთაისურ კლუბში მთავარ მწვრთნელად **გია გეგუჩაძე** დაინიშნა.

...ტურის „ეპიცენტრი“ კი ზუგდიდში იყო — ერთდროულად 2 მატჩი რომ ჩატარდა! თანაც, სწორედ ზუგდიდურმა შეხვედრებმა შეცვალეს კიდეც სატურნირო ცხრილი: შაბათს „დინამომ“ აჯობა „კოლხეთს“, მეორე დღეს კი კიდევ ერთმა თბილისურმა გუნდმა, „ვიტ ჯორჯიამ“ შეძლო „ბაიას“ დამარცხება. აღსანიშნავია, რომ ამ ტურამდე **ელგუჯა ქომეთიანის** ახალგაზრდული გუნდი შინ უდანაკარგოდ ასპარეზობდა (სამიდან სამი მოგება და არც ერთი გაშვებული გოლი); ასევე ახალგაზრდულ „ვიტ ჯორჯიას“ კი თვეზე მეტხანს არ ჰქონდა მოგებული და აი, **ზურაბ ბერიძის** შეგირდებმა 22 წლის ნახევარმცველის **გიორგი ვასაძის** ერთადერთი გოლის წყალობით მართლაც ფასეული გამარჯვება მოიპოვეს. ბევრად უფრო შთამბეჭდავი ანგარიშით მოიგო „დინამომ“ და ის ფაქტიც გამოსარჩევია, რომ ალექს გარსიას გუნდში აქამდე გოლები უფრო ხშირად ესპანელ ფეხბურთელებს თუ გაჰქონდათ, ამჯერად თავი ქართველებმა გამოიჩინეს: 19 წლის **ნიკა კვეკვესკირმა**, 29 წლის **ალექსანდრე კოშკაძემ** და 19 წლის **ჯაბა ჯიღაურმა**. გოლი არ გაუტანია, მაგრამ დინამოელთა შემადგენლობაში გამორჩეული გახლდათ 28 წლის **მიკელ ალვარო**, რომელიც გუნდის კაპიტან ალექსანდრე კოშკაძესთან ერთად მოედნის ცენტრში დამაჯერებლად მოქმედებდა.

### ტურის გმირები

გასულ ტურში ერთდროულად ორმა ფეხბურთელმა შეძლო „დუბლის“ შესრულება და რა გასაკვირია, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ მათ ასპარეზობაზე გავამახვილებთ. უპირველესად კი რუსთავის „მეტალურგის“ ცენტრფორვარდი, 27 წლის **დიმიტრი ტატანაშვილი** უნდა ვახსენოთ — ზედიზედ მეორე მატჩია, მეტოქეთა კარში ორი-ორი გოლი რომ გააქვს! შეგახსენებთ, რომ „მეტალურგმა“ წინა ტურში სწორედ ტატანაშვილის „დუბლის“ წყალობით მოუგო სტუმრად „ვიტ ჯორჯის“, ახლა კი ანალოგიური ანგარიშითა და ისევ და ისევ ამ ფორვარდის გოლებით „ტორპედოს“ აჯობა. გუშინაც ვნერდით, რომ ქუთაისურ გუნდთან შეხვედრაში ტატანაშვილს კიდევ რამდენიმე გოლის გატანაც შეეძლო, — ყოველ შემთხვევაში, სულ მცირე ორჯერ, რეალურზე-რეალური მომენტი ვერ გამოიყენა. თუმცა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ სამშობლოში დაბრუნებულმა ფორვარდმა „გოლის გემო“ გაიხსენა და საუკეთესო ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა. ტატანაშვილი „მეტალურგში“ ამ ზაფხულს ჩაირიცხა, საქართველოში კი 2011 წლის დასაწყისში დაბრუნდა, მაგრამ თბილისის „დინამოში“ საქმეები ისე ვერ აეწყო, როგორც ბევრი ვარაუდობდა. ახლა კი (კონკრეტულად - ბოლო ორ მატჩში) ისევ „იმ“ ტატანაშვილს გვაგონებს, თბილისის „ამერიში“ ასპარეზობისას (2007-2008 წლებში) რომ გვახსოვს...

გამოცდილება არც **გიორგი მანწკავას** აკლია — 29 წლის ფეხბურთელი უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „მერანში“ ამ სეზონის დაწყების წინ ჩაირიცხა და სულ მალე გახდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო: 2001-2006 წლებში მანწკავას საკმარისზე მეტი გამოცდილება დაუგროვდა სხვადასხვა ქართულ გუნდში (თბილისის „დინამო“, „ლოკომოტივი“, ბათუმის „დინამო“) ასპარეზობისას. მერე იყო უცხოური კარიერა, როცა სამი წლის განმავლობაში... ირანის ჩემპიონატში თამაშობდა. საქართველოში კი ორი წლის წინათ დაბრუნდა - გარკვეული პერიოდი ცხინვალის „სპარტაკში“ დაჰყო, წინა სეზონი კი პირველ ლიგაში, კერძოდ ბათუმის „დინამოში“ ჩაატარა და აი, ისევ უმაღლეს ლიგაშია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მერანის“ ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა და 3 გოლით გუნდის საუკთესო ბომბარდირიც გახლავთ.

### სამწვრთნელო კარუსელი

წინა ტურის მიმოხილვაში ერთ-ერთი ქვეთავი „სამწვრთნელო რებუსით“ დავასათაურეთ და ისიც აღვნიშნეთ, რომ ჩვენს ჩემპიონატში მწვრთნელების წასვლა-მოსვლამ ისეთი ტემპი აიღო, ევროპული კი არა, საერთოდ, მსოფლიოს მასშტაბით სარეკორდო მაჩვენებელიც გვქონდეს-თქო. ჰო, მართლაც ასეა: ყოველი ტურის წინ (!) თუ შემდეგ (!!), სულ მცირე, ერთი-ორი სამწვრთნელო ცვლილება უნდა მოხდეს!!! ამ მხრივ გამონაკლისი არც VI ტური იყო; უფრო ზუსტად, ვიდრე ტური დაიწყებოდა, მთავარი მწვრთნელი ორ გუნდში შეიცვალა: „სიონში“ 32 წლის **ლევან ბაჯელიძე** მივიდა, „სპარტაკში“ კი წელიწადნახევრიანი „პაუზის“ მერე გამოცდილი სპეციალისტი **ვლადიმერ ხაჩიძე** დაბრუნდა. ბაჯელიძისთვის „სიონი“ უცხო გუნდი ნამვილად არ არის — ამ ქვემოქართლურ გუნდში 6 სეზონი თამაშობდა, გარკვეული პერიოდი გუნდის კაპიტანიც გახლდათ, საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა (2006 წელს) და კარიერაც სწორედ აქ დაამთავრა. თუმცა ისევ ბოლნისელთა საკლუბო სტრუქტურაში დარჩა სამუშაოდ და წინა კვირამდე „სიონის“ სპორტული დირექტორი იყო, ახლა კი პირველი მატჩი ჩაატარა მთავარი მწვრთნელის რანგში. თანაც, კაცს ბედიც ხომ უნდა ჰქონდეს — ლევან ბაჯელიძის სამწვრთნელო დებიუტი მაინცდამაინც მოქმედ ჩემპიონთან შედგა და „ზესტაფონთან“ წაგების გამო ბოლნისელებს არც არავინ დაძრახავდა. ისე, ამ შეხვედრის თვითმხილველების თქმით, წინა მატჩებთან შედარებით, „სიონი“ ბევრად უკეთ გამოიყურებოდა და ყოველივე კი იმის იმედს იძლევა, რომ ქვემოქართლელები სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებას შეძლებენ.

... ხაშურის „ივერია“, გორის „დილა“, თბილისის „ვიტ ჯორჯია“, „ბორჯომი“, „გაგრა“, ცხინვალის „სპარტაკი“, — ეს იმ გუნდების არასრული ჩამონათვალია, სადაც **ვლადიმერ ხაჩიძეს** წარმატებით უმუშავია. ახლა კი თავის ერთ-ერთ ყოფილ კლუბში დაბრუნდა, საიდანაც შარშან გაზაფხულზე, ცოტა არ იყოს, უცნაური მიზეზის გამო წამოვიდა (არა გვგონია, საკუთარი სურვილით): ცხინვალის „სპარტაკმა“ საქართველოს თასის ნახევარფინალში... თბილისის „დინამოს“ ვერ აჯობა და ამიტომაც გაათავისუფლეს! ის ფაქტიც საინტერესო იყო, რომ უმაღლეს ლიგაში ხაჩიძის დაბრუნება ასევე ყოფილ კლუბთან მოხდა: 2008-09 წლების სეზონში ხომ „გაგრას“ მთავარი მწვრთნელი იყო.

ეს ორი სამწვრთნელო ცვლილება ტურის წინ მოხდა, შემდეგ კი მორიგი გადადგომის შესახებაც შევიტყვეთ: „მეტალურგთან“ წაგებული მატჩის შემდეგ **გიორგი კიკნაძე** და **ზაზა ზამთარაძე** ქუთაისის „ტორპედოდან“ წამოვიდნენ. სამწუხაროდ, ესოდენ ხანმოკლე აღმოჩნდა ამ ახალგაზრდა მწვრთნელებისათვის უმაღლეს ლიგაში დაბრუნება; თანაც, „ტორპედოს“ ამბიციურ ხელმძღვანელობასა თუ კლუბის არანაკლებ ამბიციურ და მომთხოვნ გულშემატკივრებს ალბათ, ნამდვილად არ აკმაყოფილებდათ ქუთაისური გუნდის ნაჩვენები შედეგები. ქართული „სამწვრთნელო კარუსელი“ კი კვლავაც ტრიალებს და ტრიალებს...

**გია ტუხაშვილი**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები**

## VI ტურის სიმბოლური ნაკრები




...ული ბიბლიოთეკა



გიორგი კიკნაძე (მარცხნივ) და ზაზა ზამთარაძე

## პირველი ლიგა, V ტური

**ბ ზონა**

| | |
|---|---|
| ადელი-სქური | 0:1 |
| სამგურალი-აეტი | 2:0 |
| გურია-ზოოვეტი | 3:0 |
| ჩიხურა-იმერეთი | 3:0 |
| ნ. დინამოელი-სულორი | დღეს |

**ა ზონა, 20 სექტემბერი**

სამტრედია-ბათუმი
მეშახტე-მესხეთი
ჭიათურა-მერცხალი
კოლხეთი (ხ)-ჩხერიმელა
ლოკომოტივი-სტუ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 5 | 5 | 0 | 0 | 13-1 | 15 |
| 2. გურია | 5 | 3 | 2 | 0 | 13-3 | 11 |
| 3. ზოოვეტი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-9 | 9 |
| 4. ნ.დინამოელი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 5. სქური | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 6. სამგურალი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 7. ადელი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-6 | 4 |
| 8. იმერეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 9. აეტი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-7 | 3 |
| 10. სულორი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-11 | 1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 2. სტუ | 4 | 2 | 2 | 0 | 11-7 | 8 |
| 3. მერცხალი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 4. ჭიათურა | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| 5. ჩხერიმელა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 6. კოლხეთი (ხ) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 7. მეშახტე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-2 | 3 |
| 8. მესხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 9. ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 10. სამტრედია | 4 | 0 | 1 | 3 | 2-6 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. III ტურის მიმოხილვა

# 8-კარატიანი ოქრო

## მოურინიოს სიშლეგე, კონეს გმირობა, ბასკური თრილერი და ბეტისის საჩემპიონო შანსები

სად ხდებოდა III ტურში (რიგითობით IV-ში) ყველაზე საინტერესო მოვლენები? გააჩნია, თქვენ რა უფრო გხიბლავთ: თუკი - დაძაბული მატჩი და ზღვარს გადასული ემოციები, მაშინ „ბილბაო"-"ბეტისი" სათქვენოა; თუ გოლთაცვენა - „ბარსა"-"ოსასუნა" აგერ არ არის? აი, თუ მოედნისმიღმა ინტრიგები უფრო გაღელვებთ, პირდაპირ ჟოზე მოურინიოს კომენტარი წაიკითხეთ, რომელსაც „ტურის ფრაზებში" იპოვით.

### ბარსა- რეალობა

| | |
|---|---|
| **ბარსელონა-ოსასუნა** | **8:0** |
| **ლევანტე-რეალი** | **1:0** |

ანგარიშებიდანაც კარგად ჩანს ყველაფერი - მაშინ, როცა „ბარსელონამ" 1996 წლის შემდეგ პირველად მოიგო „კამპ ნოუზე" ამხელა ანგარიშით, „რეალმა" ვალენსიაში წაგება მოახერხა, თანაც „ვალენსიასთან" კი არა, ვალენსიის მხარის სიძლიერით მესამე კლუბ „ლევანტესთან".

*„ჩვენ დავდგით ნაღდი საფეხბურთო შოუ. ეს ყველაზე ქმედითი პასუხია ჰაერში გამოკიდებულ კითხვებზე, რომლებიც, იმედია, აზრს კარგავს"*, - განაცხადა ამაყმა **ხოსეპ გვარდიოლამ** „ოსასუნას" 8:0 დამარცხების შემდეგ. სხვათა შორის, პეპმა ნავარული კლუბი შეაქო: *„ლიგაში არცთუ ბევრია ისეთი*




*კლუბი, რომელთაც შეუძლიათ „ბარსელონასთან" შეტაკება, „ოსასუნა" ერთ-ერთია. მე ამ გუნდს კარგად ვიცნობ და ხოსე ლუის მენდილიბარსაც დიდად ვაფასებ"*, - დაგვეთანხმებით, ეს ფრაზა რაღაცით ჭირისუფალთა გასამხნევებელს ჰგავს.

**მენდილიბარმა** თქვა ის, რაც ჩვენ გუშინ დავწერეთ - ჩვენ „ბარსას" მინიკრიზისს შევეწირეთო. *„უსაშველო არაფერია, როცა ტაიმს 0:5-ს აგებ, უკვე მომდევნო მატჩზე ფიქრობ"*, - განაცხადა ნავარელთა თავკაცმა.

ყველაზე ნათლად „ბარსას" სათქმელი **დავიდ ვილიამ** გამოთქვა: *„8:0 ჩვენ ძალიან დაგვეხმარება საკუთარი ძალების რწმენაში. ეს თამაში სწორედ საამისოდ გამოგვადგება"*.

მოდი, კიდევ ერთხელ „გადავავლოთ თვალი" ამ მატჩს:

„ბარსელონას" ბურთის ფლობის ფანტასტიკური პროცენტი ჰქონდა - 79,3%. იყო მომენტები, როცა ეს მაჩვენებელი 90%-ს აღწევდა.

„ბარსას" ფეხბურთელებმა გააკეთეს 805 ზუსტი პასი, ნავარელებმა - 119.

18 გასროლიდან კარისკენ 15 წავიდა, აქედან 8 გოლად იქცა, ორი ძელს მოხვდა, ხუთჯერ კი „ოსასუნას" მეკარემ იყოჩაღა. მაშინ როცა, **ვიქტორ ვალდესი** თამაშში მხოლოდ ერთხელ ჩაერთო.

„ბარსელონამ" ასეთი ანგარიშით შინ ბოლოს „ლოგრონიესს" მოუგო, 1996/97 წლების სეზონში.

„ოსასუნა" დავიდ ვილიას საყვარელი საკბილოა - „ელ გუახემ" კარიერის მანძილზე 13 გოლი გაუტანა ნავარულ კლუბს.

**სესკ ფაბრეგასი** ერთადერთია „ბარსას" შემადგენლობაში, რომელმაც ჩემპიონატის ყველა მატჩში გამოიჩინა თავი.

**ჩავიმ** 101-დან 87 ზუსტი პასი გააკეთა, მან **ანდრესს** თავზე გადაუგდო ბურთი. ეს ჩავის კარიერაში მე-40 საჩემპიონატო გოლია, თუმცა ჩავი არ იყო საუკეთესო მეპასე მატჩში (ეს კი ძალზე იშვიათია) - სესკმა 112-დან 101 ზუსტი პასი გააკეთა.

**ტიაგო ალკანტარამ** ყველაზე მეტჯერ მოუპოვა „ბარსას" დაკარგული ბურთი - 8-ჯერ.

ეს მატჩი მე-100 იყო კლუბის მაისურით ჩემპიონატის მატჩებში ორი ბარსელონელისთვის - **ერიკ აბიდალმა** 100-იან თამაშს 4 სეზონში მიაღწია, **დანი ალვეშმა** კი - 3-ში.

რას აკეთებს ჟოზე მოურინიო, როცა უჭირს? მართალია, ის ყველაფერს მსაჯებს აბრალებს. თუმცა „ლევანტესთან" მატჩში ჟოზე შორსაც წავიდა და მსაჯის გარდა **სამი ხედირასაც** მისდგა. საკუთარი ფეხბურთელის დადანაშაულება კი „განსაკუთრებულს", როგორც წესი, არ ახასიათებს. პორტუგალიელი ამტკიცებს, რომ 62-ე წუთზე „ლევანტეს" ნახევარმცველმა **ვისენტე იბორამ** საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, რის გამოც პენალტი იყო დასანიშნი, ხოლო იბორას მეორე ყვითელი ბარათი უნდა მიეღო.

მოურინიომ მძაფრად გააკრიტიკა მეტოქე გუნდის სათამაშო ტაქტიკა, ხედირას კი დააბრალა, ვალენსიელთა დაგებულ ხაფანგში რომ გაები, გუნდი დააზარალეო. მოურინიოს გამონათქვამს სრულად ტურის ფრაზებში გთავაზობთ.

### ლეო VS რონალდო. დუბლი III

ამ თამაშის წინ არგენტინელი და პორტუგალიელი არათანაბარ სიტუაციაში მოხვდნენ, რონალდოს ზაგრებში მიღებული ტრავმის გამო, წესით, არ უნდა ეთამაშა „ლევანტესთან", მაგრამ მოურინიომ ის მეორე ტაიმში შემოიყვანა, თუმცა მადეირელი გუნდს ვერაფრით დაეხმარა. **ლეო მესის** ანგარიშზე კი 3 გოლი და 2 საგოლე პასია „ოსასუნას" კარში. მესიმ 8-დან 6-ჯერ ზუსტად დაარტყა, ორჯერ დაჯარიმდა და 4-ჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში. **რონალდომ** 45 წუთში 5-ჯერ დაარტყა კარისკენ, მაგრამ მარტო ერთხელ ზუსტად. 3-ჯერ დაჯარიმდნენ პორტუგალიელის წინააღმდეგ. goal.com-ის შეფასება: მესი - 9, რონალდო - 6,5.

მესიმ დუელი მოიგო ულაპარაკოდ. აქამდე მათ შორის 2:1 იყო რეალელის სასარგებლოდ ასე რომ, ახლა გახდა: 2:2

### ტურის სიმბოლური ნაკრები

GOALCOM 4-3-3

სიმბოლურში არაა „რეალის" თუნდაც ერთი ფეხბურთელი. სამაგიეროდ, „ბარსელონამ" რჩეულებში 4 წარადგინა. ლა ლიგაში ერთი ფეხბურთელიც აღარ დარჩა, რომელიც სეზონის ყველა სიმბოლურში მოხვდა.

### მეკარე

**ხუან პაბლო** (სპორტინგი, 1): მისი გუნდი ბოლო ადგილზეა, მან ვერ აილო **რობერტო სოლდადოს** დარტყმული, როცა ამ უკანასკნელმა **ჟონასის** დარტყმულს დაამატა, მაგრამ, სხვა მხრივ, ხუან პაბლო უბადლო იყო - ერთადერთი ნათელი წერტილი დღევანდელ „სპორტინგში".

### მცველები

**ხავი ვენტა** (ლევანტე, 1): გაანეიტრალა მარსელო ფლანგზე და გამარჯვების გოლი **არუნა კონემ** მისი პასით გაიტანა.

**სერხიო ბალესტეროსი** (ლევანტე, 1): ვეტერანმა კაპიტანმა დიდებულად ითამაშა და **ბენზემას** ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა, მან არც რონალდო გაახარა.

**ადილ რამი** (ვალენსია, 1): ტყუილად არ დაუჭერია თადარიგი „ვალენსიას" 1 წლით ადრე, ფრანგი შესანიშნავი სტოპერია.

**ერიკ აბიდალი** (ბარსელონა, 2): დაუბრუნდა დაცვის ფლანგს, გააკეთა საგოლე პასი ვილიაზე.

### ნახევარმცველები

**სესკ ფაბრეგასი** (ბარსელონა, 2): გოლი და 3 საგოლე პასი მის ანგარიშზე. ლეო მესისთან შესანიშნავი დუეტი ჩამოაყალიბა.

**ჩავი** (ბარსელონა, 1): გაიტანა ფანტასტიკური გოლი, ახლოს არ გააჭაჭანა „ოსასუნას" ნახევარდაცვა.

**დანიელ ბენიტესი** (გრანადა, 1): მარცხენა ფლანგიდან „ვილიარეალის" დაცვა აიკლო, შექმნა გამარჯვების გოლი.

### თავდამსხმელები

**ლიონელ მესი** (ბარსელონა, 2): უკომენტაროდ.

**რობერტო სოლდადო** (ვალენსია, 2): სეზონში მე-5 გოლი გაიტანა, რომლის წყალობითაც „ვალენსიამ" 3 ქულა დაიბევა.

**რადამელ ფალკაო** (ატლეტიკო, 1): აქამდე „ატლეტიკოს" გოლი არ ჰქონდა გატანილი, ფალკაომ კი ერთბაშად სამი შეაგდო.

### ტურის გმირი

**არუნა კონე** (ლევანტე) - „რეალის" კარში გამარჯვების გოლის ავტორი კოტდივუარელი ფორვარდი.

### ტურის მატჩი

**ბილბაო vs ბეტისი**

ხუთგოლიანი ტრილერი, რომელიც სასწაულებრივ მოიგო ანდალუსიურმა კლუბმა, თანაც სად საფეხბურთო კათედრალზე - „სან მამესზე", რა აღარ იყო ამ თამაშში: დიდებული ტემპი, ბრწყინვალე გოლები, საეჭვო ეპიზოდები, ჩხუბი და ბოლო წუთების დრამა. „ბეტისმა" გაძლო და ლიგას „ვალენსიასთან" ერთად უდანაკარგოდ ლიდერობს.

### ტურის ფრაზები

**ჟოზე მოურინიო**: *„ჩვენ რომ პენალტი გაგვეტანა, 10X10 სულ სხვა თამაში იქნებოდა. მაგრამ არ შეიძლება არ დავუფასო მეტოქე გუნდსაც, მინდა მივულოცო - მათ იციან ძალიან კარგად, როგორ უნდა პროვოცირება, სიმულანტობა, დროის გაყვანა. სამწუხაროდ, ესეც ფეხბურთის ნაწილია და ჩემი ფეხბურთელები ამ საკითხში გამოუცდელები არიან. „ლევანტე" ლიგაში ყველაზე დიდი პროვოკატორი და სიმულანტი გუნდია. სამწუხაროდ, სამი ხედირა აზრზე არაა, რას ნიშნავს „ჭუჭყიანი" ფეხბურთი. ამიტომაც ის იოლად გაება „ლევანტეს" მახეში. ნაწილობრივ ხედირაა დამნაშავე, რომ წავაგეთ, ნაწილობრივ კი - მსაჯი პენალტის არდანიშვნისა და მეტოქის არგაგდებისთვის"*, - და ეს ყველაფერი მან ვალენსიაში, პრესკონფერენციაზე თქვა.

**ტიაგო ალკანტარა**: *„ლა ლიგა რომ ორი ბედაურის დოღი არაა, ბოლო ორმა ტურმა დაადასტურა ჯერ ჩვენ დაგვიცდა ფეხი, შემდეგ კი - „რეალს", - „ბარსას" ტალანტი მესამე ტურის შემდეგ.*

**ხოსე ანტონიო რეიესი**: *„უბრალოდ, შეუძლებელია „ბარსელონასა" და „რეალის" საჩემპიონო ბრძოლაში ჩარევა, თუმცა პრიმერადივიზიონი მაინც უფრო ძლიერია, ვიდრე ინგლისის პრემიერლიგა, სადაც ორი ასეთი გამოკვეთილი ლიდერი არაა და ჩემპიონობისთვის ბრძოლაც უფრო საინტერესოა"*.

**ლუის გარსია**: *„ის, ვინც ბოლოს გაიცინებს, დიდხანს იცინებს"*, - „ხეტაფეს" თავკაცი იხტიბარს არ იტეხს.

**ექტორ კუპერი**: *„ყველაფერი, რაც მოედანზე გავაკეთეთ, არასწორი იყო"*, - „ატლეტიკოსთან" 0:4 მარცხის შემდეგ.

**პეპე მელი**: *„ლიგაში „რეალი" და „ბარსელონა", რომ არ თამაშობდნენ, ჩემპიონობაზე ვიფიქრებდი"*.




### ტურის მსხვერპლნი

**ჟოან ვერდიუ** (ესპანიოლი) - „სარაგოსასთან" მატჩის 24-ე წუთზე დაიზიანა მარჯვენა ფეხი, შემდეგ ტურში მისი თამაში საეჭვოა.

**სილვიო** (ატლეტიკო) - მადრიდელთა პორტუგალიელი მცველი „რასინგთან" მატჩს უეჭველად გამოტოვებს.

**ჩაბი პრიეტო** და **დავიდ ზურუტუზა** (რეალ სოსიედადი) - „გრანადასთან" მატჩს გამოტოვებენ.

### ტურის სტატისტიკა

26 გოლი ტურში (2,6 მატჩში). 6 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 4 სტუმრებმა, ფრე არ ყოფილა. ტურში მსაჯებმა 68 ყვითელი და 4 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - ლეო მესი (ბარსელონა), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

დუბლი - დავიდ ვილია (ბარსელონა), **ლუის გარსია** (სარაგოსა)

ლუის გარსიამ და ჯუზეპე როსიმ (ვილიარეალი) ვერ გაიტანეს პენალტები

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **იკერ მუნიაინი** (ბილბაო, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: **70 500- „კამპ ნოუ"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **12 000 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **18 - ბარსელონა, ბილბაო**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **15 - ბარსელონა**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **21 - მალიორკა**

ყველაზე მეტი კუთხური: **8 - ბილბაო, ბარსელონა, რაიო ვალეკანო, მალაგა**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **7 - ბარსელონა**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **79% - ბარსელონა**

**დაბოლოს** ტოტალიზატორმა „ბეტ-365-მა" გამოაცხადა ფსონების მიღება იმაზე, თუ როდის გაიტანს „ბარსელონა" თამაშში 10 გოლს...

### ლა ლიგა. IV ტური

**დღეს**

| | |
|---|---|
| **ოსასუნა-სევილია** | **22:00** |
| **სოსიედადი-გრანადა** | **22:00** |
| **ვილიარეალი-მალიორკა** | **00:00** |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● უხეშობა და უიღბლობა

# დიდი მატჩის აფტერშოკები

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** „ჩელსის“ ცნობილ მცველ **ეშლი კოულს** უხეში უწოდა და დასძინა, რომ მან შოკისმომგვრელი რამ გააკეთა - ლაპარაკია კვირას, „ოლდ ტრეფორდზე“, „იუნაიტედსა“ და „ჩელსის“ შორის გამართული შეხვედრის იმ ეპიზოდზე, როდესაც ინგლისის ნაკრების ვეტერანმა მექსიკელ ახალგაზრდას კოჭებში მწარედ მიარტყა. ცნობისათვის: კოული 30 წლისაა, ერნანდესი კი ოცდასამის. შეგახსენებთ, რომ ფერგიუსონის გუნდი ხუთი ტურის შემდეგ პრემიერლიგის ცხრილს ერთპიროვნულად მოექცა სათავეში, „ჩელსი“ კი დამარცხდა და თან, ესპანელ ფორვარდ **ფერნანდო ტორესთან** დაკავშირებულ, ინგლისური პრესისთვის სასეირო ისტორიაში გაეხვა - ტორესმა, მართალია, გოლი შეაგდო, რის გამოც სხვა დროს მასმედია ძალიან შეაქებდა („ელ ნინიოდ“ წოდებულ ესპანელს დიდი ხანია გოლი არ ჰქონდა გატანილი), მაგრამ თამაშის ბოლო პერიოდში ისეთი ვერ გაიტანა, რომ ცინიკოს ინგლისელებს შეგდებული დაავიწყა და ერთობლივ სიცილ-ხითხითზე გადაიყვანა. ტორესს ის გოლი რომ შეეგდო - რისი გაკეთებაც არშეგდებაზე გაცილებით ადვილი ჩანდა - ანგარიში 3:2-მდე შემცირდებოდა და „ლურჯებს“ ძალების მოსაკრებად დროც დარჩებოდათ.

ამრიგად, ტორესმა, რომელიც „ლივერპულის“ შემადგენლობაში „ოლდ ტრეფორდზე“ ყოველთვის მრისხანე ფორვარდად წარმოჩნდებოდა ხოლმე, „ჩელსის“ ლურჯი მაისურით 24 შეხვედრაში მხოლოდ მეორედ შეაგდო. შეგახსენებთ, რომ „ელ ნინიო“ დასავლეთლონდონელებს იანვარში 50 მილიონი ფუნტი დაუჯდათ.

*„მოდი, სიმართლე ვთქვათ: დღეს მსოფლიოს ორმა საუკეთესო თავდამსხმელმა შესანიშნავი შესაძლებლობები გაუშვა ხელიდან. დიახ, ფერნანდომ ვერ გაიტანა, მაგრამ უეინ რუნიმაც ვერ შეაგდო პენალტი“*, — გამოექომაგა თავის ფეხბურთელს „ჩელსის“ პორტუგალიელი თავკაცი **ანდრე ვილაშ-ბოაში**.

თუმცა კოულის უხეშობისა და ფერგიუსონის გაბრაზების ამბავს დავუბრუნდეთ.

*„კოული, ხანდახან, არც მეტი არც ნაკლები, უხეშია. მან ერნანდესის წინააღმდეგ საშინლად იუხეშა. მესმის, რომ ის თავდადებული ფეხბურთელია, მაგრამ თავდადება ზღვარს არ უნდა გადასცდეს. ეს ეპიზოდი სწორედ ზღვარგადასული თავდადების მაგალითი იყო“* — თქვა სერ ალექსმა.

რამდენად მძიმედ დაშავდა ჩიჩარიტო, ამ დღეებში გამოჩნდება, თუმცა იმ მომენტში მექსიკელი მოედანზე დაენარცხა, ექიმების წინასწარი პროგნოზით — შესაძლოა ერნანდესი „იუნაიტედს“ ორი კვირითაც კი გამოაკლდეს. საინტერესოა, რომ კოულმა ერნანდესი საჯარიმოში წააქცია, რამაც ფერგიუსონის გაკვირვება გამოიწვია:

*„მსაჯმა კოულს ყვითელი ბარათი აჩვენა, რამაც დამაბნია. მაშინ, პენალტი რატომ არ დანიშნა? როდესაც შევხვდები აუცილებლად უნდა ვკითხო. რა სჭირს ჩიჩარიტოს, ამ დღეებში უფრო კარგად გამოჩნდება. დღეს ფეხი დაბუჟებული აქვს. ვშიშობ, რომ ტრავმამ მას შეიძლება რამდენიმე კვირა გამოატოვებინოს“.*

შეხვედრის მსაჯი **ფილ დოდი** გახლდათ, რომელმაც პენალტი იმიტომ არ დანიშნა, რომ ბურთი თამაშიდან უკვე გასული იყო. კოულმა ჩიჩარიტოს წინააღმდეგ, ასე ვთქვათ, „გვიან იუხეშა“. საინტერესოა, რომ ამ ეპიზოდისთვის თავისი ფეხბურთელი ვილაშ-ბოაშმაც გააკრიტიკა, თუმცა მან მოვლენებს სულ სხვა კუთხით შეხედა. ახალგაზრდა პორტუგალიელმა სპეციალისტმა თქვა, რომ ამ „საწითლე უხეშობამდე“ წამებით ადრე მსაჯს და თანამსაჯს სწორი გადაწყვეტილებები რომ მიეღოთ, კოული ორთაბრძოლაში საერთოდ არ შევიდოდა. ვილაშ-ბოაშმა ისიც დასძინა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ პირველი ორი გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა.



● მანჩესტერ იუნაიტედი



ჟოზე მოურინიო (მარცხნივ) და ალექს ფერგიუსონი

# ფერგის მოუ მოუნდა

საქმე საქმეზე რომ მიდგება, სერ **ალექს ფერგიუსონი** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელებს თავის მემკვიდრედ **ჟოზე მოურინიოს** შესთავაზებსო, დაბეჯითებით წერს „დეილი მეილი“. გაზეთი იქვე დასძენს, რომ დიდი მწვრთნელის გადაწყვეტილება, „იუნაიტედი“ ყოფილ მთავარ კონკურენტს გადააბაროს, უდიდესი გამოცდა იქნება „განსაკუთრებულისთვის“, რომელმაც „პორტუში“, „ჩელსიში“, „ინტერსა“ და „რეალში“ მუშაობის დროს მრავალი მტერი და მოძულე შეიძინა.

„იუნაიტედის“ შეფები სერ ალექსის ამ გადაწყვეტილებამ თურმე გვარიანად დაძაბა. მათ ეშინიათ, რომ მოურინიოს თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში „მსოფლიოში ყველაზე დიდ“ კლუბს სახელი შეებლალება. მათი შიში ძნელი გასაგები ნამდვილად არ არის. „განსაკუთრებულად“ თავისებური ქცევისა და ზნის კაცია და დღენიადაგ ისეთ რაღაცებს აკეთებს, რაც კამათსა და აღშფოთებას იწვევს. ასე მაგალითად, „რეალისა“ და „ბარსელონას“ ბოლო დაპირისპირების დროს მოუმ კატალონიელთა ერთ-ერთ მწვრთნელ **ტიტო ვილიანოვას** უკნიდან ყური აუწია, უფრო სწორად კი ეს ვერ მოახერხა და თვალში თითის ტაკება გამოუვიდა. თუმცა, ფერგიუსონი ასეთ ამბებს არად დაგიდევთ და დარწმუნებულია, რომ მოურინიო, რომელთანაც 2007 წლის (პორტუგალიელის ინგლისიდან წასვლის) შემდეგ შესანიშნავი ურთიერთობა აქვს, სწორედ ის კაცია, ვინც „იუნაიტედს“ სჭირდება.

*„ალექსსა და ჟოზეს მეგობრული ურთიერთობა აქვთ, - უთხრა „დეილი მეილს“ ადამიანმა, რომელიც ორივე მწვრთნელთან ახლობლობს, - გარწმუნებთ, რომ ფერგიუსონი ყველა ღონეს იხმარს, რათა „იუნაიტედიდან“ მისი წასვლის შემდეგ „ოლდ ტრეფორდზე“ მწვრთნელად მოურინიო მივიდეს. ჟოზეს „რეალში“ უამრავი პრობლემა აქვს, მაგრამ ფერგიუსონმა კარგად იცის, რომ ამ პრობლემათა მეტი წილი მისი ეროვნებითაა განპირობებული. მოურინიო პორტუგალიელია და ამით ამაყობს, ესპანელები კი პორტუგალიელებს ზემოდან უყურებენ და მათი მითითებებისა და ბრძანებების შესრულებას თაკილობენ. ინგლისში ასე არ არის. როდესაც ჟოზე თანამდებობიდან გაუშვეს, „ჩელსის“ ფეხბურთელები ყურებჩამოყრილნი იყვნენ“.*

მოურინიოს შესახებ თავისი მოსაზრება ხმამაღლა გამოთქვა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთმა ვეტერანმა და ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავმა, 32 წლის **რიო ფერდინანდმა**.

● მარცხის შემდეგ

# მათ უღალატეს ლივერპულს

„ლივერპულის“ თავკაცმა, **კენი დალგლიშმა** თავი ველარ შეიკავა და ლონდონში, „უაით ჰართ ლეინზე“, „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ 4:0 დამარცხების შემდეგ თავის ფეხბურთელებს თავს მეხი დაატეხა: თქვენ კლუბს უღალატეთო. ტურის მიმოხილვაში მოგახსენეთ, რომ „წითლებმა“ თამაში ცხრა კაცით დაასრულეს — მსაჯმა მოედნიდან **ჩარლი ადამი** და **მარტინ შკრტელი** გააძევა. ორივე ფეხბურთელის გაძევების მიზეზი ორ-ორი ყვითელი ბარათი გახლდათ.

მერსისაიდელთა ლეგენდარულმა ბოსმა, რომელსაც „ენფილდ როუდზე“ ბრიტანული სულისკვეთების მქონე გუნდის შექმნა განუზრახავს, თქვა:



*„ბიჭებს ყურების აწევა მოუწევთ. „ლივერპული“ ის კლუბია, რომელიც თავისი ფეხბურთელებისგან 0:4 დამარცხებას არ ელის. ვიცი, ფეხბურთელებს ეამაყებათ, „ლივერპულის“ წევრები რომ არიან, მაგრამ „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში გოლის დასაწყისშივე გაშვებამ ისინი ერთიანად დააბნია და გაანადგურა“.*

საინტერესოა, რომ დალგლიში, რამდენიმე დღის წინ, ინგლისელ მსაჯთა წინამძღოლ **მაიკ რაილის** შეხვდა და მერსისაიდელთა სადისციპლინო პრობლემებზე ელაპარაკა — მსაჯები „წითლებს“ ძალიან ხშირად სჯიან ყვითელი ბარათით, თუმცა, როგორც ჩანს ამ შეხვედრამ შედეგი ვერ გამოიღო, რაც „უაით ჰართ ლეინზე“ ადამისა და შკრტელის ხსენებული გაძევებებით დასტურდება. მსაჯ **მაიკ ჯონსის** მიერ ნაჩვენები წითელ-ყვითლები იმას ნიშნავს, რომ დღეს „ლივერპულს“ ყველაზე მეტი საჯარიმო ქულა აქვს. თუმცა, დალგლიში ამბობს, რომ მის გუნდს არბიტრებთან რაიმე სპეციფიკური პრობლემა არ აქვს:

*„ამ თემას, თქვენი ნებართვით, გვერდს ავუვლი, რადგან მას ვერც ცუდი ფიზიკური მომზადებით ვხსნი და ვერც სხვა რაიმე ფაქტორით. დაე, ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის. შესაძლოა ვინმემ თქვას, რომ „ლივერპულს“ უდისციპლინო ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ჩვენ დისციპლინის თვალსაზრისით შესანიშნავი მაჩვენებელი გვაქვს. ერთ შემთხვევასაც ვერ გაიხსენებთ, ჩვენი ფეხბურთელი მსაჯს რომ გამოსდევნებოდა და კამათი აეტეხა. ერთი სიტყვით, დაკვირვებით ვნახავთ ვიდეოს და თუ შევამჩნევთ, რომ ისეთ შეცდომებს ვუშვებთ, რომელთაც შედეგად გაფრთხილებები და გაძევებები მოსდევს, გამოვასწორებთ. ასეთი პრობლემების არ მეშინია, ეს ყველაფერი წარმავალია. ჩემთვის მთავარია, სტივენ ჯერარდი გამოჯანმრთელდეს დროულად“.*

ჩრდილოეთ ლონდონში ლივერპულელთა რბევა 25 წლის ხორვატმა ვარსკვლავმა, **ლუკა მოდრიჩმა** შესანიშნავი დარტყმით დაიწყო, რასაც **ჯერმაინ დეფოსა** და **ემანუელ ადებაიორის** გოლები მოჰყვა. ადებაიორმა ორი გოლი გაიტანა. ცნობისათვის: ტოგოელი „უაით ჰართ ლეინზე“ პირველად თამაშობდა.

„დეზების“ თავკაცმა, **ჰარი რედნაპმა** ადამი **სკოტ პარკერის** წინააღმდეგ უხეშობის გამო არ გააკრიტიკა, შკრტელზე კი თქვა, **გარეთ ბეილს** ასე უხეშად რომ მოეპყრო, ღირსეულადაც დაისაჯაო.

*„შკრტელის მიმართ სიმპათიით არ ვარ განწყობილი. მას გარეთთან ბრძოლა უჭირს და უხეშობს“.*

● მანჩესტერ სიტი

# მანჩინი: კიდევ მიყიდეთ ფეხბურთელები

„მანჩესტერ სიტის“ თავკაცმა, **რობერტო მანჩინიმ** თქვა, რომ მისმა გუნდმა „ფულჰემთან“ 2:0 უპირატესობა ხელიდან არასაკმარისად ძლიერი შემადგენლობის გამო გაუშვა — იტალიელის აზრით ისტლენდელებს კიდევ მართებთ ფეხბურთელების ყიდვა. შეგახსენებთ, რომ „სიტის“ არაბმა მეპატრონეებმა ბოლო სამ წელიწადში, ფეხბურთელებში 300 მილიონი ფუნტი დახარჯეს. დავაზუსტოთ: 300 მილიონი ფუნტი 473,5 მილიონი ამერიკული დოლარი ან 344,1 მილიონი ევროა.

მანჩინიმ თქვა: *„დღეს ჩვენ ფეხბურთელები გვაკლია. მე მხოლოდ განაპირა მცველებისა და თავდამსხმელების შეცვლა და დასვენება შემიძლია. ნახევარდაცვაში კი შეხედეთ, რა ხდება: ჯეიმს მილნერი და ნაიჯელ დე იონგი დაშავებულები არიან, რაც საშინლად მზღუდავს“.*

ისტლენდელები ხუთი ტურის შემდეგ პრემიერლიგის ცხრილში მეორე ადგილზე რჩებიან, არადა, შეეძლოთ ლიდერთან, „იუნაიტედთან“ თანაბრად ყოფილიყვნენ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „სიტი“ „ფულჰემს“ ლონდონში 2:0-ს უგებდა, მაგრამ უპირატესობა ხელიდან გაუშვა — **ბობი ზამორამ** და **დენი მერფიმ** გაქვითეს.

მანჩინიმ დასძინა: *„როდესაც 2:0-ს იგებ და მოწინააღმდეგე ანგარიშს გითანაბრებს, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს დამარცხდი. 60 წუთის განმავლობაში სრულ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ „ფულჰემმა“ ორი გოლი გაგვიტანა. როგორც ჩანს, სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავართ. ლონდონელებმა 10-15 წუთის განმავლობაში ძალიან კარგი ფეხბურთი ითამაშეს, მაგრამ ჩვენნაირ ტოპგუნდს მეტი მოეთხოვება. ისეთი დონის გუნდი, როგორიც „სიტია“, შეხვედრას მეტად უნდა აკონტროლებდეს.*

*ჩვენ სულელური გოლები გავუშვით. არადა, ინგლისში ყველა თამაში ასეთია. პრემიერლიგაში არ არსებობს გუნდი, რომელიც 2:0 ჩამორჩენის გამო ბრძოლას წყვეტს. ყველა ფეხბურთელი ვალდებულია, მეტოქის შეტევათა ჩაშლაში მონაწილეობა მიიღოს. 10 წუთის განმავლობაში 5-6 კაცით დაცვაზე გადავედით და დავისაჯეთ. როგორც ჩანს, ჩემმა ფეხბურთელებმა ჩათვალეს, რომ თამაში უკვე მოგებული ჰქონდათ“.*

მოგეხსენებათ, ისტლენდელთაგან ორივე გოლი არგენტინელმა ახალწვეულმა, 23 წლის **სერხიო აგუერომ**, იმავე **კუნმა** გაიტანა. მანჩინიმ თქვა:

*„აგუეროს წარმატება მახარებს, მაგრამ ძალიან მოხარული ვიქნები თუ მომავალში ის მხოლოდ ერთს გაიტანს, გუნდი კი მოიგებს“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



რობერტო მანჩინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტურის გამოხმაურება

# ზიზღი, რომელიც ნაღდია

## სამოთხე ჯოჯოხეთად გადაიქციო, ამას მოხერხება არ უნდა?!

ბუნდესლიგის მე-6 ტური ემოციებით დატვირთული კი არა, გადატვირთული იყო – გასაანალიზებელი ძალიან ბევრია. ყველაზე ხმაურიანი მოვლენა უდავოდ ჩემპიონის უილბლო მარცხი იყო – დორტმუნდის „ბორუსია“ ჰანოვერში დიდხანს და დამსახურებულად იგებდა, მაგრამ მატჩის მიწურულს ორ წუთში ორი გოლი გაუშვა და ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. „შავ-ყვითლები“ „ბაიერნს“ უკვე 8 ქულით ჩამორჩებიან. შავი დღე გაუთენდა გერმანიის ვიცე-ჩემპიონსაც: „ლევერკუზენმა“ „კიოლნთან“ 1:4 წააგო, რაც ლუკას პოდოლსკის დამსახურებაა. ყურადღების ცენტრში იყვნენ მეკარეებიც: ეს პირველ რიგში მანუელ ნოიერზე ითქმის, რომელსაც გელზენკირხენულმა პუბლიკამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯოჯოხეთური დახვედრა მოუწყო. „ვერდერის“ მეკარე ტიმ ვიზემ მსაჯს წითელი ბარათი ძალით გამოსტყუა და მოედნიდან „ვოლფსბურგის“ მეკარე მარვინ ჰიტციც გააძევეს – თანაც იმ დროს, როცა „მგლებს“ ცვლილების უფლება აღარ ჰქონდათ და იძულებულები გახდნენ, კარში მინდვრის მოთამაშე ჩაეყენებინათ...




### ნოიერის ჯოჯოხეთი

გელზენკირხენში ლანძღვა-გინება სცოდნიათ, მტრისას! დიდი ხანია, ბუნდესლიგაში ზიზღი ამ დოზით არ გვინახავს, ან გვინახავს კი ოდესმე? მანუელ ნოიერმა „ბაიერნის“ ფორმით გელზენკირხენში პირველად ითამაშა და „არენა აუფ შალკე“ გამარჯვებულმა კი დატოვა (ბაიერნმა 2:0 მოიგო), მაგრამ ისეთი ლანძღვა დაატყდა თავს, რომ სიკვდილამდე ემახსოვრება. შავადაა მანუს საქმე: მიუნხენში ოლივერ კანის შეურაცხყოფას არ პატიობენ, გელზენკირხენში მიუნხენში გადასვლას (ბაიერნმა ნოიერი ზაფხულში 25 მილიონად იყიდა) და ერთი სიტყვით, გერმანიის ნაკრების მეკარე საშინელ დღეშია.

თამაშის დაწყებამდე ერთი საათი იყო დარჩენილი, როცა ნოიერი „აუფ შალკეზე“ გამოჩნდა, ძველ ნაცნობებს მიესალმა და სანამ მოედანზე გასახურებლად გავიდოდა, „შალკეს“ ფანებმა მოლოდინისამებრ შემოსძახეს: *„გამოდი, შე მეძავო, გამოდი ნაგავო!“ „იუდა, იუდა!“*

ტრანსფარანტებზე უფრო უარესები ეწერა. ჩრდილოეთის ტრიბუნაზე 70 მეტრზე იყო გადაჭიმული პლაკატი, რომელზეც ნაიკითხავდით: *„დავტირით მ. ნოიერს (†2005-2011), რომელიც მკვდრეთით აღსდგა როგორც მარიონეტი. გელზენკირხენის ულტრასები“*. ეს უდიდესი ტრანსფარანტი ერთი საათი ეკიდა და მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩამოხსნეს. „შალკეს“ მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** ამბობს, ფანებს ამის გამო ვერ დავძრახავ, ძალიან ნაწყენები არიან და თავიანთ წყენას გამოხატავენო. იყო პლაკატი წარწერით *„ულის ახალი მეძავი“* - შეგახსენებთ, **ული ჰიონესი** „ბაიერნის“ პრეზიდენტია და ნოიერის დიდი ფოტო წარწერით *„ვცვლი ღირსებას ფულზე“*. ერთ პლაკატზე ეწერა: *„გაყიდო მშობლიური მიწა ტიტულებზე და ფულზე?! თვით იუდასაც კი მეტი ღირსება ჰქონდა!“* იყო შედარებით მოკრძალებული, ზრდილობიანი ტრანსფარანტებიც. მაგალითად: *„ერთი ერა დამთავრდა, ახალი დაიწყო. მანუელი (ჩვენთვის) მოკვდა, გაუმარჯოს რალფს“* - დღეს „შალკეს“ მეკარე **რალფ ფერმანია**.

ნოიერს ამ ყველაფერზე რეაქცია არ ჰქონია, მშვიდად ხურდებოდა. შემადგენლობების გამოცხადების დროს, მანუელ ნოიერის გვარი არავის გაუგონია, რადგან „არენა აუფ შალკე“ ამ დროს გამაყრუებელმა სტვენამ მოიცვა. პირველ ტაიმში ნოიერი იმ კარში იდგა, რომლის უკანაც „შალკეს“ ულტრასების ბლოკია – ბავშვობაში მანუ თვითონაც იმ ბლოკში იდგა ხოლმე. ნოიერს ნერვიულობა ეტყობოდა – 18 წამის შემდეგ წინ გამოვიდა, რათა **ჰუნტელაარისთვის** დაესწრო და ბურთი ვერ შეიმაგრა. სხვა მხრივ, მას მთელი მატჩის განმავლობაში ბევრი საქმე არ ჰქონია. ჰუნტელაარმა ორჯერ დაარტყა და ორჯერვე არაზუსტად – სულ ეს იყო „შალკეს“ ხეირიანი შეტევები. საფინალო სასტვენის შემდეგ მანუმ მოედანი უსიტყვოდ დატოვა.

„ბილდის“ შაბათის ნომერში მანუელის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ამბობდა, „შალკეს“ ფანების ადგილზე რომ ვიყო, საკუთარ თავს არ დავუსტვენდიო – ჩვენ კი მხოლოდ ერთს დავძენთ: „შალკეს“ ფანები მის ადგილზე „ბაიერნში“ არ გადავიდოდნენ...

### ახლა უკვე ოფიციალურად: დორტმუნდი კრიზისშია!

*„ასე წაგება საშინელი განცდაა. ახლა გაცილებით კარგად მესმის, რას გრძნობდა ოტმარ ჰიტცფელდი 1999 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ,“* - თქვა დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** მატჩის შემდეგ. ზედიზედ მეორე, თანაც ასეთი მარცხი იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ჩემპიონი ახლა უკვე ოფიციალურადაა კრიზისში. სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** საგონებელშია ჩავარდნილი – ექვსი ტურის შემდეგ შვიდი ქულა ძალიან ცოტააო. არადა, დორტმუნდელებს ჰანოვერში ცუდად არ უთამაშიათ. პირიქით, 75 წუთის მანძილზე კარგად გამოიყურებოდნენ – „ბორუსია“ დომინირებდა, 1:0-ს იგებდა და ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ სამ ქულას მოიპოვებდა.




მაგრამ სულ ბოლოს დორტმუნდელებმა ძალების დაზოგვა დაიწყეს, ბურთს წინ უაზროდ იგერიებდნენ და „ჰანოვერს“ თამაშში დაბრუნების საშუალება მისცეს. ზუსტად 120 წამში „ჰანოვერმა“ ორი გოლი გაიტანა და მოქმედი ჩემპიონის კრახი სრულყო.

### პრინცი პოლდი, როგორიც გერმანიას სჭირდება

გახსოვთ, რა ხდებოდა ახალი სეზონისთვის მზადებისას „კიოლნში“? თუ არ გახსოვთ, გაგახსენებთ, რომ უდიდესი დისკუსია გაჩაღდა, როცა „თხების“ ახალმა მწვრთნელმა **სტალე სოლბაკენმა ლუკას პოდოლსკის** კაპიტნის სამკლავური ჩამოართვა. ლუკასს მერეც გაუჭირდა – პირველ ტურში ბუნდესლიგის ყველა მინდვრის მოთამაშეზე ნაკლები ირბინა და მერეც არ მისდიოდა თამაში. შაბათს კი, ყველა პრობლემა ერთბაშად მოეხსნა: ფეხბურთი, რაც პოლდიმ „ლევერკუზენთან“ აჩვენა, სწორედ ისეთია, როგორიც მისგან არა მარტო „კიოლნს“, არამედ გერმანიის ნაკრებსაც სჭირდება. თამამად ვიტყვით: ლუკასმა „კიოლნის“ ფორმით კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

„თხების“ პირველი გოლი მის შესანიშნავ დრიბლინგს მოჰყვა, ამასთან, ორი ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა, მეწყვილე **მილოვოე ნოვაკოვიჩს** იდეალურად უგებდა და ჭკვიანური პასებიც მრავლად არიგა. რაც მისთვის ყველაზე მთავარია, ლევერკუზენელ **ანდრე შიურლეს** უშუალო დუელი მოუგო – გეხსომებათ, გერმანიაში ბოლო დროს იმაზე ალაპარაკდნენ, რომ ბუნდესგუნდში პოდოლსკის ადგილზე შიურლე უნდა თამაშობდეს. ამ უკანასკნელმა ძალიან ცუდად ითამაშა, მატჩის ბოლოს კი სულაც მოედნიდან გააძევეს.

მანამდე პოლდიმ შიურლე ამაზრზენად მოცელა და წითელ ბარათს იმსახურებდა – ეს იმ დღეს მისი ერთადერთი ცუდი საქციელი იყო...

### ჰასებეს კარში რა უნდოდა?

ამის წინა ტურში „ვოლფსბურგმა“ „შალკე“ 2:1 რომ დაამარცხა, გერმანიაში ბევრმა იფიქრა, **ფელიქს მაგათის** გუნდმა, როგორც იქნა, აღმასვლა დაიწყოო, მაგრამ „ჰოფენჰაიმთან“ შეხვედრაში „ვოლფსბურგისთვის“ კარგი აღარაფერი მომხდარა. „მგლები“ განსაკუთრებით სუსტად დაცვაში გამოიყურებოდნენ – **სოტირიოს კირიაკოსი** შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. კარგს ვერაფერს ვიტყვით წინა კვირაში მრავალგზის ნაქებ მეკარე **მარვინ ჰიტცზეც**, რომელიც ტრავმირებულ **დიეგო ბენალიოს** ცვლიდა. **რაიან ბაბელის** გოლის მომენტში ჰიტცი, რბილად რომ ვთქვათ, ცუდად გამოიყურებოდა, მერე კი, როცა ვოლფსბურგელებმა სხვაობა შეამცირეს და კარგად ათამაშდნენ, ისეთი რამ ჩაიდინა, რომ შეხვედრას სასაცილო დასასრული გამოუწერა.

რა დაუყვირა ჰიტცმა მსაჯს, ეს არავინ იცის. მაგათი ამბობს, მარვინმა გვითხრა, მცველებს ვუყვიროდი და მსაჯს ეგონა, რომ მას ვუყვიროდიო. ფაქტი ისაა, რომ არბიტრმა მარვინს მოედანი დაატოვებინა. სასაცილო კი ის არის, რომ იმ მომენტში „ვოლფსბურგს“ ყველა ცვლილება გამოყენებული ჰქონდა და მაგათი იძულებული გახდა, კარში მინდვრის ფეხბურთელი ჩაეყენებინა. ჯერ მცველმა **მარკო რუსმა** გადაწყვიტა კარში ჩადგომა და მეკარის ფორმას იცვამდა, მაგრამ მერე მაინც უარი თქვა. საბოლოოდ, ბევრი იფიქრეს, თუ ცოტა, მეკარეობა **მაკოტო ჰასებეს** ანდეს.

*„მეც იმის მომხრე ვიყავი, რომ კარში ჰასებე უნდა ჩამდგარიყო. იაპონელები ზოგადად ძალიან დისციპლინირებულები არიან და ნებისმიერ პოზიციაზე მაქსიმუმს აკეთებენ ხოლმე,“* - თქვა მაგათმა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „დესპოტ ფელიქსს“ ამ სეზონში თავის მართლება ხშირად მოუწევს.

### მე-6 ტურის სიმბოლური ნაკრები (4-1-3-2)

**სვენ ულრაიხი** (შტუტგარტი, 1) – **ენრიკე სერენო** (კიოლნი, 1), **ქარიმ ჰაგი** (ჰანოვერი, 1), **ჰოლგერ ბადშტუბერი** (ბაიერნი, 1), **ფილიპ ლამი** (ბაიერნი, 1) – **საშა რიტერი** (კიოლნი, 1) – **მარტინ ჰარნიკი** (შტუტგარტი, 1), **რობერტო ფირმინიო** (ჰოფენჰაიმი, 1), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი, 3) – **ლუკას პოდოლსკი** (კიოლნი, 1), **მილოვოე ნოვაკოვიჩი** (კიოლნი, 1)

ჯერ მხოლოდ ექვსი ტურია ჩატარებული და შესაბამისად, სიმბოლურ ნაკრებში დებიუტანტთა სიუხვე არ უნდა გაგვიკვირდეს. სამაგიეროდ, გასაოცარია ის, რომ „ბაიერნის“ ფრანგი დრიბლიორი **ფრანკ რიბერი** „კიკერის“ ტურის სიმბოლურში უკვე მესამედ მოხვდა. რიბო ჯერჯერობით ამ სეზონის საუკეთესო მოთამაშეა.

**ტურის გმირი**

ლუკას პოდოლსკი (ბაიერნი)

დიდი ხანია, ლუკას პოდოლსკი ტურის გმირად არ ულიარებიათ – აღარც კი გვახსოვს, ბოლოს ეს როდის მოხდა. შაბათს პოლდიმ „ლევერკუზენთან“ კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

**საუკეთესო ფეხბურთელები**

6 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | ს/შ. |
|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 2.25 |
| 2. ჰოლგერ ბადშტუბერი | ბაიერნი | 2.33 |
| 3. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2.38 |
| 4. ვილიამ კვისტი | შტუტგარტი | 2.42 |
| 5. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 2.42 |
| 6. ანდრე ტერ შტეგენი | ბორუსია (მ) | 2.42 |
| 7. ანატოლი ტიმოშჩუკი | ბაიერნი | 2.50 |
| 8. კრისტიან ლელი | ჰერტა | 2.58 |
| 9. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.63 |
| 10. ლუის გუსტავო | ბაიერნი | 2.63 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მარიო გომესი | ბაიერნი | 5 | 8 | 1 | 9 |
| 2. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 6 | 5 | 2 | 7 |
| 3. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 6 | 3 | 4 | 7 |
| 4. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 5 | 3 | 3 | 6 |
| 5. რაიან ბაბელი | ჰოფენჰაიმი | 6 | 4 | 1 | 5 |
| 6. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | 6 | 4 | 1 | 5 |
| 7. თომას მიულერი | ბაიერნი | 6 | 1 | 4 | 5 |
| 8. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 5 | 3 | 2 | 5 |
| 9. რაული | შალკე | 6 | 3 | 2 | 5 |
| 10. მარიო მანჯუკიჩი | ვოლფსბურგი | 6 | 2 | 5 | 5 |

ვოლფსბურგი

## არნეს კონტრაქტი გაუწყვიტეს

### ფრიდრიხი მაგათის ხელში უშანსოდ იყო

„ვოლფსბურგმა“ **არნე ფრიდრიხს** კონტრაქტი გაუწყვიტა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოცდილმა უკანახაზელმა, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 82 მატჩი აქვს ჩატარებული, ახალი ნავსაყუდელი უნდა ეძებოს. როგორც გაირკვა, კლუბს ხელშეკრულების გაწყვეტა თვითონ ფეხბურთელმა სთხოვა – ფრიდრიხს კონტრაქტი 2013 წლამდე ჰქონდა გაფორმებული. *„არნემ თვითონ გვთხოვა ხელშეკრულების გაწყვეტა. ვწუხვარ, რომ ასე მოხდა და მას წარმატებებს ვუსურვებ,“* - ეს „ვოლფსბურგის“ მთავარი მწვრთნელისა და მენეჯერის, **ფელიქს მაგათის** სიტყვებია.



არნე ფრიდრიხი

არნე ფრიდრიხი „ვოლფსბურგში“ 2010 წლის მუნდიალზე ჩინებულად თამაშის შემდეგ, „ჰერტადან“ გადავიდა და მას მერე ბუნდესლიგის 40 შესაძლო მატჩიდან, მხოლოდ 15-ში მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ ის „ვოლფსბურგში“ ყოფილმა მენეჯერმა **დიტერ ჰიონესმა** გადაიყვანა. მაგათის ხელში კი 32 წლის მცველს ძირითად შემადგენლობაში თამაშის პერსპექტივა აღარ ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**

ქოლესტერინის საზომი აპარატი
54 ლარი
გლუკომეტრები
25-99 ლარი
შპს „კონტრასტი“
მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი"

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჭანგავაძე მასტერტონიდან

● რაგბი. მსოფლიოს თასი

# ჰარე მაირაა მასტერტონში

მსოფლიოს თასის გათამაშების ჯგუფურმა ტურნირმა ეკვატორი გადალახა. საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ახალ ზელანდიაში B ჯგუფში ასპარეზობს, ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული თამაში აჩვენა. ორივეში მარცხის მიუხედავად, ეს მატჩები "ბორჯღალოსნებს" აქტივში უნდა ჩავუწეროთ.

ჩვენმა გუნდმა, პირველ შეხვედრაში შოტლანდიასთან დაცვაში თმაშში თუ გამოიჩინა თავი, მეორეში მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, ინგლისის ნაკრებს თამამად შეუტია და ანაგარიშის გარდა, ყველა სტატისტიკურ მონაცემში უპირატესობას მიაღწია. "ბორჯღალოსნებმა" აჩვენეს, რომ თანამედროვე რაგბის თამაში შეუძლიათ. ახლა ეს ორი კომპონენტი, დაცვა და შეტევაა გასაერთიანებელი, რაც საშუალებას მოგვცემს, ბოლოლა გუნდებს გავუმკლავდეთ.

სხვა თემაა ჩვენი ნაკრების ცალკეული მოთამაშეები, მათი ოსტატობის დონე. ამჯერად ინგლისის ნაკრებთან მატჩის საუკეთესო მოთამაშეზე - **მამუკა გორგოძეზე** შევჩერდებით. "გულივერა", "გორგოძილა", რაც გინდათ დაარქვით, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ეროვნულ ნაკრებში ნამდვილად მსოფლიო დონის მესამეხაზელი თამაშობს.

თავად შევესწარი, ოტაგოს მხარის რაგბის კავშირის პრეზიდენტი გორგოძეს ხოტბას როგორ ასხამდა და დანიდინში დარჩენას სთავაზობდა. შეგახსენებთ, რომ ამ რეგიონს ზე რაგბის გათამაშებაში დანიდინის "ჰაილენდერზი" წარმოადგენს. ძნელი სათქმელია, როგორ გაგრძელდება ოტაგოელი რაგბის მამის დაინტერესება, მაგრამ ფაქტია, გორგოძემ ბევრი აალაპარაკა და დააინტერესა კიდეც.

მატჩის შემდეგ დანიდინელები კარგ თამაშს გვილოცავდნენ, ვინ თუ არა მათ, ძალიან კარგად იციან "პუმების" ძალა და "ბორჯღალოსნების" ასეთი თამაში მათთვის მოულოდნელიც იყო.

მოკლედ, დანიდინი, ისევე როგორც ინვერქარგილი, ახლა მხოლოდ წარსულია, რომელმაც წესით, კარგი მომავალი უნდა მოგვიტანოს. სწორედ ამ იმედით დავტოვეთ ეს ოკეანისპირა ქალაქი და ველინგთონის გავლით მასტერტონში, ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ კუნძულის სამხრეთში გავემგზავრეთ.

ველინგტონში მგზავრობამ თვითმფრინავით მოგვიწია. ამ მშვენიერი ქალაქის აეროპორტში კი მასპინძლებმა საკმაოდ სასიამოვნო სიურპრიზი დაგვახვედრეს. რამდენიმე ათეული ყმაწვილი მორაგბის ტრადიციულ რიტუალ ჰაკას მოჰყვა ადგილობრივი მოყვარული მომღერლების მიერ შესრულებული სამი ქართული სიმღერა. ახალზელანდიელებმა შესანიშნავად იმღერეს "მუმლი მუხასაო", "წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა" და "მრავალჟამიერი".

ველინგტონიდან ვაირარაპას რეგიონის ქალაქ მასტერტონამდე ავტობუსით ორი საათი ვიმგზავრეთ და ყველა დასახლებულ პუნქტში, სადაც კი გავლამ მოგვიწია, ყველგან ბავშვები და ადგილობრივი მოსახლეობა გზის პირას გველოდა და ქართული დროშების ფრიალითა და ოვაციებით გვაცილებდა.

ერთ-ერთ სოფელში, "ბორჯღალოსნებმა" ინვალიდის ეტლით მათ შესახვედრად გამოსული ბავშვი შენიშნეს, მძღოლს ავტობუსი გააჩერებინეს, პატარა ქომაგს სათითაოდ მიესალმნენ, მასთან ერთად ფოტოები გადაიღეს და ნაკრების კვართიც აჩუქეს.

მასტერტონში ჩასულებს კი იქაურებმა დახვედრა, "პოფირი" მაორების სალოცავ "ტე ორე ორე მარაეში" მოგვიწყვეს. ლონისძიება საკმაოდ დატვირთული და კარგად ორგანიზებული გამოდგა. ჩვენი მასპინძელი ორი ადგილობრივი ტომი (ივი), რანგითანე და კაჰუნგუნუ იყვნენ.

საქართველოს ნაკრების მორაგბეებს მარაეს შესასვლელთან ერთ-ერთი მასპინძელი მაორი დახვდა. ფუთათურას (ნიჟარის საყვირის) ხმაზე სტუმრებისკენ სამი მაორი დაიძრა, რომლებიც უცნაური ხრიალითა და მოძრაობებით საკმაოდ აგრესიულად გამოიყურებოდნენ. მერე ერთ-ერთმა მათგანმა მიწაზე რაუ ანუ გვიმრის ფოთოლი დადო. ჩვენი ნაკრების კაპიტანმა **ირაკლი აბუსერიძემ** რაუ აიღო და გუნდი მარაესკენ დაიძრა.

მარაეს ეზოში ადგილობრივი სკოლების, რაგბის კლუბების და ორივე ტომის ახალგაზრდები დაგვხვდნენ, რომლებმაც ჰაკა შეასრულეს. მერე სტუმარ-მასპინძელი მარაეს წინ ერთმანეთის პირისპირ დადგა. მაორების ერთ-ერთი წარმომადგენელი, სავარაუდოდ ყველაზე პატივსაცემი პიროვნება, მაორულად დაახლოებით ათი წუთი გვესალმებოდა. "ჰარე მაირაა, ჰარე მაირაა" (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება) ხშირად იმეორებდა ის. მის მერე მასპინძლებმა სიმღერა მოგვიძღვნეს, რაზეც სტუმრებმა, წესის მიხედვით, ასევე სიმღერით უნდა უპასუხონ.

"ბორჯღალოსნებმა" ქართული ხმების მომღერალ **გივი ჭიჭინაძესთან** ერთად მაორებს "ზესტაფონო, გშორდები" და "იმერული მრავალჟამიერი" უმღერეს, რამაც მასპინძლების აღფრთოვანება გამოიწვია.

სანამ მორაგბეებს ფართიზე მიიწვევდნენ, კიდევ ერთი რიტუალი - ჰონგი, ანუ ცხვირებით მისალმება ელოდათ. ამ პროცედურას ბიჭებმა ხუმრობით ცხვირხახუნა შეარქვეს. ფართი, სადაც მრავლად იყო წარმოდგენილი ადგილობრივი სამზარეულოს კერძი, გივი ჭიჭინაძის ბენეფისად გადაიქცა. მან იტალიური ოპერებიდან ორი არია შეასრულა, რომლის შემდეგაც მარაეს მიმდებარე შენობის კედლები, სადაც თავყრილობა გაიმართა, ადგილობრივთა აპლოდისმენტებით ლამის დაინგრა.



ირაკლი აბუსერიძე, ნაკრები, მარაე

მაორები გულუხვად გაგვიმასპინძლდნენ, ალბათ საინტერესოა ფართის მენიუ, აი ისიც:

**ხორცეული:** ძროხის ხორცის კატლეტი, სოსისი და ღორი ცომში, ქათმის ფრთები (სოიისა და თაფლის სოუსში), ქათმის ბარკლები, ღორი.

**ცომეული:** სოსისი ცომში, ხორციანი ღვეზელი, ბეკონისა და ხორცის ღვეზელი.

**ზღვის პროდუქტები:** პაუას (აბალონე) კატლეტი, ხამანწკები, ლობსტერი, ლობსტერი მორნე, უმი თევზი, კინა.

**პურეული:** პური "პაპა", შემწვარი პური, მაორული პური (რევანა), ფუნთუშები, ფუნთუშები ყველით.

**ტკბილეული:** ნამცხვარი, ორცხობილა.

**ხილი:** ვაშლი, ფორთოხალი, ბანანი, კივი, ნესვი, ყურძენი.

**საწებლები:** ტომატის, ტკბილ-მჟავე, ბარბექიუ, პილპილის.

**სასმელები:** ჩაი, ყავა, ფორთოხლის წვენი, წყალი, კაკაო, გაზიანი სასმელები.

მასტერტონში კიდევ რამდენიმე საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი. 22 სექტემბერს ქალაქის მთავარი ქუჩა "ქუინზ სტრიტი" გადაიკეტება და საქართველოს ნაკრების პატივსაცემად აღლუმი გაიმართება. 24 სექტემბერს კი "ქუინ ელიზაბეტ პარკში" დიდი ფართი ანუ ბარბექიუ გაიმართება, სადაც მაორულად კერძების დამზადების წესს გაგვაცნობენ.

**მსოფლიოს თასი**

**28 სექტემბერი**

საქართველო-რუმინეთი

**2 ოქტომბერი**

საქართველო-არგენტინა

**B ჯგუფი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ინგლისი – 9 ქულა, 2. შოტლანდია – 9, 3. არგენტინა – 6, 4. საქართველო – 0, 5. რუმინეთი – 0.

**დღეს**

| | |
|---|---|
| იტალია-რუსეთი | 11:30 |

ავტორის ფოტო







როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

● პრესა ბორჯღალოსნებზე

# ორ წელიწადში ნომერ პირველი

საქართველოსნაკრები თამაშიდან თამაშამდე სულ უფრო პოპულარული ხდება. სწორედ ჩვენი ნაკრების შოტლანდიასთან თამაშის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი ექვსი ერის გაფართოებასთან დაკავშირებით. ეს თემა "პომებთან" მატჩის შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა.

"საქართველოს ნაკრებმა ინგლისის ეროვნულ გუნდთან შეხვედრაში კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რატომ არის საჭირო, რაც შეიძლება მეტი ითამაშონ ელიტური სარაგბო ქვეყნების წინააღმდეგ. თავად განსაჯეთ, ინგლისის ნაკრები სამოცი წუთის შემდეგ მხოლოდ 12 ქულის სხვაობით იგებდა და ისიც იმიტომ, რომ გაუმართლათ, რადგან საქართველოს ნაკრების მგეზავმა ხუთი საჯარიმო ვერ გაიტანა," - წერს "ოტაგო დეილი ტაიმსი.

"საქართველოს ნაკრებმა უდავოდ დაიმსახურა თავისი მრისხანე მეტოქისგან უდიდესი პატივისცემა, რადგან მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს უამრავი პრობლემა შეუქმნა," - ეს უკვე "საუთლენდ ნიუსის" ციტატაა.

ეს გაზეთი დაწვრილებით მიმოიხილავს საქართველოსა და ინგლისის ნაკრების მატჩის მსვლელობას და იხსენებს, რომ ექვსი ერის გაფართოების შესაძლო მოდელი, შესაძლოა, თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე დაშვებული გათამაშების სისტემა აღმოჩნდეს.

"საქართველოს მოსახლეობა სულ უფრო ღრმად სწვდება რაგბის არსს, ეს თამაში სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს და ძალიან გამიკვირდება, თუ რაგბი ამ ქვეყანაში, უახლოესი ორი წლის განმავლობაში სპორტის №1 სახეობა არ გახდება," - დასძინა სტატიის ავტორმა.



● მეტოქეები

# კონტეპომის ტრავმა, მურეის რელიგია აწუხებს

B ჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრები ასპარეზობს, გადამწყვეტი მატჩი კვირას, 25 სექტემბერს გაიმართება, რომელშიც მეორე ადგილისთვის და შესაბამისად პლეი ოფის საგზურისთვის არგენტინისა და შოტლანდიის ნაკრებები იბრძოლებენ.

"პუმების" შერკინების ბურჯი, **მარტინ სკელსო,** რომელსაც ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჯერ კიდევ 1996 წელს ჰქონდა, იმედოვნებს, რომ გუნდის კაპიტანი და მგეზავი **ფელიპე კონტეპომი** ამ მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრისთვის გამოჯანმრთელებას მოასწრებს. შეგახსენებთ, რომ არგენტინელთა ლიდერმა ინგლისთან მატჩში ნეკნები დაიშავა და მომდევნო, მეორე ტურის მატჩში რუმინეთის ეროვნულ გუნდთან არ უთამაშია.

"ძალიან კარგი იქნება თუ ფელიპე გამოჯანმრთელებას მოასწრებს. მისი მოედანზე ყოფნა იმედს გვაძლევს, გუნდი უფრო მძლავრი და სახიფათო ხდება.

თუმცა, თუ შოტლანდიის დამარცხება გვინდა, აუცილებლად უნდა შევძლოთ მისი პირველი ხაზის ძლევა. საამისო წინა პირობა არსებობს, "სკოტების" ლიდერი ევან მურეი არ ითამაშებს, მაგრამ თავისთავად ეს არაფერს ნიშნავს. შოტლანდიის ნაკრები არ არის ის გუნდი, რომელიც მხოლოდ ერთი მოთამაშის ყოფნა-არყოფნაზეა დამოკიდებული," – თქვა მარტინ სკელსომ.

შოტლანდიის ნაკრების შერკინების ბურჯმა **ევან მურეიმ,** რომელმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ამ გუნდის შერკინების კარგი თამაში საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან, "პუმებთან" თამაშზე რელიგიური მოტივით უარი განაცხადა.




## ჭადრაკი

● ტურნირი, ევროპის პირველობა, ნაკრები გუნდები


კონსტანტინე შანავა

# შანავა ისევ პირველია

ამასწინათ გაუწყეთ, რომ ქართველმა დიდოსტატმა **კონსტანტინე შანავამ** თურქეთის ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე თანამემამულე **ბაჩანა მორჩიაშვილთან** ერთად 9 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყო, თუმცა უკეთესი კოეფიციენტით მთავარი პრიზი ხვდა. შანავამ სტამბოლშივე კიდევ ერთ საჭადრაკო ფესტივალში იასპარეზა; ბოლო ტურის წინ უკრაინელ ვალერი ნევეროვთან ერთად 7-7 ქულით პირველობის შანსს ინარჩუნებდა. დასკვნით პარტიაში იგი უკრაინელ დიდოსტატს ოლეგ რომანიშინს დაუზავდა, ნევეროვმა კი თბილისელ **გიორგი ბაღათუროვთან** გაიყო ქულა. საბოლოოდ, ორივე მოჭადრაკემ 7,5-7,5 ქულას მოუყარა თავი. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით მთავარი პრიზი აქაც შანავას ერგო. მეორე ადგილზე ნევეროვი გავიდა, 7-7 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები ანდრეი სუმეტსმა (უკრაინა) და ორხან აბდულოვმა (აზერბაიჯანი) გაიყვეს. ბაღათუროვი 6,5 ქულით მეექვსე იყო.

**ვაჟა დანელია**

# ბოლო აკორდის წინ

ბულგარულ ალბენაში დღეს დამთავრდება 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა. შეჯიბრებაში საქართველოს 29 წარმომადგენელი ჩაება, ბოლო ტურის წინ კი მხოლოდ ორ მათგანს შერჩა მედლის მოპოვების რეალური შანსი. 8-წლიან გოგონებში ექვსი ტური უდანაკარგოდ განვლო **თამარ ესაძემ.** მეშვიდეში იგი მასპინძელ ნურგიულ სალიმოვასთან დამარცხდა. ბულგარელი ჩვენებურს ქულებით გაუთანაბრდა. გუშინ ორივე ლიდერმა წარმატებით ითამაშა. უახლოესი სამი მდევარი მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება. დღეს ესაძე ქსენია სტრუკოვას (6) დაუპირისპირდება. გამარჯვების შემთხვევაში (თუ სალიმოვა წაიფორხილებს), შესაძლოა, ოქროს გამოჰკრას ხელი.

სხვადასხვა ასაკში სამგზის ევროპის ჩემპიონ **მერი არაბიძეს** 18-წლიანებში ყაიმიც ხელს აძლევს ბრინჯაოს მოსაპოვებლად, უკეთეს შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, ვერცხლიც ერგოს, აი, ოქრო კი მოლდოველი ბასიუს ან სომეხი მარია გევორქიანის კუთვნილება გახდება. კიდევ ორი ქართველი მოჭადრაკის შანსზე მხოლოდ თეორიული მსჯელობა შეიძლება, ამიტომ თავს არ შეგაწყენთ. ღმერთმა ქნას, ორთაბრძოლები ჩვენდა სასიკეთოდ დასრულდეს.

### მე-8 ტურის შედეგები

**8-წლიანები:** თამარ ესაძე (6)-დარია ჩეკლეცოვა 1:0, ნინო დარჩიაშვილი (2,5)-დომინიკა ტომჩიკოვა 0.5:0.5; კალოიან პოპვასილევი-ნიკოლოზ კაჭარავა (5) 0:1.

**10-წლიანები:** ხანიმ ბალაჯაიევა-ელენე კოსტავა (5) 0.5:0.5, გვანცა მარგველაშვილი (3,5)-ალინა ჟურაველი 0:1; ლუკა ობოლაძე (4,5)-დავიდ ცვეტანოვი 1:0, ნიკოლოზ პეტრიაშვილი (3)-ლოვე ივიჩი 0.5:0.5, ფელიქს ბლოჩბერგერი-მათე თოდაშვილი (3) 0:1.

**12-წლიანები:** ანასტასია პროტოპოპოვა-ნათია ჯიბუტი (4,5) 1:0, ანასტასია ავრამიდუ-თეა ჭოლაძე (4) 1:0, ემილია კანიევსკა-ნინო დახუნდარიძე (4) 1:0, ანასტასია პონომარჩუკი-ნინო ჯალაღონია (4) 1:0; ირაკლი ახვლედიანი (3)-იულიუს ჰამი 1:0, ლუკა ლიჩელი (3)-რაფაელ ლაგუნოვი 0:1.

**14-წლიანები:** ნინო ხომერიკი (5)-ფატიმა შახმურზოვა 1:0, მარიამ ჭოლაძე (4)-თეია ვიდიჩი 0:1, ანა თედოშვილი (3,5)-ლაურა გუჩი 0:1, რინა ვიენმანი-მაია მუმლაძე (2) 0.5:0.5; ნიკა ლვამბერია (4)-თომას ბეერსენი 0.5:0.5, იან-კრისტიან შროედერი-ნოე თუთისანი (3,5) 1:0.

**16-წლიანები:** მარია კერატო-ანა შამათავა (4,5) 0:1, ელენი ფრაგკოუ-ნანი უნაფქოშვილი (4,5) 1:0, ლიკა კობეშავიძე (4)-ირინა ბარაევა 0.5:0.5, დეა გოგიშვილი (4)-საბინა იბრაჰიმოვა 1:0; გლებ აპრიშკო-ირაკლი ბერაძე (4,5) 0:1, იანი აჰვენიარვი-შალვა ნადირაშვილი (3) 0:1.

**18-წლიანები:** ნარმინ ხალაფოვა-მერი არაბიძე (5) 0:1, დარია პუსტოვოიტოვა-მარიამ დანელია (4,5) 0.5:0.5, იდო ბენი-ზურაბ ჯავახაძე (4,5) 0:1.

**ვაჟა დანელია**

# ნაკრებთა შემადგენლობა დამტკიცდა

წლეულს 2-12 ნოემბერს საბერძნეთი ქალთა და ვაჟთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატებს უმასპინძლებს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობამ დაამტკიცა ჩვენი გუნდების შემადგენლობა. ელადაში მამაკაცთა ნაკრების ღირსებას დაიცავენ: **ბაადურ ჯობავა** (2712), **მიხეილ მჭედლიშვილი** (2623), **ლევან ფანცულაია** (2614), **მერაბ გაგუნაშვილი** (2577) და **დავით ზარქუა** (2443). მთავარი მწვრთნელია **ხვიჩა სუპატაშვილი,** კაპიტანი - **გიორგი გიორგაძე.**

ქალთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: **ნანა ძაგნიძე** (2525), **ლელა ჯავახიშვილი** (2464), **ნინო ხურციძე** (2446), **ნაზი პაიკიძე** (2412). მთავარი მწვრთნელია **ზურაბ სტურუა**, დამხმარე მწვრთნელი - **თამაზ გელაშვილი,** კაპიტანი - **ნინო გურიელი.**

როგორც ვხედავთ, ქალთა ნაკრებში ერთი ადგილი ვაკანტურია. მის დასაკავებლად **სოფიკო ხუხაშვილს** (2426), **ნინო ბაციაშვილსა** (2413) და **სალომე მელიას** (2396) მატჩ-ტურნირი უნდა ეთამაშათ. ხუხაშვილმა უარი თქვა მონაწილეობაზე, ამიტომ ასპარეზობის მესამე წევრად **მაკა ფურცელაძე** (2353) დაუშვეს. შეჯიბრება ორ წრედ გაიმართება. პირველ ადგილზე გასული ნაკრების შემადგენლობაში საბერძნეთს გაემგზავრება.

გამგეობის სხდომაზევე გადაწყდა, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის უკეთ მოსამზადებლად ქალთა და ვაჟთა გუნდების საწვრთნელი შეკრება ოქტომბრის მეორე ნახევარში ანტალიაში გაიმართება.

**ვაჟა დანელია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სეოკ-ი. ახალი ოფისი

# ოლიმპიელთა ახალმოსახლეობა მაჩაბლის ქუჩაზე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ოფიციალურად გადაბარგდა ახალ მისამართზე - მაჩაბლის 11 ნომერში. თუმცა გარკვეული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებამდე, რაც ჩვეულებრივ ახლავს ხოლმე ასეთ პროცესს, ორიოდე კვირით ისევ ძველ ადგილას, დოლიძის ქუჩაზე დარჩება. ახალ ოფისში ადმინისტრაციულ ოთახებთან ერთად ოლიმპიური მუზეუმი და „თბილისი-2015" საორგანიზაციო კომიტეტიც დაიდებს ბინას. გუშინ სალამოს სამივე მათგანი პარალელურ რეჟიმში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, რომელსაც საპატიო სტუმრებიც ესწრებოდნენ: მონაკოს პრინცი და იმავე ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ალბერ II**, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალური მდივანი **რაფაელ პაგნოცი** ამავე ორგანიზაციის ადმინისტრაციის უფროს **როსანა სილფეტისთან** ერთად, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **მარიუს ვიზერი**, რამდენიმე ქვეყნის ეოკ-ის ხელმძღვანელი პირი... ფართოდ იყო წარმოდგენილი ადგილობრივი ხელისუფლებაც - დედაქალაქის მერი **გიგი უგულავა**, მერიის, საკრებულოს თუ პარლამენტის წარმომადგენლები, ოლიმპიური ჩემპიონები, ფედერაციების ხელმძღვანელები...

საპატიო სტუმართა შორის ცენტრალური ფიგურა პრინცი ალბერი იყო, რომელმაც ფრიად დატვირთულ გუშინდელ გრაფიკში მაინც გამონახა დრო ბაკურიანში ასასვლელად, სადაც ვანკუვერის ოლიმპიადაზე ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნას მიაგო პატივი, მერე შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს და გაეცნო ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს. დღის ბოლოს მან კმაყოფილება გამოთქვა, რომ დროის მცირე მონაკვეთში ამ პატარა ქვეყანაში ძალიან ბევრის ნახვა მოასწრო.

გახსნის ცერემონიალზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** განაცხადა: *„ეს მართლაც ისტორიული მნიშვნელობის დღეა. დარწმუნებული ვარ, ახალ ოფისში ძალიან ბევრ გამარჯვებას ვიზეიმებთ. ოთხი წლის წინ ამას ვერც წარმოვიდგენდით, მაგრამ გადამწყვეტი აღმოჩნდა „თბილისი-2015" საარჩევნო მარათონში გამარჯვება. ძალიან დიდი მადლობა ქვეყნის ხელისუფლებას, დედაქალაქის მერს უანგარო დახმარებისთვის".*

ამის შემდეგ ნაცვლიშვილმა სტუმრებს ქართული სპორტის მოკლე ისტორიაც გააცნო, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში 36 ოქროს, 25 ვერცხლს, 50 ბრინჯაოს (თან როცა ოლიმპიადებში მხოლოდ 1952 წლიდან გამოვდივართ), მსოფლიოს პირველობების 197 ოქროს და ასე შემდეგ მოიცავს. მან ვიზერის სიტყვებიც გაიხსენა, საქართველო სპორტული მენტალიტეტის მქონე ქვეყანააო.

გახსნის ცერემონიალზე ოლიმპიური ორდენებით დააჯილდოვეს პირველი ოლიმპიადის ჩემპიონები საქართველოდან - **მზია ჯუღელი** და **რაფაელ ჩიმიშკიანი**. სიკვდილის შემდეგ ანალოგიური ორდენი ქართველთაგან პირველ ოლიმპიურ ჩემპიონ დავით ციმაკურიძესაც მიენიჭა, რაც მისმა შვილმა ჩაიბარა. მას ჯილდო ვიზერმა გადასცა, რომელსაც ნაცვლიშვილმა მოუბოდიშა, მაშინ ძიუდო არ იყო დამკვიდრებული და მოჭიდავეები ამიტომ სჭარბობენო. ტუმრებს სიმბოლურად, როგორც ქართული სპორტის მომავალი, ძიუდოისტი **ბექა ღვინიაშვილიც** (81) წარუდგინეს, რომელმაც წლეულს ჭაბუკთა ნაკრებში ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა - ევროპისა და მსოფლიოს პირველობები, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ამ შეჯიბრებებში ჩაატარა 17 შეხვედრა და ყველა წმინდად მოიგო!

მისასალმებელი სიტყვებით სტუმრებიც გამოვიდნენ. ალბერმაც და პაგნოციმ სინანულით გაიხსენეს ქუმარიტაშვილი, კიდევ ერთხელ დაადასტურეს მწუხარება ახალგაზრდა ათლეტის ტრაგიკული სიკვდილის გამო და გამოთქვეს იმედი, რომ არც მისი ხსოვნა მიეცემა დავიწყებას და არც მისი დანატოვარი გაქრება ოდესმე. საინტერესო იყო ჩეხეთის ეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტის მისალმებაც - 2015 წლის ფესტივალის მასპინძლობისთვის ბრძოლაში თბილისმა ხომ სწორედ ჩეხური ბრნო დაამარცხა. სტუმრებმა მასპინძლებს სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცეს, ქართულ სპორტს კი წარმატებები უსურვეს.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასის სუპერფინალი

# სალუქვაძე რეკორდის გასაუმჯობესებლად გაემგზავრა

**ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ტყვიის სროლაში ნინო სალუქვაძე უკვე პოლონეთშია, სადაც 20-23 სექტემბერს მსოფლიოს თასის სუპერფინალი გაიმართება. თავდაპირველი ვერსიით, ამ შეჯიბრებისთვის ოქტომბერში მიუნხენს უნდა ემასპინძლა, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ ვადები შეცვალა და გერმანიიდან პოლონეთშიც გადაიტანა.**

სალუქვაძე იქ ორივე დისციპლინაში გამოვა - პნევმატურშიც ისვრის და სპორტულშიც. მან სუპერფინალის საგზური პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მოიპოვა, როცა მარტში სიდნეის ეტაპი მოიგო, მაგრამ ორგანიზატორებმა სპორტულშიც მიიწვიეს, როგორც ფრიად წარმატებული სპორტსმენი. სალუქვაძე ხომ ის მსროლელია, ვინც ლონდონში თავის მეშვიდე ოლიმპიადაზე იასპარეზებს, რითაც რეკორდსმენია მსოფლიოს ტყვიის სროლაში.

ჩვენებური ვროცლავში სტარტზე პირველად დღეს დადგება და სპორტული პისტოლეტიდან ისვრის, პნევმატურში შეჯიბრება კი 23-ში ჩატარდება. იმავე დღეს გაიმართება ეგრეთ წოდებული „ჩემპიონთა რბოლა", რომელშიც სროლის ყველა დისციპლინაში ვაჟებსა და ქალებს შორის გამარჯვებულები ერთად მიიღებენ მონაწილეობას.

სპორტულში საასპარეზოდ 10 მანდილოსანია დაშვებული - სალუქვაძე, უკრაინელი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ოლენა კოსტევიჩი**, ჩინელი ოლიმპიური ჩემპიონი **ინ ჩენი** და მისი თანაგუნდელი **ჯინ იუანი**, მონგოლი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **გუნდეგმაა ოტრიადი**, ზუსტად ამავე სინჯის მედლების მფლობელი, პლუს - ევროპის ჩემპიონი ჩეხი **ლენკა ჰიკოვა-მარუსკოვა**, ინდოელი **რაჰი სარნობატი**, რუსი მსოფლიოს ჩემპიონი **კირა კლიმოვა**, ბულგარელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მარია გროზდევა** და მისი ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი თანაგუნდელი **ანტოანეტა ბონევა**. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მონაწილეთა შორის არაა სერბი მსოფლიოს, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი **იასნა სეკარიჩი** - ამ დისციპლინაში სუპერფინალის საგზური ვერც მოიპოვა და არც ორგანიზატორებს მიუწვევიათ. არც ფრანგი ევროპის ჩემპიონი **სელინ გობერვილია**, არც სერბები - ევროპის გამარჯვებული **ბობანა ველიკოვიჩი**, მსოფლიოს ჩემპიონი **ზორანა არუნოვიჩი** და კიდევ რამდენიმე ცნობილი მსროლელი.

შეგახსენებთ, რომ სალუქვაძე მსოფლიოს სუპერთასის ცხრაგზის მფლობელია და ამ მხრივაც რეკორდსმენია. თან იმდენად უსწრებს მდევრებს, რამდენიმე სეზონში კიდევ გარანტირებული აქვს პირველობა. 6-6 თასით მას კვალში ორი ოლიმპიური ჩემპიონი უდგას - სეკარიჩი და ჩინელი **ტაო ლუნა**, თუმცა მან უკვე დაანება თავი დიდ სპორტს. სალუქვაძემ ეს პრესტიჟული ჯილდო ბოლოს შარშან მოიგო მიუნხენში, სადაც „ჩემპიონთა რბოლაშიც" გაიმარჯვა - ფინალში რუსთა ახალგაზრდა ვარსკვლავი **ლეონიდ ეკიმოვი** დაამარცხა. ვნახოთ, შეძლებს თუ არა სალუქვაძე ვროცლავში ამ თასის მეათედ მოპოვებას.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი




# ძირითად ბადეში ოთხი ქართველია

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გუშინ ბათუმის ნავთობტერმინალის თასზე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 25 000 $) საკვალიფიკაციო ეტაპის მე-2 წრის შეხვედრები გაიმართა. შესანიშნავად ითამაშა ქართულ-უკრაინული საერთაშორისო ტურნირის (10 000 $) გამარჯვებულმა **თათია მიქაძემ**, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში სძლია რუსეთში მცხოვრებ თანამემამულე **ნათელა ძალამიძეს**. მართალია, თათიამ პირველი სეტი 3:6 დათმო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი ხელი მოიგო - 6:2, 6:3 და ძირითად ბადეში გააღწია. მსგავს წარმატებას მიაღწია **ეკატერინე გორგოძემაც**, რომელმაც იოლად დაამარცხა ეკატერინა ლუჟკოვა - 6:1, 6:1.

საკვალიფიკაციო ეტაპის მე-2 წრის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: პოლინა მონოვა (რუსეთი)-ელიზავეტა ივანჩუკი (უკრაინა)-7:6, 6:3, დანკა კოვინიჩი (ჩერნოგორია)-ვიქტორია კისიალევა (ბელარუსი)-6:4, 7:6, კატარზინა კავა (პოლონეთი)-ლიძია მაროზავა (ბელარუსი)-6:4, 6:2, ალექსანდრა არტამონოვა (რუსეთი)-ანი ამირაგიანი (სომხეთი)-7:5, 6:3, ირინა ხრომჩევა (რუსეთი)-ანი გოგვაძე (საქართველო) 6:0, 6:0, ქსენია კირილოვა (რუსეთი)-შახლო საიდოვა (რუსეთი) 6:0, 6:4.

„ნავთობტერმინალის" ძირითად ბადეში 4 ქართველი ჩოგბურთელი ითამაშებს. პირველ წრეში ისინი ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: **სოფიო შაფათავა** (მე-7 ნომრადაა განთესილი)-ირინა ხრომაჩევა (რუსეთი), **სოფიო ქვაცაბაია** (ორგანიზატორებმა ველური ბარათით დაუშვეს)-ალექსანდრა არტამონოვა (რუსეთი), **თათია მიქაძე** (კვალიფიკაციიდან)-რეკა-ლუკა ჟანი (უნგრეთი), **ეკატერინე გორგოძე** (კვალიფიკაციიდან)-ნიკოლა ჰოფმანოვა (ავსტრალია).

დღეს ტურნირზე წყვილები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**ვაჟა დანელია**

# ასე ახლოს WTA-ს ტიტულთან

ბოლოს ქართველმა ჩოგბურთელმა 1995 წელს მოიგო WTA-ს ტურნირი, ეს **ლეილა მესხმა** შეძლო. მას მერე ჩვენებური ასე ახლოს ტიტულთან არასოდეს ყოფილა, როგორც კვირას 21 წლის **ანა ტატიშვილი** იყო. ჩვენებური კვებეკ სიტიში (კანადა, 220 ათასი დოლარი) ასპარეზობდა, სადაც ერთეულთა თანრიგში მე-8 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ სენსაციურად გამოვარდა პირველივე წრეში. სამაგიეროდ, ანამ, ამერიკელ **ჯეიმი ჰემპტონთან** დუეტში, წყვილებში შესანიშნავად იასპარეზა, ფინალამდე გააღწია. გზად მათ მე-2 ნომრად განთესილები, **სოფია არვიდსონი** (შვედეთი) და **მარინა ერაკოვიჩი** (ახ. ზელანდია) 4:6, 7:6 (5), 10:8 დაამარცხეს. მოუგეს **პეტრა რამპესა** (სლოვენია) და **ჩიჩი შოლს** (აშშ) დუეტს - 6:2, 5:7, 10:8, გზიდან ჩამოიცილეს მე-4 ნომრად განთესილები, **ეშლი ლი-უოტერსი** (აშშ) და **მეგან მაულტონ-ლევი** (აშშ) - 7:5, 1:6, 10:5. ფინალში ქართველი და ამერიკელი პირველ ნომრად განთესილ ამერიკულ წყვილს (**რაკელ კოპს-ჯონსი და აბიგეილ სპირსი**) გადაეყარნენ, მაგრამ დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ - 1:6, 6:3, 6:10. ფინალისტებმა 200-200 სარეიტინგო ქულა და 5,7 ათასი ამერიკული დოლარი მოიხვეჭეს.



გუშინ WTA-ს ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა, ერთეულებში ანა საშიშად მიუახლოვდა ასეულის არიერგარდს, 5 საფეხურით დაიხია და 730 ქულით მსოფლიოს 96-ე ჩოგანი გახდა. სხვები: 175 (+1) **მაკა ჩახნაშვილი** - 351 ქულა; 230 (-13) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 251; 255 (+5) **სოფიო შაფათავა** - 220; 432 (+3) **ეკა გორგოძე** - 90; 468 (-6) **სოფიო ქვაცაბაია** - 78; 486 (-12) **თათია მიქაძე** - 74. წყვილთა თანრიგში ტატიშვილი 1027 ქულით 84-ე პოზიციაზეა (+9).

ვაჟთა რეიტინგში ათასეულს მიღმა სამი ქართველია: 1 237 (-9) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1 249 (-10) **ლადო ჩიხლაძე** - 3; 1 840 (-53) **ალექსანდრე მეტრეველი** - 1.

ამერიკულ ალბუკერკში 75-ათასიანი ტურნირი იწყება, რომელზეც პირველ ნომრად ანა ტატიშვილს განთესავენ. უფრო პრესტიჟულ ტურნირში იასპარეზებს მაკა ჩახნაშვილი, ფრანგულ სან მალოში (100 ათასი დოლარზე მეტი) განუთესავია და „უაილდ ქარდით" მიწვეულ მასპინძელ **სევერინ ბელტრამს** (279) ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო. აკი ბაშო. 11-25 სექტემბერი



# ქართველმა ჩეხი მოისროლა და კაჩი კოში დაიბევა

დიდ კაცთან პატარა კაცსაო, გაგიგიათ ალბათ - ასე მოუვიდა ჩეხ **ტაკანოიამას** ქართველ **გაგამარუსთან (თეიმურაზ ჯუღელი)** ორთაბრძოლაში. ჩვენებურმა კარგად გამოიყენა 101-კილოიანი უპირატესობა. **პაველ ბოიარმა** სცადა სასტარტო დაჯახების აცილება, გვერდით გახტა და ორივე ხელით გაგამარუს მარჯვენას ჩაეჭიდა, მაგრამ ჩვენებური ამისთვის მზად იყო - ამის შემდეგ კი ჩეხის „ფრენა" ვიხილეთ ხალხით სავსე დარბაზში. გაგამარუს 8-1 ბალანსი აქვს, ასე კარგად მას არასოდეს უასპარეზია ბაშოზე - ქართველმა უკვე გაინაღდა წინსვლა რეიტინგში.

გუშინ **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** დაეჭიდა და ისევე როგორც წინა ყველა ცდა, ესეც უშედეგოდ დაასრულა - მონღოლი ცაციათი ჩაეჭიდა ქართველის მავაშის და ზუსტად 5 წამში გაიყვანა რკალს მიღმა. ტოჩინოშინს უკვე უარყოფითი ბალანსი აქვს, დღეს მისი მეტოქე ოძეკი **ჰარუმაფუჯია**.

**კოკაიმ (ლევან ცაგურია)** მე-6 მოგება იზეიმა, მან მონღოლი **ასასეკირიუ** ხერხით დაამარცხა, ორთაბრძოლისას ოსტატურად გამოეცალა. ჰაკუჰო 9 მოგებით დაუმარცხებელია, მას კვალში გაგამარუს გარდა ორი სეკივაკე (**კოტოშოგიკუ** და **კისენოსატო**) მიყვება, რომლებიც დღეს ერთმანეთის პირისპირ დადგებიან დოჰიოზე.

## IX დღე

ჰაკუჰო-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-კაკურიუ (სოტოგაკე), ბარუტო-კისენოსატო (უვატენაგე), კოტოშოგიკუ-ტოკიტენკუ (კიმედაში), ტოიონოშიმა-ოკინოუმი (ცუკიოტოში), არანი-ვაკანოსატო (ჰატაკიკომი), ჰომაშო-იოშიკაძე (იორიკირი), ტაკეკაძე-ტოჩიოძანი (ჰიკიოტოში), ვაკაკოიუ-მიაბიამა (ჰიკიოტოში), გოეიდო-ტოჩინოვაკა (სუკუინაგე), ტაკაიასუ-კაისეი (შიტატეჰინერი), ტამავაში-ფუჯიაზუმა (დისკვ.), ტოიოჰიბიკი-ტამაასუკა (იორიკირი), საგაცუკასა-იოშიაზუმა (იორიკირი), კიოკუტენჰო-დაიდო (იორიკირი), კიტატაიკი-ჰოჩიამა (იორიკირი), **გაგამარუ**-ტაკანოიამა (ოშიდაში), შოტენრო-ამინიშიკი (ოშიდაში), **კოკაი**-ასასეკირიუ (ჰატაკიკომი), კიმურაიამა-ტოსაიუტაკა (ოშიდაში).

## სატურნირო მდგომარეობა

**9-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა).

**8-1: კოტოშოგიკუ** (სეკივაკე), **კისენოსატო** (სეკივაკე), **გაგამარუ** (მაეგაშირა 11).

**7-2: ბარუტო** (ოძეკი), **გოეიდო** (მ 5), **კიოკუტენჰო** (მ 10), **კიტატაიკი** (მ 11)... **6-3: კოკაი** (მ 16)... **4-5: ტოჩინოშინი** (მ 4).

## X დღე

ჰაკუჰო-ტოკიტენკუ, ბარუტო-ტოჩიოძანი, ჰარუმაფუჯი-**ტოჩინოშინი**, კოტოშოგიკუ-კისენოსატო, კაკურიუ-ჰომაშო, ტოიონოშიმა-არანი, ოკინოუმი-იოშიკაძე, ვაკანოსატო-ტაკეკაძე, **გაგამარუ**-გოეიდო, მიაბიამა-ტოჩინოვაკა, ვაკაკოიუ-ტოიოჰიბიკი, ტაკაიასუ-საგაცუკასა, ფუჯიაზუმა-კიოკუტენჰო, კაისეი-შოტენრო, ტამავაში-ტაკანოიამა, კიტატაიკი-კიმურაიამა, ასასეკირიუ-ტოსაიუტაკა, ამინიშიკი-ჰოჩიამა, იოძიაზუმა-ტამაასუკა, **კოკაი**-დაიდო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები

# როგორ მოვხვდეთ ევრო-2013-ზე?

**მეფე მოკვდა! გაუმარჯოს მეფეს! დასრულდა 2011 წლის ევრობასკეტი და დავიწყეთ ფიქრი 2013 წლის კონტინენტის პირველობაზე. საინტერესოა, რა სისტემით გაიმართება ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი და რომელი გუნდები მიიღებენ მასში მონაწილეობას.**

## ფინალური ეტაპი - 2013

წინა წლებისგან განსხვავებით, ფიბა-ევროპამ დროულად გამოაქვეყნა სლოვენიაში 2013 წელს გასამართი ევრობასკეტისა და შესარჩევი ეტაპის სქემა. ფინალურ ტურნირზე 24 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, პირველ ეტაპზე ნაკრებები ოთხ ჯგუფად განაწილდება, საიდანაც სამ-სამი საუკეთესო მეორე ტურში გადავა, შეიკვრება ორი ექვსგუნდიანი ჯგუფი და ოთხ-ოთხი გამორჩეული მეოთხედფინალს ითამაშებს... მოკლედ, სწორედ ისეთი სისტემაა, როგორიც ლიტვაში ახლახან დასრულებულ ევრობასკეტზე.

## შესარჩევი - 2012

ახლა, რაც შეეხება 2012 წელს გასამართ შესარჩევ ტურნირს. ფიბა-ევროპის საიტზე გამოქვეყნებულ სქემაში წერია: შეიქმნება 6 ხუთგუნდიანი ჯგუფი, საიდანაც ევროპის ჩემპიონატის საგზურს საუკეთესო პირველ-მეორეადგილოსნები და ოთხი მესამეადგილოსანი მოიპოვებს. შესაბამისად, სლოვენიაში საქართველოს ნაკრების მოხვედრის შანსი დიდია, თუმცა, როგორც კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** აღნიშნა, საბოლოოდ არ გარკვეულა ტურნირში 30 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, მეტი თუ ნაკლები. საქმე ისაა, რომ შარშან მეორე დივიზიონში არ უთამაშიათ დანიას, ირლანდიას, ისლანდიასა და კიდევ ზოგიერთ ნაკრებს. შესაძლოა, მათ ევრო-2013-ის შესარჩევზე თამაში მოისურვონ. თუ განაცხადი 30-ზე მეტმა ნაკრებმა შეიტანა, ასეთ შემთხვევაში დამატებითი საკვალიფიკაციო ჩატარდება თუ არა, ჯერ უცნობია. ფაქტი ერთია, შესარჩევ ეტაპზე ჯგუფში ხუთზე მეტი გუნდი არ იქნება, რადგან ასეთ შემთხვევაში მატჩების რაოდენობა გაიზრდება. შარშანაც დავინახეთ, რომ ერთ თვეში 8 მატჩი (პლუს მგზავრობა) ნებისმიერი გუნდისთვის დამღლელია.

## კალათები

...დაემატება დანია თუ ირლანდია, ეს ქართველებს ნაკლებად უნდა გვაღელვებდეს, რადგან ისინი ბოლო კალათში მოთავსდებიან. ჩვენ კი, პირველად ისტორიაში, წილისყრის წინ პირველ კალათაში ვიქნებით. აი, რატომ: ევრობასკეტი 2013-ის შესარჩევში 8 წამყვანი ევროპული გუნდი არ მიიღებს მონაწილეობას - ოლიმპიადის მასპინძელი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი (ევრო-2011-ის ფინალისტები), რუსეთი, მაკედონია, ლიტვა, საბერძნეთი (ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის მონაწილეები) და სლოვენია (ევრობასკეტი 2013-ის მასპინძელი).

დანარჩენი გუნდები, ევროპის ჩემპიონატის მონაწილენი თუ მეორე დივიზიონის წარმომადგენლები ჯგუფებში განაწილდებიან და 2010 წელს 14 საგზურს გაითამაშებენ. როგორც უკვე გითხარით, საქართველოს ნაკრები წილისყრისთვის პირველ კალათში განთავსდება. ამის თქმა დღესვე თამამად შეგვიძლია, რადგან ფიბა-ევროპა გუნდებს ბოლო შეჯიბრებების მიხედვით ახარისხებს.

ასე რომ, შეგვიძლია კალათებში გუნდების განაწილების ჩვენეული ვარიანტი შემოგთავაზოთ, რომელსაც ბოლოში შესაძლოა ზოგიერთი ნაკრები დაემატოს, ან სულაც გამოაკლდეს.

**I კალათა:** სერბეთი, გერმანია, ფინეთი, თურქეთი, საქართველო, ხორვატია.

**II კალათა:** ბულგარეთი, ისრაელი, უკრაინა, პოლონეთი, ბოსნია, იტალია.

**III კალათა:** ჩერნოგორია, ლატვია, ბელგია, პორტუგალია, უნგრეთი, შვედეთი.

**IV კალათა:** ჩეხეთი, ესტონეთი, ჰოლანდია, ავსტრია, შვეიცარია, აზერბაიჯანი.

**V კალათა:** სლოვაკეთი, ბელარუსი, რუმინეთი, კვიპროსი, ლუქსემბურგი, ალბანეთი.





# სანიკიძე და რეალი ისევ აქტუალურია

ევროპასკეტის დასრულების შემდეგ **ვიქტორ სანიკიძე** საქართველოს ნაკრებს თბილისში ჩამოჰყვა, თუმცა მალევე გაემგზავრა იტალიაში, სადაც მას ბოლონიის „ვირტუსში“ ელოდნენ. ვიქტორი და ფინელი **პეტრი კოპონენი** ყველაზე გვიან შეუერთდნენ ბოლონიელებს (ევრობასკეტზე თამაშობდნენ) და სავარაუდოდ დღესვე ჩაატარებენ პირველ საკონტროლო მატჩს.

კი ვთქვით, შემადგენლობა საბოლოოდ დაკომპლექტდაო, მაგრამ „ვირტუსის“ ხელმძღვანელი **კლაუდიო საბატინი** ორ გვარს ასახელებს და ამბობს - ამ კალათბურთელებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, რათა ამერიკაში ლოკაუტის დასრულებამდე ჩვენი გუნდის რიგებში ითამაშონო. პირველია „სან ანტონიო სპურსის“ არგენტინელი ვარსკვლავი **მანუ ჯინობილი**. შეგახსენებთ, რომ იგი ოკეანის გაღმა სწორედ „ვირტუსიდან“ წავიდა. მეორე - **კობი ბრაიანტია**, რომელსაც „ვირტუსის“ გარდა არაერთი ევროპული გუნდი ეპატიჟება.

დავუბრუნდეთ ვიქტორ სანიკიძეს, რომელსაც ერთი წყარო მადრიდის „რეალში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებს. აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ მადრიდული კლუბის ინტერესზე 2010 წელსაც დაიწერა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. ამჯერად რამდენად სერიოზულია „სამეფო კლუბის“ ქართველისადმი ინტერესი მალე გამოჩნდება. იტალიის ჩემპიონატი 9 ოქტომბერს იწყება. პირველ ტურში „ვირტუსი“ „რომას“ უმასპინძლებს. საინტერესოა, რომ ამ ზაფხულს სანიკიძის გადაყვანა თურქულ „ბეშიქთაშსაც“ სურდა, მაგრამ გუნდები ტრანსფერზე ვერ შეთანხმდნენ. ვიქტორს ბოლონიელებთან კონტრაქტის მიხედვით კიდევ ერთი წელი აქვს სათამაშო.

ამასობაში პოპულარულ საიტ „ევრობასკეტზე“ გამოქვეყნდა ევროპის ჩემპიონატის საუკეთესოთა ჩამონათვალი. ტურნირის ყველაზე ღირებულ კალათბურთელად **ხუან კარლოს ნავაროა** დასახელებული. მასვე ერგო საუკეთესო უკანახაზელის ტიტული. №1 ფორვარდი **ანდრეი კირილენკოა**, ხოლო ცენტრი - **პაუ გასოლი**. ევრობასკეტის საუკეთესო მწვრთნელად ესპანელთა დამრიგებელი **სერხიო სკარიოლო** აღიარეს.

ამას მოსდევს სამი სიმბოლური ნაკრები და საპატიო ათეული. სწორედ ამ ათეულში გვხვდება ქართული გვარი: ვიქტორ სანიკიძე (საქართველო), **ანტონის ფოცისი** (საბერძნეთი), **ანტე ტომიჩი** (ხორვატია), **ტომას კელატი** (პოლონეთი), **ანდრეა ბარნიანი** (იტალია), **ლიორ ელიაჰუ** (ისრაელი), **გორან დრაგიჩი** (სლოვენია), **მარკ გასოლი** (ესპანეთი), **მირზა ტელეტოვიჩი** (ბოსნია), **რიჩარდს კუკსიკსი** (ლატვია).

ქართველი იტალიაში

# ჰოსლი მეტრეველის გვერდით

მკითხველს ემახსოვრება, რომ **ნიკა მეტრეველმა** ნაკრების მწვრთნელ **იგორ კოკოშკოვს** ევრობასკეტის დაწყებამდე სთხოვა დათხოვნა, რათა ახალ კლუბ „სისარი დინამოში“ დროულად ჩასულიყო. მწვრთნელმა ნება დართო და ნიკაც თითქმის ერთი თვეა, იტალიაშია.

სერია A 9 ოქტომბერს იწყება. პირველობისთვის დინამოელები გამალებით ემზადებიან, ეთამაშნენ როგორც ევროპის გამორჩეულ, ასევე მეორეხარისხოვან გუნდებს. რაც მთავარია, ნიკა მეტრეველს თამაში ყოველ მატჩში უწევს და არც მოედანს ტოვებს უქულოდ. ვიდრე კონკრეტულად შეხვედრებს შევეხებოდეთ, მოგახსენებთ, რომ სისარელთა რიგებში ოთხი ამერიკელია: **ტრევის და დრეიკ დიენერები, კეიტ ბენსონი და ქუინტონ ჰოსლი.** ეს უკანასკნელი ქართველ ქომაგს კარგად ემახსოვრება - გასულ სეზონში მან საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და ჩვენს ეროვნულ გუნდში საკონტროლო შეხვედრებიც ითამაშა. იგი სარდინიულ კლუბში ესპანური „ხუვენტუდიდან“ გადავიდა.

ასე რომ, ნიკა მეტრეველის ახალმა გუნდმა მომავალ სეზონში შეიძლება ოქროსთვის ვერ იბრძოლოს, მაგრამ არავისზე ნაკლები გუნდი იქნება.

ახლა თითო აბზაცით საკონტროლო მატჩებს შევეხოთ. ბოლო შეხვედრაში „დინამო სისარი“ ამერიკელებით გაძლიერებულ ყაზახურ „ასტანას“ დაუპირისპირდა და ბოლო წუთებზე 76:79 დამარცხდა. მეტრეველმა 4 ქულა ჩააგდო, ჰოსლიმ - 16.




სარდინიელები ყაზახებამდე რუსებს „დაეჭიდნენ“ და პეტერბურგის „სპარტაკთან“ 75:81 დათმეს. მეტრეველმა 8 ქულა მოაგროვა, ჰოსლიმ 13 ბალს უნია.

სისარელთა ყველაზე ძლიერი მეტოქე თურქული „ბეშიქთაში“ იყო, რომლის რიგებშიც **დერონ უილიამსი** ირჯება. მატჩის 38-ე წუთამდე იტალიელები გამარჯვების შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ საბოლოოდ 71:82 დამარცხდნენ. „ბეშიქთაშთან“ ქუინტონ ჰოსლიმ 11 ქულას მოუყარა თავი, ხოლო მეტრეველი 2-ს დასჯერდა.

თურქულ გრანდთან თამაშამდე „დინამო სისარიმ“ ასევე თურქეთის წარმომადგენელ „ოლინ ერდინესთან“ გაინავარდა - 72:58. ამ მატჩში ვერც ნიკა ასცდა 10-ქულიან ნიშნულს და ვერც ქუინტონი. პირველმა 4 ქულა მოინაგრა, მეორემ - 9.

გაცილებით დასამახსოვრებელი იყო „ვარალოს“ ტურნირის ფინალში „მილანთან“ გამარჯვება - 84:73. მესამე პერიოდის შემდეგ „სისარელებს“ შეხვედრის ბედი სათავისოდ ჰქონდათ გადაწყვეტილი, 71:51-ს იგებდნენ. მატჩის ბომბარდირობა არავის დაუთმო ქუინტონ ჰოსლიმ, ხოლო ნიკა მეტრეველი თანაგუნდელებს 4 ქულით შეეწია.

სერია A-ს პირველ ტურში, 9 ოქტომბერს „დინამო სისარი“ „მონფერატოს“ მიიღებს.

სოხუმი



# 21-ში ლატვიის ჩემპიონთან

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დავწერეთ, რომ „სოხუმმა“ ლიეპაიას ტურნირი მეორე ადგილზე დაასრულა. გუნდი მზადებას **აინარს ბაგაცკისის** ხელმძღვანელობით ისევ ლატვიაში აგრძელებს და 21 სექტემბერს საკონტროლო მატჩს გეგმავს „ვეფ რიგასთან“, რომელიც გასულ სეზონში ლატვიის ჩემპიონი გახდა.

გუშინვე გაცნობეთ, რომ **ლაშა ფარლალავა** ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. დავაზუსტებთ: ფარლალავა ტურნირზე „სოხუმის“ რიგებში საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ჰამბურგი


მიხაელ იონინგმა ჰამბურგში მხოლოდ 6 თვე იმუშავა

# იონინგი მოხსნეს!

## ჰამბურგს დროებით კარდოსო გაწვრთნის

საკუთარ მოედანზე, მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" განცდილი მარცხით „ჰამბურგის" ხელმძღვანელების მოთმინების ფიალა აივსო: გუშინ ჩრდილოგერმანულმა კლუბმა 6 თვის წინ დანიშნული მთავარი მწვრთნელი **მიხაელ იონინგი** თანამდებობიდან გაათავისუფლა. *„ბოლო ორი დღის განმავლობაში მიხაელთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით და საბოლოოდ ერთად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ნაბიჯი უნდა გადაგვედგა,"* - ეს HSV-ს სპორტული დირექტორის, **ფრანკ არნესენის** სიტყვებია.

ექვსი ტურის შემდეგ ბუნდესლიგის უკანასკნელი დინო (გუნდი ელიტიდან არასდროს გავარდნილა – 48 წელი) ერთადერთი ქულით ბოლო ადგილზეა. ახლა საინტერესო ის არის, ვინ შეცვლის იონინგს. არნესენი ამბობს, ახალი სპეციალისტის ძებნა უკვე დავიწყეთ და სანამ ვიპოვით, გუნდს დროებით მოყვარულების დამრიგებელი, „ჰამბურგის" ყოფილი ფეხბურთელი **როდოლფო ესტებან კარდოსო** გაწვრთნისო.

შაბათის შემდეგ არნესენი ხშირად იმეორებდა, იონინგის გათავისუფლებას არ ვაპირებთ, ის მომდევნო ტურშიც „ჰამბურგის" მწვრთნელი იქნებაო, მაგრამ კვირას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კარლ-ედგარ იარხოვმა** თქვა, ამაზე ქვემოთ დაშვება უკვე წარმოუდგენელიაო, რამაც ყველას აფიქრებინა, რომ იონინგი პოსტზე დიდხანს ველარ გაძლებდა. პარასკევს ჰამბურგელები „შტუტგარტს" ხვდებიან და საქმეს ჯერჯერობით ისეთი პირი უჩანს, რომ ამ შეხვედრაში ჩრდილოგერმანული კლუბის თავკაცი კარდოსო იქნება...

**გოტფრიდ ლენცი**

ლილი

# ჯოს დარჩენა უნდა

"მირორის" ინფორმაციით, "ლილის" 30 წლის ინგლისელმა ნახევარმცველმა კლუბს "ლივერპულთან" მოლაპარაკებების დაწყებისა და მისი კონტრაქტის გამოსყიდვისკენ მოუწოდა. როგორც აღმოჩნდა, სულ რალაც 20 დღეში ფეხბურთელს საფრანგეთი ისე მოეწონა, რომ უახლოეს წლებში სამშობლოში სათამაშოდ დაბრუნების პერსპექტივა აღარ ხიბლავს.

"ლილისა" და "ლივერპულის" მხრიდან აღნიშნულ განცხადებაზე კომენტარი ჯერ არ გაკეთებულა. ეჭვია, ამ ეტაპზე ვინმეს ამ საკითხის განსახილველად ეცალოს. მით უფრო **კენი დალგლიშსა** და **დემიელ კომოლის**, ადამიანებს, რომლებიც პრემიერლიგაში ზედიზედ 2 წაგების შემდეგ უკვე აფორიაქებულები არიან.

**ლევან ბიბილაშვილი**

ლიგა 1. VI ტური. გამოხმაურება

# ფსკერს მიჯაჭვული ფავორიტები

"ლიონმა" "მარსელთან" პირველი ტაიმი არნახულად ძლიერად ჩაატარა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფეხბურთელი, ვისზეც ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ გუნდიდან მიდიოდა, მაგრამ **მიშელ ბასტოსი** დარჩა და უპრინციპულეს შეხვედრაში გოლის გარდა საგოლე გადაცემაც მიითვალა. ბოლო წლებში ამ გუნდების დაპირისპირებისას მაყურებელი მხოლოდ ლამაზ თამაშს ელის, რადგან ფეხბურთის თამაში ერთმაც და მეორემაც მართლა კარგად იცის. შემადგენლობა ორივე კლუბს ერთნაირად გამობრძმედილი ჰყავს ევროპულ ბატალიებში. კვირას პირველი გოლი ასე გავიდა: ბასტოსი მარცხენა ფლანგზე ისე გაიქცა, რომ მისი დამწევი კაციშვილი არ ჩანდა. ბრაზილიელმა ურთულესი ტრაექტორიით ბურთი საჯარიმოში ჩააგდო და მეტოქის კარისკენ გაფრენილ (სხვა ფორმულირებას ვერ ვპოულობთ) **ბაფეტიმბი გომისს** პირდაპირ ფეხზე დაასვა. **სტივ მანდანდა** 2-3 მეტრიდან დარტყმულს, ბუნებრივია, ვერ აილებდა. თუმცა სიმართლე ითქვას, მსაჯი შეცდა, რადგან გომისი მინიმალურ, მაგრამ მაინც თამაშგარეში იყო. ამის შემდეგ "მარსელი" იძულებული გახდა, წინ წასულიყო და ზურგი მოეშიშვლებინა. მასპინძლები სწორედ ამას ელოდნენ. რეაქტიული სიჩქარის ბასტოსმა თავისი გარღვევებით ველოდრომელთა დაცვა შოკში ჩააგდო. მეორე გოლისას "ლიონმა" ენციკლოპედიური მაგალითი გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ითამაშოს გუნდმა კონტრშეტევაზე. **მაქს გონალონმა** ცენტრში **მატიე ვალბუენას** ერთი შეხედვით თამაშის წესების დარღვევით ბურთი აართვა (თუმცა გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ის წესების დაცვით მოქმედებდა), მეტოქის საჯარიმოსკენ დაიძრა და პასი ბასტოსს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა მეკარეს შორეულ კუთხეში აუღებელი დაურტყა.

**რემი გარდი** (ლიონი): *"ცხრილში პირველი ადგილი დიდ სიამოვნებას გვანიჭებს და ამით ტკბობას ვაპირებთ კიდევაც. სეზონის დასაწყისიდან მუხლჩაუხრელად ვმუშაობდით, თუმცა ფინიშამდე ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ. გვიხარია, რომ კარგი კვირა გამოგვივიდა. ორი მატჩი მოვიგეთ ისე, გოლი არ გაგვიშვია. ყველანაირად ვცდილობთ, უკანა ხაზი კიდევ უფრო გავაძლიეროთ. პირველ გოლამდე თავის დაცვა ძალიან სიღრმიდან გვიწევდა, ანგარიშის გახსნის შემდეგ კი ბურთი დავიბრუნეთ და უკვე ისინი მოვაქციეთ ზეწოლის ქვეშ. მომეწონა ფეხბურთელთა განწყობა, ეს სწორედ ის არის, რასაც ჩვენთვის შედეგები მოაქვს".*

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *"ბოლომდე უნდა აღვიქვათ ჩვენი ამჟამინდელი სიტუაცია... და ამის გაკეთება მეც მომიწევს. ჩვენ უახლოეს 3 დღეში კიდევ ერთი თამაში გვაქვს და ამიტომ ერთად დგომა გვმართებს. მორალურად ძლიერები უნდა ვიყოთ. პირველი გოლისას მსაჯი შეცდა. გომისი ნამდვილად თამაშგარეში იყო. სამწუხაროდ, სეზონის დასაწყისის შემდეგ პირველი შემთხვევა არ არის, როცა გადაწყვეტილებებს ჩვენ წინააღმდეგ იღებენ".*

მე-6 ტურში კიდევ რამდენიმე საინტერესო შეხვედრა გაიმართა. "ლილმა" "სოშოს" უმასპინძლა, პროვინციულ გუნდს, რომელსაც შეუძლია ერთი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატაროს, მეორე კი უბრძოლველად დათმოს. მათ დაპირისპირებას დამატებითი სანახაობა იმან შესძინა, რომ წვიმას მთელი 90 წუთი არ გადაუღია, თუმცა ამას ფეხბურთის ხარისხზე გავლენა არ მოუხდენია. გუნდებმა გულიანად იბურთავეს და გოლის გატანის ბევრი შანსი გაატანეს ქარს. მე-10 წუთის შემდეგ, როცა სტუმრებმა პირველი სახიფათო მომენტი შექმნეს, ჩემპიონებმა ისე ითამაშეს, რომ **მიკაელ ლანდრო** აშკარად მოიწყენდა. მეორე ნახევარში "ლილმა" გოლი მალე გაიტანა. ჩემპიონს ხიფათი რეალურად არც არაფერი ემუქრებოდა, რომ არა **მატიე დებიუშის** გაძევება. განაპირა მცველმა მეორე ყვითელი ბარათი მოედნის ცენტრში მიიღო. ამის შემდეგ "ლილი" მალე დაიღალა და აირია, "სოშომ" კი ძალების მოზღვავება იგრძნო. საბოლოო შედეგი უკვე გეცოდინებათ - 2:2.

**რუდი გარსია** (ლილი): *"როცა ჩემპიონთა ლიგის მატჩიდან მესამე დღეს 40 წუთი 10 კაცით თამაშობ და თამაშის ბოლოს 2-3 მომენტი კიდევ გაქვს გასატანად, ნიშნავს, რომ გუნდი კარგ ფორმაშია. ფეხბურთელებმა ძალიან თამამად ითამაშეს. აშკარა იყო ერთი რამეც, ჯო კოული 90 წუთის სათამაშოდ მზად არ გახლდათ, რადგან მეორე ტაიმში ისეთივე ეფექტური არ იყო. ზოგადად უკეთესი იქნებოდა, ნაკლებ გოლს ვუშვებდეთ".*

**მეჰმედ ბაზდარევიჩი** (სოშო): *"მნიშვნელოვანი თამაში იყო. პირველ ტაიმში ძალიან მორიდებულად ვთამაშობდით. მეტოქის ფეხბურთელის გაძევებამ გვიშველა - მივხვდით, რომ ქულის ალება შეგვეძლო. ჩვენ აუცილებლად უფრო მონდომებით უნდა ვიმუშაოთ რამდენიმე ასპექტზე, თუმცა ორიოდე ისეთი მომენტიც დავლანდე, რაზე დაყრდნობაც ნამდვილად შეგვიძლია".*

ჩემპიონობის მაძიებელმა "მონპელიემ" (შეიძლება ამ ტიტულის მინიჭება ადრეა, მაგრამ მაინც), "ბრესტთან" გასვლაზე ვერაფერი გააწყო. მართალია, პირველი ტაიმი 2:0 მოიგო, მაგრამ საბოლოო ჯამში მხოლოდ ქულას გამოკრა ხელი. სტუმარს ბოლო წუთებზე აშკარად დააკლდა კონცენტრაცია.

**რენე ჟირარი** (მონპელიე): *"ეს ფეხბურთია და ყურადღება საფინალო სასტვენამდე გვმართებდა. არადა, პირველ ტაიმში მეტოქეზე ბევრად უფრო ძლიერები ვიყავით. მეორე ტაიმის დასაწყისის შეტყობინება ასეთი უნდა ყოფილიყო: "მატჩი თავიდან იწყება". 15 წუთი კიდევ კარგად ვთამაშობდით, მაგრამ შემდეგ ჩვენვე დავეხმარეთ მეტოქეს, დაბრუნებოდა შეხვედრას. მათ გვერდით გულშემატკივრებიც დაუდგნენ. მიუხედავად ყველაფერისა, ჩემი ბიჭებით მაინც ძალიან ვამაყობ".*

**ალექს დიუპონი** (ბრესტი): *"ქულა მოვიპოვეთ იმ "მონპელიესთან", რომელიც ისე თამაშობს, როგორც ნამდვილი გუნდი უნდა თამაშობდეს. ისინი მეტოქეს შეცდომას არ პატიობენ. მინდა აღვნიშნო ჩემი ფეხბურთელების დამსახურება, მათ მატჩი 2:0-დან შემოატრიალეს, თუმცა მათი ასეთი გარჯა ნამდვილად არ გამკვირვებია.*

ლიგა 1 მე-6 ტურის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული შეხვედრა "ევიანსა" და "პარი სენ-ჟერმენს" შორის შედგა. ალბათ ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ ლიგის დებიუტანტი მოახერხებდა და **კრისტიან პოულსენისა** და **სიდნი გოვუს** გარეშე (ეს უკანასკნელი მე-8 წუთზე დაიმტვრა) სტუმარს საკადრის არგუმენტებს დაუპირისპირებდა. **ბერნარ კასონის** შეგირდებმა სტუმარს ნამდვილი სასტარტო შტურმი მოუწყვეს, მაგრამ ძალები დიდხანს არ ეყოთ. ზეწოლა სულ 5 წუთს გაგრძელდა. ამ დროში **სალვატორე სირიგუ** იმდენჯერ შეწუხდა, რომ... ის იყო, მაყურებელმა თქვა, პსჟ გონს მოვიდაო, რომ ანგარიში გაიხსნა. **იანიკ საგბო** კონტრშეტევაზე გაიქცა და **ჟერომ ლერუას** ეშმაკური პასი გადააწოდა. ვეტერანმა კი აუღელვებლად გაიტანა. სტუმრებში ნერვოზულმა მოქმედებებმა იმატა, რითაც მასპინძლებმა მალევე ისარგებლეს და მეტოქეს პენალტი გამოსტყუეს - 2:0. ტაიმის მიწურულს რომ არა **ხავიერ პასტორე**, მეორე ტაიმში რა მოხდებოდა, არავინ უწყის. არგენტინელმა საჯარიმოსთან ახლოს 3 მეტოქის გარემოცვაში ზურგით მდგარმა მიიღო ბურთი, შემოტრიალდა, ერთი მოძრაობით სამივე მოატყუა, გავიდა **ანდერსონთან** რანდევუზე და ანგარიში 2:1 გახადა. მეორე ნახევარი პირველისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. სტუმრებმა მატჩის სადავეები საბოლოოდ იგდეს ხელთ. მასპინძელთა მეკარე სასწაულებს ჩადიოდა: ჯერ იმავე პასტორეს არ გაატანინა, შემდეგ **კევინ გამეიროს** არ დაანება თავურით გატანა, **მარკოს სეარას** დარტყმულს კი სულაც სასწაული რეაქცია შეაგება, მაგრამ... მე-80 წუთზე მან იქამდელი გარჯა წყალს გაატანა. კუთხურიდან მოწოდებულ ბურთზე ჯერ თამაში გადაწყვიტა, მერე მიხვდა, რომ ვერ მისწვდებოდა, ამასობაში ბურთი თანაგუნდელისგან **მატიე ბოდმერს** მიუვიდა და ამ უკანასკნელმა 2 მეტრიდან ცარიელ კარში გადაგზავნა.


ეს წამია ბაფეტიმბი გომისმა ანგარიში გახსნა

**ანტუან კომბუარე** (პარი სენ-ჟერმენი): *"საშინელი სტარტი გამოგვივიდა და მერე ძალიან გაგვიჭირდა ხელახლა თამაშში ჩართვა. ეს სიმართლეა, წინ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს. დღეს უბრალოდ ეფექტურობა გვაკლდა, ხოლო ის, რომ შუა კვირაში ევროპის ლიგის მატჩი გველის, მიზეზი არ არის. ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ და მიზეზებს არ უნდა ვეძებდეთ ჩვენი საქციელის გასამართლებლად. წინ კიდევ უამრავი მატჩი გვაქვს და აუცილებელია, რომ ყველა ფრონტზე კონკურენტუნარიანნი ვიყოთ".*

**ლევან ბიბილაშვილი**

პარი სენ-ჟერმენი

# უძღები შვილი, რეზერვისტი და სხვანი

ამ დღეებში "ჩელსიმ" "მანჩესტერ იუნაიტედთან" პრინციპული მატჩი წააგო. **ანდრე ვილაშ ბოაშმა** "არისტოკრატთა" ლამის ყველა თავდამსხმელი გამოცადა, მათ შორის **ნიკოლა ანელკა**. პორტუგალიელმა ფრანგი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა, რამაც ნიკოლას უკმაყოფილება გამოიწვია. ამის შემდეგ ლონდონელთა დამრიგებელმა მედიას განუცხადა, ფეხბურთელს სამშობლოში დაბრუნება უნდაო. ლაპარაკი ნიკოლას გუნდიდან აბარგებაზე დიდი ხანი გრძელდებოდა, მაგრამ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ეს ვერ მოესწრო.

"ფუტბოლ პრესის" ინფორმაციით, **ანტუან კომბუარეს** თხოვნით პსჟ-ს მენეჯერები "ჩელსის" ხელახლა დაუკავშირდნენ და მოთამაშის ტრანსფერზე მოლაპარაკების გაგრძელება სთხოვეს. ისინი მზად არიან, საქმეს წერტილი უკვე იანვარში დაუსვან. რა თანხა შეიძლება მოითხოვოს "ჩელსიმ", ამაზე არავინ არაფერს წერს. შეგახსენებთ, რომ ანელკა "პარკ დე პრენსზე" 1994-97 და 2000/02 წლებში უკვე თამაშობდა.

ესპანური "კადენა სერას" ინფორმაციით, იანვარში პსჟ "ბარსელონასთან" 31 წლის **სეიდუ კეიტას** ტრანსფერის შესახებ მოლაპარაკებებს დაიწყებს. "კამპ ნოუზე" **ფრანსესკ ფაბრეგასის** გადასვლის შემდეგ ივუარელი შუახაზელი ღრმა თადარიგში აღმოჩნდა, რაც მას ნამდვილად არ აწყობს. ყველა ხვდება, რომ ფეხბურთელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უთამაშებლობისთვის არის განწირული. „ბარსელონამდე" კეიტა საფრანგეთში "ლანსის" რიგებში ირიცხებოდა.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ პარიზელთა 31 წლის ბრაზილიელმა მარჯვენაფლანგელმა **მარკოს სეარამ** კლუბთან ხელშეკრულება 2013 წლამდე გაახანგრძლივა. სამხრეთამერიკელი "პარკ დე პრენსზე" 2007 წლიდან თამაშობს.

**ლევან ბიბილაშვილი**



ნიკოლა ანელკას შინ დაბრუნება კიდევ ერთხელ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A. ტურის შეჯამება




კავანი გოლის აღნიშვნისას

# გოლები თითქმის განახევრდა, მცველები გამოფხიზლდნენ

## ტურის სიმბოლური ნაკრები

**დე სანქტისი** (ნაპოლი) - **კვადრადო** (ლეჩე), **ბარცალი** (იუვენტუსი), **ბელუში** (კატანია), **გროსო** (იუვენტუსი) - **ხორკერა** (ჯენოა), **გარგანო** (ნაპოლი), **ბონავენტურა** (ატალანტა) - **ჯოვინკო** (პარმა), **კავანი** (ნაპოლი), **მატრი** (იუვენტუსი).

ტრადიციულად, ტურის სიმბოლურ ნაკრებში ოთხი მცველი, სამი ნახევარმცველი და სამი თავდამსხმელია. შემტევებიდან ყველაზე გამორჩეული მაინც **ედინსონ კავანი** გახლავთ, რომელზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, მაგრამ პრინციპში, ნაკლები საქმე არც **სებასტიან ჯოვინკომ და ალესანდრო მატრიმ** გააკეთეს - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ მათი გოლების წყალობით მოიგეს შესაბამისად „პარმამ" და „იუვენტუსმა".

ნახევარდაცვაში **ბონავენტურასა** და **ხორკერას** სახით სრულიად ახალი სახეები გვყავს, რომლებმაც მეორე, ანუ გამხსნელ ტურშიც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მათთან ერთად კი **ვალტერ გარგანოს** ვხედავთ, „ნაპოლის" გამოცდილ შუახაზელს, რომელმაც „მილანის" დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა. განსაკუთრებით აღსანიშნავი მისი მოქმედება კავანის მეორე გოლის ეპიზოდში გახლდათ, საკუთარი ნახევრიდან დაიძრა, სამ ფეხბურთელს აუარა გვერდი და როდესაც ყველას ეგონა, რომ კარში დაარტყამდა, თანამემამულეს იდეალური სიზუსტის გადაცემა გაუკეთა - მოკლედ, გარგანომ გაიბრწყინა და სრულიად დამსახურებულად მოხვდა თერთმეტ საუკეთესო მოთამაშეს შორის.

რაც შეეხება დაცვას, ზედიზედ მეორედ ხვდება რჩეულ ფეხბურთელებს შორის **ანდრეა ბარცალი**, რაც იმის მაუწყებელია, რომ „იუვენტუსის" ცენტრალური მცველი შესანიშნავ ფორმაშია. მასთან ერთად, კიდევ ერთ „იუვენტინოს", **ფაბიო გროსოს** ვხედავთ, რომელიც მარტო იმიტომ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში, რომ **პაოლო დე ჩელიეა** ტრავმირებული. კარგად წარმოჩინდნენ **კვადრადო** „ლეჩედან" და **ბელუში** „კატანიადან" - შესაბამისად, ისინიც სიმბოლურ ნაკრებში არიან.

## ტურის გმირი

ტურის უდავო გმირი **ედინსონ კავანი** გახლავთ, რომელმაც ჰეთთრიკი შეასრულა „მილანთან" პაექრობაში და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ უმაღლესი კლასის ფორვარდია. სამივე გოლის ეპიზოდში ურუგვაელმა ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა **კრისტიან აბიატის** კარის ჩარჩოში, რაც სწორედაც რომ უმაღლესი კლასის მაჩვენებელია. ნამატჩევს კავანი ბედნიერი იყო და ემოციები არც ჟურნალისტებთან საუბრისას დაუმალავს:

*„არის თამაშები, როდესაც ყველაფერი გამოგდის და სწორედ ასე იყო „მილანთან" დაპირისპირებისას. მთლიანობაში, სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ, რაშიც თითოეულ ფეხბურთელს თანაბარი წვლილი მიუძღვის. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ „ნაპოლი" ერთ მუშტად შეკრული გუნდია, რომელსაც უმაღლესი მიზნებისთვის ძალუძს ბრძოლა".*

## ტურის უიღბლო

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების მეორე, ანუ გამხსნელ ტურში „ფიორენტინამ" სამი ქულა აიღო და ბევრი ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ „ვიოლასთვის" ეს სეზონი წარმატებული იქნება. თუმცა, მესამე ტური ფლორენციელთათვის ყოველმხრივ წარუმატებელი გამოდგა - **სინიშა მიხაილოვიჩის** გუნდმა „უდინეზესთან" მარცხი იწვნია, რასაც **ალბერტო ჯილარდინოს** ტრავმაც დაერთო თან. დიახ, გუნდის საუკეთესო ფორვარდი 68-ე წუთზე გაიყვანეს საკაცით მოედნიდან და როგორც შემდეგ გაცხადდა, საკმაოდ მძიმე ტრავმა აქვს მიღებული.

ექიმების პირველადი გამოკვლევის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯილარდინოს მინიმუმ ექვსი კვირა მოუწევს უქმობა და არც ის არის გამორიცხული, რომ მკურნალობის პროცესმა ორ თვეზე მეტხანს გასტანოს. ერთი სიტყვით, გარკვეული პერიოდით მიხაილოვიჩს წამყვანი ფორვარდის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. ტურის უიღბლო კი ჯილარდინოსთან ერთად, მიხაილოვიჩი გახლავთ, რომელიც გასული სეზონის სტარტზეც ანალოგიურად დარჩა ერთ-ერთი საუკეთესო შემტევის გარეშე - შეგახსენებთ, რომ მაშინ კიდევ უფრო მძიმე ტრავმა **სტევან იოვეტიჩმა** მიიღო, რის გამოც მთელი სეზონი გაუცდა.

## ტურის გამარჯვება

ტურის გამარჯვება „ნაპოლიმ" მოიპოვა და ამ შეხვედრაზე დიდხანს აღარ შევჩერდებით, რადგან ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „სან პაოლოზე" **ედინსონ კავანის** ბენეფისი იყო. ამიტომ, პირდაპირ ნეაპოლური კლუბის პრეზიდენტს, **აურელიო დე ლაურენტისს** გადავცეთ სიტყვა:

*„გუნდი მომწიფებულია იმისთვის, რომ სკუდეტო მოიპოვოს და „მილანთან" შეხვედრამ ეს ნათლად დაადასტურა. თუმცა, ამისთვის კოლოსალური შრომა და თითოეულ შეხვედრაში მაქსიმალური მობილიზება საჭირო. თუ ისეთივე თავგამოდებით არ ვითამაშეთ აუტსაიდერებთან, როგორც მოქმედ ჩემპიონთან, მაშინ არაფერი გამოგვივა. მჯერა ჩვენი ფეხბურთელების, ჩვენი მწვრთნელის და იმედია, ყველაფერი კარგად იქნება".*

## ტურის იმედგაცრუება

არაერთხელ დავწერეთ იმის შესახებ, თუ როგორი რიხით დაიწყო სეზონი „ლაციომ" და რომ ამ გუნდს უმაღლესი მიზნებისთვის შეუძლია ბრძოლა. ამის შესახებ იტალიურ საფეხბურთო სამყაროში აქტიურად მსჯელობდნენ და არცთუ უსაფუძლოდ, რადგან **ედუარდო რეიას** შეგირდებმა რამდენიმე შეხვედრა მძლავრად ჩაატარეს და მნიშვნელოვანი გამარჯვებებიც მოიპოვეს. მოკლედ, „ლაციოს" გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ გუნდის პირველ საშინაო შეხვედრას, თუმცა მათი მოლოდინი არ გამართლდა - რომაელებმა უხეიროდ ჩაატარეს შეხვედრა და „ჯენოას" სამივე ქულა დაუთმეს.

ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის ეს იმედგაცრუება კი არა, სასიამოვნო ამბავია, მაგრამ თუ საერთო გადასახედიდან შევხედავთ, მესამე ტურში ყველაზე მეტად საკუთარი, ოპტიმიზმით აღსავსე გულშემატკივრები სწორედ „ბიანკოჩელესტემ" გაანბილა.

## ტურის ფრაზა

**ფრანჩესკო გვიდოლინი (უდინეზეს მთავარი მწვრთნელი):** *„რატომ არ მიმუშავია აქამდე ტოპ-კლუბში? - იმიტომ, რომ არასდროს მყოლია გავლენიანი მეგობრები..."*

## ციფრები და ფაქტები

- მესამე ტურში 15 გოლით ნაკლები გავიდა, ვიდრე მეორეში, რაც იმის მაუწყებელია, რომ მცველები ფორმაში შედიან;

- პირველი გოლები გაიტანეს სერია A-ში **ტიაგო რიბეირომ** (კალიარი) და **იურაი კუჩკამ** (ჯენოა);

- 22 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „ნაპოლიმ" ორი გამარჯვებით დაიწყო ჩემპიონატი;

- შაბათი „კალიარისთვის" ისტორიული დღე იყო, რადგან გუნდი 41-წლიანი პაუზის შემდეგ ჩაუდგა სატურნირო ცხრილს სათავეში;

- ორი ტურის შემდეგ, „ინტერს" გამარჯვება არ მოუპოვებია, ასეთი რამ ბოლოს 1983/1984 წლების სეზონში მოხდა;

- **ხავიერ ძანეტიმ** 756-ჯერ მოირგო „ინტერის" მაისურა და ამ მაჩვენებლით „ნერაძურის" კიდევ ერთ ლეგენდარულ კაპიტანს, **ჯუზეპე ბერგომის** გაუთანაბრდა;

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## იზმაილოვი ისევ ექიმებთან

ლისაბონის "სპორტინგის" 28 წლის რუსი ნახევარმცველი **მარატ იზმაილოვი** ისე ტრავმირებულია. მარატმა მუხლზე უმძიმესი ტრავმა სულ ახლახან მოირჩინა და რაც ყველაზე სამწუხაროა, იმავე ფეხმა შეაწუხა. „ა ბოლას" ინფორმაციით, სამწვრთნელო შტაბმა სასწრაფოდ მოითხოვა იმის დადგენა, სჭირდება თუ არა მას ხელახალი ოპერაცია, რათა ფეხბურთელმა რაც შეიძლება მალე მოახერხოს გუნდში დაბრუნება. შეგახსენებთ, რომ ერთ დროს რუსეთის ნაკრების ლიდერი "სპორტინგში" 2007 წელს გადავიდა სათამაშოდ, მაგრამ მას მერე სულ 65 ოფიციალური მატჩი ჩაატარა. ძირითად დროს ის მკურნალობას უნდება. 2010/11 წლების სეზონში კი მას პრაქტიკულად არც უთამაშია. აი, რას ამბობს შეგირდზე "სპორტინგის" მთავარი მწვრთნელი **დომინგუშ პასიენსია**: *"მარატი მარჯვენა მუხლს იტკიებს. არადა, მას ძალიან უნდა ვარჯიში, თუმცა ტკივილის გამო ამას ვერ ახერხებს. სჭირდება თუ არა კიდევ ერთი ქირურგიული ჩარევა, ამას უახლოეს დღეებში დაადგენენ. რაც ახლა მის თავს ხდება, არც ჩვენ გვაწყობს და არც ფეხბურთელს".*

მიმდინარე სეზონი ფეხბურთელმა დიდებულად დაიწყო. 4 შეხვედრაში მის ანგარიშზე 3 გოლია.

## ულიე: დავასრულე

**ჟერარ ულიე** გამოტყდა, რომ მიუხედავად ბოლომდე გამოჯანმრთელებისა, სამწვრთნელო კარიერის განახლებას აღარ აპირებს. შეგახსენებთ, რომ "ასტონ ვილაში" მუშაობისას ის გულმა შეაწუხა, რის გამოც ივნისში თანამდებობიდან გადადგა. მისი განცხადებით, ფეხბურთიდან დროებით მიდიოდა, მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალა. სპეციალისტმა თავის ზეწარმატებულ კარიერას წერტილი დაუსვა. აქვე გეტყვით, რომ როგორც მწვრთნელს მას 3-ჯერ მოუგია საფრანგეთის ჩემპიონატი, პირველად ეს 1986 წელს პსჟ-ში მოხდა, 2006 და 2007 წლებში კი "ლიონთან" ერთად. ამას გარდა ულიეს "ლივერპულთან" ერთად მოგებული აქვს უეფას თასი, უეფას სუპერთასი, ასოციაციის თასი და ინგლისის სუპერთასი, იგივე ქომუნითი შილდი (ყველაფერი ეს 2001 წელს მოხდა).

## პსვ-ს მეკარე გადარჩა



პსვ-მ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ **პშემისლავ ტიტონი** საავადმყოფოდან უკვე გამოწერეს, სადაც ის თანაგუნდელ **ტიმოთი დერაიკთან** შეჯახების შემდეგ ტვინის შერყევის დიაგნოზით მოათავსეს. გიგანტური აღნაგობის 24 წლის ფეხბურთელს (195 სმ) ამ ეტაპზე დატვირთვა, რასაკვირველია, აკრძალული აქვს. როდის მისცემენ პოლონელ მეკარეს ვარჯიშის უფლებას, ეს მოგვიანებით გაირკვევა.

## მალარია ნანსის ფეხბურთელს

ფრანგული გაზეთების ინფორმაციით, "ნანსის" 26 წლის მალელ ნახევარმცველ **ბაკარი ტრაორეს** მალარია შეეყარა, რის გამოც ის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მინიმუმ 1 კვირას გაატარებს. ტრაორე ქალაქ ნანსიში ამის შემდეგლა დაბრუნდება, ხოლო ვარჯიშს ათიოდე დღეში განაახლებს.

## მარსელი დეშამს ენდობა

"მარსელის" პრეზიდენტმა **ვენსან ლაბურიმ** გუშინ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მიუხედავად ლიგა 1-ში გუნდის კატასტროფული სტარტისა (6 თამაში 3 ფრე, 3 წაგება), კლუბის ხელმძღვანელობა არ აპირებს **დიდიე დეშამთან** ურთიერთობების გადახედვას. მისი თქმით, კლუბი მწვრთნელს გვერდით ბოლომდე დაუდგება და მაქსიმალურად დაეხმარება კრიზისიდან გამოსვლაში.

## ოსკარ კარდოსო რჩება



პორტუგალიური გამოცემა "რეკორდის" ინფორმაციით, პარაგვაის ნაკრების 28 წლის თავდამსხმელი **ოსკარ კარდოსო** მზადაა, კლუბთან ხელშეკრულება გაახანგრძლივოს, რათა ბოლო მოუღოს მოარულ ხმებს, რომ მას კარიერის სხვაგან გაგრძელება სურს. ზაფხულის განმავლობაში კიევის "დინამოს" დელეგაცია ლისაბონს კარდოსოს ტრანსფერის თაობაზე რამდენჯერმე ესტუმრა, მაგრამ **გრიგორი სურკისმა** ფეხბურთელი ვერაფრით მოთაფლა. იყო ლაპარაკი "მანჩესტერ იუნაიტედის" ინტერესზეც, მაგრამ საქმე მოლაპარაკებებამდე არ მისულა.

## შეირუს შვიდი დღე

მარსელის "ოლიმპიკის" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ნახევარმცველი **ბენუა შეირუ** ჯერ "ოლიმპიაკოსთან" დაშავდა, როცა მარცხენა საზარდული გაიჭიმა, მაგრამ ექიმებმა "ლიონთან" მატჩისთვის მისი მწყობრში დაყენება მოასწრეს. კვირას "ლიონთან" შეხვედრაში "შაბანი დალმაზე" ფეხბურთელს უკვე მარჯვენა საზარდული დაეჭიმა და მინიმუმ 1 კვირის გამოტოვება მოუწევს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. დევისის თასი

# ჩემპიონი ჯოკოვიჩმა დააღალატა

გასულ უქმეებზე გაირკვა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის - დევისის თასის ფინალის ორი მონაწილე. ნახევარფინალური ეტაპის შემდეგ ბრძოლას გამოეთიშა მოქმედი ჩემპიონი - სერბეთის ნაკრები.

სერბეთი ბელგრადში არგენტინის ნაკრებს მასპინძლობდა. როგორც უკვე ვწერდით, სერბებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო მსოფლიოს პირველი ჩოგანის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** ჯანმრთელობა. სეზონის ლიდერმა წილისყრაში მიიღო მონაწილეობა და ნახევარფინალი სწორედ მას უნდა გაეხსნა, მაგრამ ბოლო მომენტში გაირკვა, რომ ნოვაკი კორტზე ვერ გავიდოდა და მის ადგილს **ვიქტორ ტროიცკი** დაიკავებდა.

ეს უკანასკნელი რეიტინგში 58 საფეხურით მაღლა დგას **დავიდ ნალბანდიანზე**, მაგრამ ეს სულაც არ ლაპარაკობდა მის ფავორიტობაზე. ჯერ ერთი, სერბმა ჩააგდო ამერიკის ღია პირველობა, სადაც პირველივე წრეში წააგო **ალეხანდრო ფალასთან**, თანაც ნალბანდიანს ასეთ მატჩებში უდიდესი გამოცდილება გააჩნია.

ტროიცკისა და ნალბანდიანის მატჩში ყველაფერი ოთხ სეტში გაირკვა. პირველ პარტიაში ბრეიკების გაცვლის შემდეგ, არგენტინელმა სეტის ბოლოს მეტოქის შეცდომებით ისარგებლა და კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა. მეორეში ტროიცკის პუბლიკა დაეხმარა და სეტებში ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ მესამე სეტიდან მოყოლებული მასპინძლის თამაში საბოლოოდ მოიშალა და მას გადარჩენის შანსი არ ჰქონდა - 4:6, 6:4, 2:6, 3:6.

ამის შემდეგ კორტზე **იანკო ტიპსარევიჩი** და **ხუან მარტინ დელ პოტრო** გავიდნენ. იანკოზე სერიოზული ფსიქოლოგიური ზეწოლა მოდიოდა, რადგან წაგების შემთხვევაში სერბეთი უმძიმეს მდგომარეობაში მოხვდებოდა.

განწყობა ტიპსარევიჩს კარგი ჰქონდა და საკუთარ გეიმებს „მშრალი“ ანგარიშით იგებდა. დელ პოტრო კი წინასწარ არჩეულ ტაქტიკას მისდევდა და თანდათან შეიტყუა მეტოქე უკანა ხაზზე ხანგრძლივ გათამაშებებში. არგენტინელმა სასტარტო სეტი ბოლოსკენ გამოსტაცა მეტოქეს, მაგრამ უკვე მეორე სეტის შუაში ცხადი გახდა, რომ ტიპსარევიჩი ყველა კომპონენტში ჩამორჩებოდა დელ პოტროს. ხუან მარტინმა დამაჯერებლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 7:5, 6:3, 6:4.

წყვილთა მატჩში სერბებს შორის ერთი ცვლილება მოხდა - **ნენად ზიმონჯიჩს** ტიპსარევიჩის ნაცვლად ტროიცკი ამოუყენეს გვერდით. ახლად შექმნილი დუეტის მეტოქეები **ხუან-იგნასიო ჩელა** და **ხუან მონაკო** იყვნენ. პირველ სეტში ორივე წყვილი ისევ კარგად იჭერდა საკუთარ მოწოდებას, რომ ბრეიკ-პოინტამდეც არ მისულა საქმე, ტაი-ბრეიკზე კი უკეთ მასპინძლები გამოიყურებოდნენ. მეორე სეტში უცნაური რამ მოხდა - 4:1-ზე არგენტინამ ზედიზედ შვიდი გეიმი წააგო, რითაც მატჩის ბედი პრაქტიკულად გარკვეული იყო - ორსაათიან ბრძოლაში მასპინძლებმა სამ სეტში მოიგეს - 7:6(4), 6:4, 6:2.

კვირას სერბ გულშემატკივრებს მატჩის გადარჩენის იმედი გაუჩნდათ, რადგან კორტზე გასვლა გადაწყვიტა ნოვაკ ჯოკოვიჩმა. სწორედ მას უნდა ეთამაშა დღის პირველ შეხვედრაში დელ პოტროს წინააღმდეგ. არგენტინელს აქამდე არასოდეს დაემარცხებინა ჯოკოვიჩი.

ალბათ, გახსოვთ, რომ ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვება ნოვაკს ძვირად დაუჯდა - ფინალში მას ექიმის გამოძახება მოუხდა, რადგან სერბს ზურგი აწუხებდა. როგორც აღმოჩნდა, ნოვაკს ბოლომდე არ ჰქონდა მორჩენილი ეს დაზიანება და ტრავმამ დელ პოტროსთან მატჩში იჩინა თავი. პირველი სეტი ხანგრძლივი გამოდგა, ამასთან, არც ერთ მეტოქეს არ ჰქონდა ბრეიკ-პოინტი. გადამწყვეტ მომენტში დელ პოტრო უფრო ზუსტი და აქტიური აღმოჩნდა, რითაც „შემოკლებული გეიმი“ თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:5.

მეორე სეტში კი მხოლოდ სამი გეიმი გათამაშდა. არგენტინელმა ბრეიკი გააკეთა, ბოლო გათამაშებაში კი ჯოკოვიჩი უხერხულად „გაიჭიმა“ ბურთის მოსაგერიებლად, მუხლებზე დაეცა და სახეზე ტკივილი ვერ დამალა. ის სხვების დახმარებით წამოდგა და მცირე კონსულტაციის შემდეგ ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო - თამაში შეწყვიტა, რაც არგენტინის ფინალში გასვლას ნიშნავდა.

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალში ფავორიტი სტარტიდანვე ცხადი იყო - ესპანეთი თავის მოედანზე ნებისმიერი გუნდისთვის სერიოზული მოწინააღმდეგეა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მის შემადგენლობაში **რაფაელ ნადალი** თამაშობს. ფრანგების საქმე კი გართულდა იმის გამო, რომ კორდობაში გამოსვლა ვერ შეძლო **გაელ მონფილსმა** - **გი ფორჟეს** გუნდში გრუნტის ყველაზე კარგმა მოთამაშემ.

საბოლოოდ, პირველ დღეს ნადალის შეჩერება **რიშარ გასკეს** დაევალა, რომელიც ურთიერთშეხვედრებში 0:9-ს აგებდა ესპანელთან. რაფამ ძალიან დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია - პირველ სეტში ისე მოიგო, რომ მეტოქეს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა, მეორეში ფრანგმა ერთი ქულაც კი ვერ აიღო ილებაზე, მესამეში კი ერთადერთი პრესტიჟის გეიმი მიითვალა.

გი ფორჟეს იმედი ჰქონდა, რომ **ჟილ სიმონი დავიდ ფერერთან** მატჩში შეძლებდა ანგარიშის გათანაბრებას - მხოლოდ ასე თუ შეინარჩუნებდა სტუმართა გუნდი საერთო გამარჯვების შანსს. მაგრამ სიმონმა ამ ამოცანას თავი ვერ გაართვა. ბრძოლა მხოლოდ მეორე სეტში იყო, როცა ჟილმა ორჯერ დაიბრუნა დაკარგული ბრეიკი. მესამედაც შეეძლო იგივეს გაკეთება, მაგრამ ფერერმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა. პირველ და მესამე სეტებში კი ერთნაირი ანგარიში - 6:1 დაფიქსირდა და საფრანგეთმა თითქმის აღარ დაიტოვა ფინალში გასვლის შანსი.

სტუმართა გუნდმა მხოლოდ წყვილთა მატჩში გაიბრწყინა - **მიკაელ ლოდრასა** და **ჟო-ვილფრიდ ცონგას** დუეტმა რევანში აიღო წინა დღის შედეგებისთვის. ფრანგებმა **ფელისიანო ლოპესისა** და **ფერნანდო ვერდასკოს** წყვილს სამ სეტში მხოლოდ სამი გეიმი დაანებეს და ბადესთან მხოლოდ 10 შეცდომა დაუშვეს - 6:1, 6:2, 6:0.



მაგრამ ეს სტუმრების დროებითი წარმატება იყო, რადგან რთული წარმოსადგენი გახლდათ, რომ მეორე დღეს ესპანეთი ორივე ერთეულთა შეხვედრას წააგებდა. ფორჟემ ნადალის წინააღმდეგ ცონგა დააყენა, მაგრამ წყვილთა მატჩში წარმატებული თამაშის გამეორება ფრანგს არ გამოუვიდა. ცონგა ბევრს ცდებოდა და მართალია, ყოველი ახალი სეტი უფრო დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ჩანდა, რომ ჟო-ვილფრიდს წარმატების მინიმალური შანსი ჰქონდა, მით უმეტეს, რომ მეტოქეზე ექვსჯერ მეტი უნებლიე შეცდომა დაუშვა. საბოლოოდ, ორსაათიან ბრძოლაში ნადალმა სამ სეტში გაიმარჯვა - 6:0, 6:2, 6:4 და თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა.

გადამწყვეტი მატჩი 2-4 დეკემბერს ესპანეთში გაიმართება და მასპინძლები არგენტინას გრუნტის კორტს დაახვედრებენ. სხვათა შორის, ბოლოს ეს გუნდები ასევე ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს - სამი წლის წინ მასპინძელი არგენტინა იყო, რომელმაც მეტოქეს სწრაფი ჰარდი დაახვედრა, მაგრამ ესპანეთმა პატარა სასწაული მოახდინა და ნადალის გარეშე შეძლო ტიტულის მოგება. ცნობისთვის, არგენტინას ჯერ არასოდეს მოუგია დევისის თასი.

### 1/2 ფინალი

| ესპანეთი-საფრანგეთი | 4:1 |
| --- | --- |
| 1:0 ნადალი-გასკე | 6:3, 6:0, 6:1 |
| 2:0 ფერერი-სიმონი | 6:1, 6:4, 6:1 |
| 2:1 ლოპესი/ვერდასკო-ლოდრა/ცონგა | 1:6, 2:6, 0:6 |
| 3:1 ნადალი-ცონგა | 6:0, 6:2, 6:4 |
| 4:1 ვერდასკო-გასკე | 6:2, 6:1 |

| სერბეთი-არგენტინა | 2:3 |
| --- | --- |
| 0:1 ტროიცკი-ნალბანდიანი | 4:6, 6:4, 2:6, 3:6 |
| 0:2 ტიპსარევიჩი-დელ პოტრო | 5:7, 3:6, 4:6 |
| 1:2 ზიმონჯიჩი/ტროიცკი-ჩელა/მონაკო | 7:6(4), 6:4, 6:2 |
| 1:3 ჯოკოვიჩი-დელ პოტრო | 6:7(5), 0:3 უარი |
| 2:3 ტიპსარევიჩი-მონაკო | 6:2 უარი |

# ნადალი გაფიცვით დაიმუქრა

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ წამყვან ჩოგბურთელებს ამერიკის ღია პირველობის დასრულებისთანავე უწევთ თავიანთი ნაკრებების რიგებში დევისის თასზე გამოსვლა. შეგახსენებთ, რომ გადადებული ფინალის გამო ამერიკის ღია პირველობა 12 სექტემბერს დასრულდა, ოთხი დღის შემდეგ კი სტარტი აიღო დევისის თასის ნახევარფინალმა და მსოფლიოს ჯგუფში გადასასვლელი პლეი ოფის ეტაპმა.

*"ეს მიუღებელი სიტუაციაა – "დიდი სლემის" ტურნირი და დევისის თასი ასე ახლოს არიან კალენდარში. არ გვინდა, რომ მოთამაშეებმა გაფიცვა მოვაწყოთ, მაგრამ აუცილებელია რაღაც მოხდეს. ვფიქრობ, გადამჭრელი ნაბიჯები რაღაცის შეცვლის ერთადერთი საშუალებაა. თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, წამყვანი ჩოგბურთელები შეწყვეტენ დევისის თასზე თამაშს"*, - მოჰყავს ნადალის სიტყვები BBC-ის.

ნადალს მეორე დღესვე უპასუხა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **ფრანჩესკო რიჩიმ**. მისი სიტყვებით, ესპანელი ჩოგბურთელის არგუმენტები საფუძველს მოკლებულია.

*"სავსებით ლოგიკურია, რომ ნადალი სეზონის ამ ეტაპზე გადაღლილია, რადგან დაახლოებით 70 მატჩი ითამაშა, მაგრამ ამაში დევისის თასი არ არის დამნაშავე. ბოლო ორი წლის განმავლობაში მან ამ ტურნირზე მხოლოდ სამჯერ ითამაშა"*, - ამბობს ITF-ის ხელმძღვანელი.

*"ნადალი ამბობს, რომ ჩვენ არ ვითვალისწინებთ მოთამაშეთა აზრს, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ დევისის თასის მატჩების ჩატარების თარიღი საერთაშორისო ფედერაციის ნებასურვილის გაუთვალისწინებლად მოხდა,* - დაამატა რიჩიმ. - *ჩვენ დღემდე მიგვაჩნია, რომ დევისის თასის მატჩების სექტემბერში ჩატარება - არასწორია."*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ნადალი დევისის თასზე

### პლეი ოფი

| ავსტრალია-შვეიცარია | 2:3 |
| --- | --- |
| 1:0 ტომიჩი-ვავრინკა | 4:6, 6:4, 6:3, 6:3 |
| 1:1 ჰიუიტი-ფედერერი | 7:5, 6:7(7), 2:6, 3:6 |
| 2:1 გუჩიონე/ჰიუიტი-ფედერერი/ვავრინკა | 2:6, 6:4, 6:2, 7:6(5) |
| 2:2 ტომიჩი-ფედერერი | 2:6, 5:7, 6:3, 3:6 |
| 2:3 ჰიუიტი-ვავრინკა | 6:4, 4:6, 7:6(7), 4:6, 3:6 |

| იაპონია-ინდოეთი | 4:1 |
| --- | --- |
| 1:0 სუგიტა-დევარმანი | 6:3, 6:4, 7:5 |
| 2:0 ნიშიკორი-ბოპანა | 6:3, 6:2, 6:2 |
| 2:1 იტო/სუგიტა-ბჰუპატი/ბოპანა | 5:7, 6:3, 3:6, 6:7(4) |
| 3:1 ნიშიკორი-ვარდჰანი | 7:5, 6:3, 6:3 |
| 4:1 სოედა-ბოპანა | 4:5 უარი |

| ს. აფრიკა-ხორვატია | 1:4 |
| --- | --- |
| 1:0 ანდერსონი-დოდიგი | 6:3, 6:4, 3:6, 7:6(5) |
| 1:1 ვან დერ მერვე-ჩილიჩი | 0:6, 0:6 უარი |
| 1:2 დე ვოესტი/კლაასენი-ჩილიჩი/დოდიგი | 2:6, 4:6, 6:3, 1:6 |
| 1:3 დე ვოესტი-ჩილიჩი | 4:6, 2:6, 4:6 |
| 1:4 კლაასენი-მეკტიჩი | 6:7(2), 1:6 |

| რუმინეთი-ჩეხეთი | 0:5 |
| --- | --- |
| 0:1 უნგური-შტეპანეკი | 3:6, 2:6, 0:6 |
| 0:2 კრივოი-ბერდიხი | 3:6, 3:6, 6:7(4) |
| 0:3 კოპილი/ტეცეუ-ბერდიხი/შტეპანეკი | 6:3, 3:6, 0:6, 2:6 |
| 0:4 კოპილი-როსოლი | 4:6, 6:7(2) |
| 0:5 კრივოი-ჰაიეკი | 1:6, 4:6 |

| ისრაელი-კანადა | 2:3 |
| --- | --- |
| 0:1 სელა-პოსპიშილი | 6:7(4), 7:6(6), 1:6, 7:6(2), 3:6 |
| 1:1 ვეინტრაუბი-რაიონიჩი | 5:7, 7:5, 6:3, 6:1 |
| 1:2 ერლიხი/რამი-ნესტორი/პოსპიშილი | 6:4, 3:6, 4:6, 4:6 |
| 2:2 სელა-პოლანსკი | 6:3, 6:3, 6:3 |
| 2:3 ვეინტრაუბი-პოსპიშილი | 2:6, 6:7(3), 4:6 |

| ბელგია-ავსტრია | 1:4 |
| --- | --- |
| 0:1 მალისე-ჰაიდერ მაურერი | 4:6, 4:6, 5:7 |
| 1:1 დარცისი-მელცერი | 7:6(3), 6:7(4), 6:4, 6:3 |
| 1:2 დარცისი/ო. როხუსი-მარაში/პეია | 6:3, 3:6, 4:6, 4:6 |
| 1:3 ო. როხუსი-მელცერი | 4:6, 4:6, 3:6 |
| 1:4 ბემელმანსი-პეია | 4:6, 3:6 |

| ჩილე-იტალია | 1:4 |
| --- | --- |
| 0:1 კაპდევილე-სტარაჩე | 3:6, 3:6, 6:2, 6:7(5) |
| 0:2 გონსალესი-ფინინი | 2:6, 6:4, 1:2 უარი |
| 0:3 აგილარი/მასუ-ბოლელი/ფონინი | 4:6, 4:6, 4:6 |
| 1:3 კაპდევილე-ბოლელი | 7:6(3), 6:2 |
| 1:4 მასუ-ბრაჩიალი | 3:4 უარი |

| რუსეთი-ბრაზილია | 3:2 |
| --- | --- |
| 1:0 იუჟნი-მელო | 6:0, 6:2, 6:1 |
| 1:1 ანდრეევი-ბელუჩი | 4:6, 3:6, 3:6 |
| 1:2 კუნიცინი/ტურსუნოვი-მელო/სუარესი | 4:6, 5:7, 2:6 |
| 2:2 იუჟნი-ბელუჩი | 2:6, 6:3, 5:7, 6:4, 14:12 |
| 3:2 ტურსუნოვი-მელო | 6:1, 7:6(5), 2:6, 6:3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების წინ

# სეზონი თავიდან ხურდება

**გთავაზობთ ამ კვირის საჩოგბურთო პროგრამას, რომელიც მამაკაცებისა და ქალების ორ-ორ ტურნირს მოიცავს.**

### ATP

#### Open de Moselle

მეცი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 450 000 ევრო

***მონაწილეები:*** ჟო-ვილფრიდ ცონგა, რიშარ გასკე, ალექსანდრ დოლგოპოლოვი, ივან ლუბიჩიჩი, მიკაელ ლოდრა...

მეცის ტურნირი 2003 წლიდან ტარდება. შარშან აქ მთავარი პრიზი **ჟილ სიმონმა** და **მიშა ზვერევმა** გაითამაშეს. ფრანგმა მოიგო, მაგრამ წელს მან უარი განაცხადა ტიტულის დაცვაზე. ამ ტურნირზე გამარჯვება აქვს მოპოვებული მსოფლიოს პირველ ჩოგანს **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, თუმცა ეს შორეულ 2006 წელს მოხდა.

მეცში საშუალება მოგვეცემა დავაკვირდეთ ფრანგული ჩოგბურთის ლიდერებს - **ჟო-ვილფრიდ ცონგასა** და **რიშარ გასკეს**. ინტერესს იწვევს ცონგას ფორმა, რომელსაც ამერიკის ღია პირველობაზე პრობლემები შეუქმნა ძველმა ტრავმებმა, რის გამოც ფრანგი ამ დღეებში დევისის თასზე **რაფა ნადალთან** განადგურდა.

#### Open Romania

ბუქარესტი (რუმინეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 422 950 ევრო

***მონაწილეები:*** ხუან იგნასიო ჩელა, ფლორიან მაიერი, მარსელ გრანოლერსი, პაბლო ანდუხარი, ტომი რობრედო...

ტურნირი 1993 წლიდან ტარდება. შარშანდელი გამარჯვებულია **ხუან იგნასიო ჩელა**, რომელმაც ამჯერად ორგანიზატორებისგან განთესვის პირველი ნომერი მიიღო, რაც არგენტინელის ფავორიტის სტატუსს ადასტურებს.

პოტენციურად ბუქარესტის ტურნირზე კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებას შეიძლება მიაღწიოს **ფლორიან მაიერმა**, რომელიც ხშირად გადის ATP-ის ტურნირების ნახევარფინალში და იშვიათად - ფინალში. წლევანდელი სეზონი გერმანელისთვის შეიძლება წარმატებულად ჩავთვალოთ - მეოთხედფინალი ბრისბენში, ნახევარფინალი სიდნეიში, ზაგრებში და ფინალი BMW Open-ზე. შესაძლოა, სწორედ რუმინეთის დედაქალაქში გაარღვიოს მაიერმა ეს მოჯადოებული წრე და კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვოს.

ბუქარესტში თამაშობს შარშანდელი ფინალისტი **პაბლო ანდუხარი**. ესპანელი ბადის ზედა ნაწილში მოხვდა, სადაც თამაშობს შარშან ფინალში მისი მძლეველი ჩელა. და თუ პაბლო ნახევარფინალამდე მიაღწევს, იქ შეეძლება არგენტინელისთვის რევანშის აღება.

### WTA

#### Korea Open

სეული (ს. კორეა). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

***მონაწილეები:*** ფრანჩესკა სკიავონე, მარიონ ბარტოლი, იულია გორჯესი, დომინიკა ციბულკოვა, პოლონა ჰერცოგი...

ამ ტურნირზე, რომელიც 2004 წლიდან ტარდება, ისეთ ცნობილ ჩოგბურთელებს გაუმარჯვიათ, როგორებიც არიან **მარია შარაპოვა, ელენა დანილიდუ, ვენუს უილიამსი...** შარშან აქ ტიტული რუსმა **ალისა კლეიბანოვამ** მოიგო, რომელიც ამჟამად მძიმე ავადმყოფობას ებრძვის.

წელსაც, ისევე როგორც ყოველთვის, შემადგენლობა საკმაოდ ძლიერია. ტურნირის ოთხი ფავორიტი WTA-ის რეიტინგის პირველ ოცეულში შედის. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პირველ ნომრად განთესილი იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონე**. წელს ეს ჩოგბურთელი ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში გავიდა, თავის საყვარელ როლან გაროსზე კი ფინალში ითამაშა, მაგრამ იქ ჩინელ **ნა ლისთან** წააგო და წინა წელს მოპოვებული ტიტული დათმო.

ძალიან დაძაბული სეზონი გამოუვიდა **მარიონ ბარტოლის**, რომელმაც ისეთი ჩოგბურთელების დამარცხება მოასწრო, როგორებიც არიან **სერენა უილიამსი, სვეტლანა კუზნეცოვა** და **კიმ კლაისტერსი**. უკვე ამ კვირას გავიგებთ, რა ფორმაში შეხვდა ფრანგი სეულის ტურნირს.



ქსენია პერვაკი

#### Women's Open

გუანგჯოუ (ჩინეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

***მონაწილეები:*** მარია კირილენკო, იარმილა გაიდოშოვა, ქსენია პერვაკი, პეტრა მარტიჩი, მაგდალენა რიბარიკოვა...

სეულის ტურნირის მსგავსად, გუანგჯოუც 2004 წლიდან მასპინძლობს ქალ ჩოგბურთელებს. პირველი ჩემპიონი ნა ლი გახდა, რომელიც ახლა მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანია. შარშანდელი ჩემპიონი კი **იარმილა გაიდოშოვაა** - ავსტრალიელმა მაშინ კარიერაში პირველი ტიტული მოიგო და ამის წყალობით რეიტინგის ტოპ-50-ში შევიდა.

მთავარ ფავორიტებს შორის გაიდოშოვა უნდა მოვიხსენიოთ, აგრეთვე ორი რუსი - **მარია კირილენკო** და **ქსენია პერვაკი**. კირილენკო წელს უფრო ხშირად წყვილებში გამოდიოდა წარმატებით, მაგრამ მისი ჩამოწერა არ შეიძლება. გაიდოშოვას უფრო წარმატებული სეზონი ჰქონდა: ბრისნების ტურნირზე მეოთხედფინალი, გამარჯვება Moorilla Hobart-ზე, ნახევარფინალი მალაიზიაში...

ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ პერვაკს, რომელმაც გასულ კვირას ტაშკენტში პირველი ტიტული მოიგო კარიერაში - ფინალში **ევა ბირნეროვა** გაანადგურა - 6:3, 6:1. თუ რუსს დაღლილობა არ შეეტყო, ის ზემოთ ჩამოთვლილ ფავორიტებს სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს.

მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ჩემპიონი თითქმის გაირკვა

მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგმა ეტაპმა პრაქტიკულად გაარკვია წლევანდელი ტიტულის მფლობელი - **კეისი სტოუნერმა** მორიგი გამარჯვება მოიპოვა და საერთო ჩათვლაში ლიდერობა გაიმყარა.

ესპანურ უქმეებზე პოული სწორედ სტოუნერმა მოიგო, მაგრამ სტარტის გმირი არა ავსტრალიელი, არამედ ამერიკელი **ბენ სპისი** აღმოჩნდა, რომელმაც ყველა ლიდერი ჩამოიცილა და პელოტონს სათავეში ჩაუდგა.

პირველივე წრიდან გამოეთიშა რბოლას **ანდრეა დოვიციოზო** - ერთ-ერთი მოსახვევის გავლისას ის ტრასის მიღმა აღმოჩნდა და ბრძოლა ველარ გააგრძელა, არადა, ბოლო ეტაპებზე ამ იტალიელს დაძაბული ბრძოლა ელის საერთო ჩათვლაში მესამე ადგილის შესანარჩუნებლად. რაც შეეხება ბენ სპისს, მისი ლიდერობა ერთ წრესაც არ გაგრძელებულა - ამერიკელმა შეცდომა დაუშვა და ამით კარგად ისარგებლეს სტოუნერმა და პედროსამ, რომლებიც პირველ და მეორე ადგილზე გადავიდნენ. საჭირო სივრცის მიღების შემდეგ კეისიმ უპირატესობის გაზრდა დაიწყო და ზედიზედ გადიოდა საუკეთესო წრეებს. პედროსა ცდილობდა თავისი თანაგუნდელისთვის ბრძოლა მოეხვია თავს, მაგრამ მისი მონდომება უშედეგო აღმოჩნდა.

მოკლედ, არაგონის გრანპრი მაინცდამაინც საინტერესო სანახავი არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ, მან თითქმის დაასახელა მიმდინარე სეზონის ლაურეატი. სტოუნერი 44 ქულას უგებს ლორენსოს და თუ ავსტრალიელი მოტომრბოლის სტაბილურობას გავითვალისწინებთ, სასწაული უნდა მოხდეს, რომ ლორენსომ ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნოს.

ასეა თუ ისე, იაპონიის გრანპრი ნებისმიერ შემთხვევაში საინტერესო იქნება. ალბათ, გახსოვთ, რომ ბევრი მოტომრბოლი არ აპირებდა იქ ჩასვლას რადიაციული ფონის შიშით, მაგრამ ეს პრობლემა მოგვარდა. უფრო მეტიც - „ჰონდა" დამატებით ორ პილოტს გაიყვანს ტრასაზე, რათა მორალურად გაამხნევოს იაპონელი ხალხი.

ცნობისთვის, არაგონში გამარჯვება რიგით მე-100 იყო „ჰონდასთვის" მოტოგრანპრის ისტორიაში.

#### არაგონის გრან-პრი

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - 42:17.427; 2. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - +8.162; 3. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - +14.209; 4. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა") - +20.646; 5. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - +27.739; 6. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „სუძუკი") - +30.373; 7. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - +34.288; 8. **ექტორ ბარბერა** (ესპ, „დუკატი") - +37.305; 9. **კელ კრატჩლოუ** (აშშ, „იამაჰა") - +39.652; 10. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - +39.832...

#### საერთო ჩათვლა

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი") - 284 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 240; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - 185; 4. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 170; 5. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - 146; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა") - 139; 7. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - 114; 8. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა") - 106; 9. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, „იამაჰა") - 90; 10. **ჰიროში აოიამა** (იაპ, „ჰონდა") - 87...

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| იფსვიჩი-ქოვენთრი | 3:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ტორინო-ბრეშა | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კარლსრუე-სტ. პაული | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მონაკო-არლი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| გიმარაეში-ბრაგა | 1:1 |
| რიუ ავე-სპორტინგი | 2:3 |
| **დანია** | |
| ჰორსენსი-ოდენსე | 4:3 |
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორგი-სტარტი | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-იურგორდენი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ოსტერი-ლიუნგკილე | 3:2 |
| სუნდსვალი-ბრაგე | 5:0 |
| ანგელჰოლმი-ატვიდაბერგი | 2:0 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-მარიეჰამნი | 1:1 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ანკარაგიუჯუ | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ქასიმფაშა-ქართალი | 1:1 |
| **ირლანდიის თასი** | |
| სლიგო-შემროკი | 1:0 |
| **კვიპროსი** | |
| ალკი-არისი | 1:0 |
| აპოლონი-აეკ | 0:3 |
| **[illegible]** | |
| ბრეიდაბლიკი-ვიკინგური | 2:6 |
| ფილკირი-სტიარნანი | 2:3 |
| გრინდავიკი-ჰაფნარი | 1:3 |
| ვესტმანაეიარი-რეიკიავიკი | 1:1 |
| ფრამი-კეფლავიკი | 1:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბანიკი-სპარტა | 0:2 |
| **პოლონეთი** | |
| ვისლა-ბელხატოვი | 2:0 |
| **რუმინეთი** | |
| ტარგუ-უნივერსიტატეა | 1:1 |
| კლუჟი-ვასლუი | 2:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ბოტევი-მინიორი | 0:0 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| ფლორიდა-ნეშვილი | 3:5 |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-ამური | 2:1 |
| ავანგარდი-სიბირი | 0:2 |
| სკა-პოპრადი | 4:1 |
| დინამო (მ)-სპარტაკი | 2:1 |
| დინამო (რ)-ცსკა | 5:3 |
| **ნორვეგია** | |
| ფრისკ ასკერი-ლორენსკოგი | 3:5 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბუქარესტი** | |
| რობრედო-სოუზა | 4:6, 6:7 |
| ჟილი-შარდი | 2:6, 6:4, 6:3 |
| **ATP. მეცი** | |
| ბალდატისი-ბახინგერი | 7:5, 6:2 |
| მიულერი-პეტცშნერი | 7:6, 7:6 |
| **WTA. გუანგჯოუ** | |
| როდიონოვა-უ. რადვანსკა | 6:7, 4:6 |
| ჩანგი-მარტიჩი | 4:6, 4:6 |
| ჟენგი-ლერტჩეევაკარნი | 5:7, 0:6 |
| **WTA. სეული** | |
| მორიტა-ზაკოპალოვა | 3:6, 4:6 |
| რუსი-დულგერუ | 6:2, 0:6, 5:7 |
| ციბულკოვა-პარა სანტონხა | 6:3, 7:5 |

TV პროგრამა

**20 სექტემბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. VI ტური. შალკე-ბაიერნი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. III ტური. ლაციო-ჯენოა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. VI ტური. ლილი-სოშო.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**22:00** იტალია. მატჩის ისტორია
**22:45** იტალიის ჩემპიონატი. IV ტური. ნოვარა-ინტერი (LIVE).
**00:45** ესპანეთის ჩემპიონატი. IV ტური. ბარსელონა-ოსასუნა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-აიაქსი.
**12:00** სპორტული ტანვარჯიში.
**15:20** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები.
**18:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ფიორენტინა.
**20:30** რაგბი. საფრანგეთის TOP 14. II ტურის მიმოხილვა.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ტომაშ ბერდიხი-ნოვაკ ჯოკოვიჩი. დუბაი. საემიროები.
**23:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**23:55** ფეხბურთი. ესპანეთი ჩემპიონატი. ვილიარეალი-მალიორკა (LIVE).

**I არხი**

**11:25** რაგბი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. იტალია-რუსეთი. ახალი ზელანდია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-სევილია (LIVE).
**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-მალიორკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**21:55** მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები. საფრანგეთი (LIVE).
**23:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლილი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**17:55** ხელბურთი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესპანეთი-შვედეთი. დანია (LIVE).
**21:40** ხელბურთი. მსოფლიოს თასი. ქალები. დანია-რუსეთი. დანია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**12:00** ATP-ის ტური. ბუქარესტი. რუმინეთი (LIVE).
**20:00** ATP-ის ტური. მეცი. საფრანგეთი (LIVE).

**SPORT+**

**22:40** ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. III რაუნდი. ლიდსი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

**EUROSPORT**

**11:30** ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები/იუნიორები. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).
**16:00** ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. დროზე განცალკევებით რბოლა. ქალები. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**14:30** კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. საკვალიფიკაციო რაუნდი. ინდოეთი (LIVE).
**18:30** კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. საკვალიფიკაციო რაუნდი. ინდოეთი (LIVE).



კეისი სტოუნერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1



მომავალი თანაგუნდელები?

# ფერარი ბატონს უმიზნებს?

საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა გერმანულმა გამოცემა SID-მა. კომპანია Promit-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ ფორმულა 1-ის გერმანელი გულშემატკივრების 47,2 პროცენტი მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს **მიხაელ შუმახერს** „მერსედესთან" 2012 წლის შემდეგ კონტრაქტის გაფორმებას არ ურჩევს. მათი აზრით, მიხაელმა, რაც შეიძლება მალე უნდა დაასრულოს კარიერა „სამეფო რბოლებში".

გამოკითხულთა 32.2 პროცენტს მიაჩნია, რომ შუმი 2013 წელსაც უნდა დარჩეს ფორმულა 1-ში, ხოლო 8.5 პროცენტის აზრით, მიხაელი DTM-ის სერიაში უნდა შეუერთდეს თავის უმცროს ძმას - **რალფ შუმახერს**.

■ ■ ■

ცნობილი ბრაზილიელი ჟურნალისტი **ლივიო ორიკიო** მიიჩნევს, რომ **ჯენსონ ბატონსა** და „მაკლარენს" შორის ახალ კონტრაქტზე შეთანხება დღემდე იმის გამო არ მოხდა, რომ ბრიტანელის პილოტის გადაბირებით „ფერარია" დაინტერესებული. 2012 წლისთვის „სკუდერიას" კონტრაქტი აქვს გაფორმებული **ფელიპე მასასთან** და მომდევნო წლის განმავლობაში იტალიური საჯინიბო გადაწყვეტს - ღირს თუ არა მომავალშიც ბრაზილიელ პილოტთან ხელშეკრულების გაფორმება.

*„პასუხი მარტივია. ბატონი დაინტერესებულია „ფერარით" და პირიქით, „ფერარი" - ბატონით. ჯენსონს „სკუდერიასთვის" საჭირო თვისებები გააჩნია. ის სწრაფია, მუდმივად ახდენს სისწრაფის დემონსტრირებას და თან შეუძლია შეეწყოს გუნდის ლიდერ ფერნანდო ალონსოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მას მხარს უჭერს თავად ფერნანდო",* - დაწერა ორიკიომ ბრაზილიურ პრესაში.

■ ■ ■

გერმანული გამოცემა „ბილდის" ინფორმაციით, ჩემპიონატის ლიდერ „რედ ბულს" საიდუმლო გეგმა აქვს - როგორ უნდა იზეიმოს სინგაპურის გრან-პრის შემდეგ **სებასტიან ფეტელის** რიგით მეორე ჩემპიონობა. არადა, თავად საჯინიბოს ხელმძღვანელობა და გერმანელი პილოტი აცხადებენ, რომ არ გეგმავენ არანაირ ზეიმს ვადაზე ადრე გაჩემპიონების შემთხვევაში.

შეგახსენებთ, რომ ფეტელს აქვს შანსი, სინგაპურში ნაადრევად მოიპოვოს ზედიზედ მეორე ტიტული. როგორც „ბილდი" წერს, „რედ ბულმა" გუნდის თითოეული წევრისთვის მოამზადა 80 კეპი წარწერით - „2001 წლის ჩემპიონი".

■ ■ ■

ფორმულა 1-ის გენერალური პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** აცხადებს, რომ უახლოეს პერიოდში მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარს სერიოზული ცვლილებები შეეხება. ასე მაგალითად, საკუთარი ეტაპები შეიძლება მიიღონ საბერძნეთმა, სამხრეთ აფრიკამ და მექსიკამ.

*„ამჟამად სამხრეთ აფრიკასა და მექსიკაში მივემგ ზავრები,* - ამბობს ექლსტოუნი. - *ორივე ქვეყანა ბევრს აკეთებს იმისთვის, რომ ფორმულა 1-ის კალენდარში მოხვდეს. საბერძნეთსაც სერიოზული მიზნები აქვს. მათ გერმანია ასესხებს ფულს რბოლის ჩასატარებლად".*

# რას აირჩევს რაიკონენი?

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ცოტა ხნის წინ ფინელმა **კიმი რაიკონენმა** "უილიამსის" ბაზა მოინახულა, რის შემდეგაც ფინურმა პრესამ გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონმა ფორმულა 1-ში დაბრუნება გადაწყვიტა.

ახლა კი ეს თემა განავრცო ცნობილმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა **ჯო სავარმა:** ის მიიჩნევს, რომ ინფორმაცია კიმის გროუვში კერძო ვიზიტის შესახებ ნდობას არ იმსახურებს. გუნდი მომავალი სეზონისთვის პილოტების ძიებაშია და ახლა სწორედ შესაბამისი დროა მოლაპარაკებებისთვის. რაიკონენი არ ყოფილა ამ დღეებში "უილიამსის" ერთადერთი სტუმარი: გუნდის ბაზაზე შენიშნეს გერმანელი **ადრიან სუტილი.**

ერთი მხრივ, საჯინიბოს შეუძლია **რუბენს ბარიკელოსთან** გაახანგრძლივოს კონტრაქტი, მაგრამ ბოლო პერიოდში ბრაზილიელი ვეტერანი შედეგებით ვერ ბრწყინავს. ასევე ამბობენ, რომ მას მაინცდამაინც კარგი დამოკიდებულება არ აქვს "უილიამსის" ხელმძღვანელობასთან. **პასტორ მალდონადო,** სავარაუდოდ, გააგრძელებს მომავალ სეზონში ბრიტანულ საჯინიბოში გამოსვლას, რადგან გუნდს ძალიან სჭირდება მრავალმილიონიანი სპონსორული მხარდაჭერა, რომელსაც ვენესუელელი პილოტისთვის სანავთობო კომპანია PDVSA უზრუნველყოფს.

ადრიან სუტილი - სწრაფი პილოტია, მაგრამ მისი შედეგები სტაბილურობით არ გამოირჩევა. სავარის აზრით, გერმანელი, ისევე როგორც სეზონის დებიუტანტი მალდონადო, მაინცდამაინც ღრმად ვერ ერკვევა ტექნიკურ საკითხებში, რაც მანქანის დახვეწაზე უარყოფითად მოქმედებს. მეორე მხრივ, სუტილმა შეიძლება გუნდში სოლიდური სპონსორი მიიყვანოს – კომპანია Medion, რომელიც დიდი ხანია მხარს უჭერს ადრიანს.

საინტერესო მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ ეს გერმანული ფირმა შეიძინა ჩინურმა ელექტროგიგანტმა Lenovo-მ, სადაც მუშაობს **ჯანფრანკო ლანჩი,** რომელიც კომპანია Acer-ს ხელმძღვანელობდა, თანაც იმ დროს, როცა ის ფორმულა 1-ის ისეთ გუნდებს ედგა გვერდით, როგორებიც იყვნენ "პროსტი" და "ფერარი". გამორიცხული არ არის, რომ ლანჩის მისვლის შემდეგ Medion-ის ინტერესი ფორმულა 1-ის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდოს.



კიმი რაიკონენი

რა თქმა უნდა, კიმი რაიკონენი უფრო ძლიერი პილოტია, ვიდრე სუტილი, მაგრამ მას მაღალი ხელფასი უნდა გადაუხადონ და ისიც ჯერ არ არის დადასტურებული, რომ მოიძებნებიან სპონსორები, რომლებიც უზრუნველყოფენ "უილიამსში" კიმის კონტრაქტს.

ასეა თუ ისე, გუნდს, რომელიც რესტრუქტურიზაციის პერიოდშია, ძლიერი პილოტები სჭირდება. მისი ტექნიკური დეპარტამენტის შემადგენლობა შესამჩნევად შეიცვალა. **სემ მაიკლი** უნდა ჩაანაცვლოს **მაიკ კოფლენმა** - "მაკლარენის" ყოფილმა მთავარმა კონსტრუქტორმა. აეროდინამიკის განყოფილების ახალი ხელმძღვანელი გახდა გამოცდილი **ჯეისონ სომერვილი,** ახალი მთავარი ინჟინერი - **მარკ გილანი** და ბოლოს, შემდეგი სეზონიდან "უილიამსის" მანქანებზე "რენოს" ძრავებს დააყენებენ. გუნდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წარმატების მიღევა, რადგან ეს პირდაპირ არის დამოკიდებული მის მომავალ კეთილდღეობაზე.

კიმი რაიკონენი ფორმულა 1-დან წასვლის შემდეგ უსაქმოდ არ დარჩენილა. ორი სეზონი მან რალის მსოფლიოს ჩემპიონატში გაატარა, მაგრამ განსაკუთრებულ წარმატებას ვერ მიაღწია. მანვე ცოტა ხნის წინ ძალები მოსინჯა ნასკარ-ის სერიაში, თუმცა გაურკვეველია, ეს იდეა პოვებს თუ არა გაგრძელებას.

თეორიულად, თუ "უილიამსის" ხელმძღვანელობა შეძლებს რაიკონენთან მოლაპარაკებას, ეს საინტერესო სვლა იქნება, მაგრამ სანამ ფინელი არ დაჯდება საჭესთან პირველ ტესტებზე, ვერავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ის გამოადგება ბრიტანულ საჯინიბოს და "უილიამსის" ძველი დიდების აღორძინებაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს. ნებისმიერ შემთხვევაში, მან გამოტოვა ორი სეზონი, ხოლო ფორმულა 1-ში დაბრუნება ყოველთვის სერიოზულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

თუმცა ამ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ ინტერვიუში კიმის თანამემამულემ, ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **მიკა სალომ** დამაჯერებლად განაცხადა: *"რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის არ აპირებს ფორმულა 1-ში დაბრუნებას და სხვადასხვა სერიაში სურს ძალების მოსინჯვა. ასე რომ, საკმაოდ კმაყოფილია ცხოვრებით. ვფიქრობ, 2012 წელს ის რალიში გააგრძელებს გამოსვლას, მით უმეტეს, რომ თანდათან პროგრესირებს ამ სერიაში. სავარაუდოდ, ის არც ნასკარ-ში გადავა".*

● ჩოგბურთი



აზარენკა ჰოვარდთან ერთად

# ვიკა მოდის სამყაროში

ქალთა ტურის ერთ-ერთი ლიდერი, ბელარუსი ჩოგბურთელი **ვიქტორია აზარენკა** მონაწილეობდა ნიუ-იორკის მოდის კვირეულში, სადაც ის მოდის ცნობილ ჟურნალ Fashion 360-ს წარმოადგენდა.

ვიქტორიას გარდა, ღონისძიების ერთ-ერთი სტუმარი იყო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წამყვანი ცენტრი, "ორლანდო მეჯიქის" ლიდერი **დუაიტ ჰოვარდი.**

გარდა ამისა, ბელარუს ჩოგბურთელს მოდელის როლში ჰქონდა დებიუტი - ის პოდიუმზე დიზაინერ **სამანტა ბლეკის** ტანსაცმლით გავიდა.

● კალათბურთი

# დირკის გეგმები

## გერმანიამ მწვრთნელად პეშიჩი შეარჩია



დირკ ნოვიცკი

გერმანიის ნაკრების ლიდერმა **დირკ ნოვიცკიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჯერ არ აპირებს სანაკრებო კარიერის დასრულებას. „დალას მავერიქსის" მძიმე ფორვარდის თქმით, საერთაშორისო არენაზე დაახლოებით ორწლიან შესვენებას აიღებს, რის შემდეგაც ეროვნულ ნაკრებს 2016 წლის ოლიმპიადის საგზურისთვის ბრძოლაში დაეხმარება.

*„არასოდეს მითქვას, რომ ვასრულებ სანაკრებო კარიერას, მაგრამ ვერც იმის გარანტიას ვიძლევი, რომ ოდესმე კიდევ ვითამაშებ ეროვნულ გუნდში.*

*რაც შეეხება ევრობასკეტს, მე რომ კარგ ფორმაში ვყოფილიყავი, კიდევ რამდენიმე მატჩს მოვიგებდით. თუმცა ეჭვი მეპარება, რომ მედლების მოპოვებაზე გამოგვეცხადებინა პრეტენზია",* - განაცხადა ნოვიცკიმ.

რაც შეეხება უახლოეს გეგმებს, დირკის თქმით, თუ ლოკაუტი უახლოეს პერიოდში არ დასრულდება, ის კალათბურთისგან ოქტომბრის ბოლომდე დაისვენებს.

■ ■ ■

ამასობაში, გერმანიის კალათბურთის ფედერაცია.ახალ მწვრთნელს ეძებს. ამ პოსტის დასაკავებლად ისინი მთავარ პრეტენდენტად მიიჩნევენ „ცრვენა ზვეზდას" ამჟამინდელ დამრიგებელ **სვეტისლავ პეშიჩს.** გერმანულ მხარეს სერბ სპეციალისტთან ოთხწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურს.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა **დირკ ბაუერმანმა** ევრობასკეტის დასრულების შემდეგ დატოვა პოსტი. კონტინენტის პირველობაზე გერმანელებმა მეცხრე ადგილი დაიკავეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**